



სამეცნიერო ჟურნალ „საზოგადოებრივი და საზოგადოებრივი“

(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ (3) 7, ტომი 7

2008

ოფიციალური სამსახურის  
სამეცნიერო ჟურნალი


Scientific magazine of  
The Open Diplomacy Association

Научный журнал  
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

UDC 378(479.22)(051.2)

ს. 402



## სარადაპიო ჰოლეგია:

### შოთა დოლონაძე

- მთავარი რედაქტორი

### ოთარ ქოჩორიძე

- მთავარი რედაქტორის მოადგილე

### ოთარ გალათარიძე

- ჟურნალის მდგრადი მდივანი

ლულიგიარ ადლიანენი, ნარ ავალიანი,  
მიტროპოლიტი აზრიანი (გარემონი), გიორგი  
ბალათარიძე, ევგენი გარაფაშვილი, ვახტანგ გურული,  
ჰაკაცი ვერტი, თემორიაზ თომავა, გენადი  
იაზვილი, რონი მატრევალი, ქათი ქოქრაშვილი,  
რუსული ქათათალაძე, მარი ჩხეიძე



შურნალი სელმელვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე ასეუსისმგებლია  
ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ  
ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის  
შეხედულებებს.

### მისამართი:

საქართველო, თბილისი 0175 ქოსტავას ქ. 77, VI კორპუსი VIII  
სართული ტელ. 36-45-14

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14  
Mail: [DLPA@gtu.edu.ge](mailto:DLPA@gtu.edu.ge)

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია

შრომის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნახულია მისამართზე:  
<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

შრომის დასრულების 2005 წლს საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ათავის მიერ

შრომათა კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავს.

კრებულში გამოქვეყნებულია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა  
და  
შერნალ „ხელისუფლება და საზოგადოების“  
ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის  
„ხელისუფლება და საზოგადოება – 2008“  
მასალები

## სარჩევი

### თეორია

#### ოთარ ქოჩორაძე

გეოპოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები  
(კატეგორია “სივრცე”-ს პოლიტიკური და სამართლებრივი  
ასპექტების შედარებითი ანალიზი) -----

#### გაუა შუბითიძე

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და საქართველო-  
თენგიზ ენდელაძე

სამხედრო კონტრდაზვერვა – ეროვნული უსაფრთხოების  
ინსტრუმენტი -----

#### ნანი გელოვანი

არაბული ქვეყნების პოლიტიკური სისტემები-----

#### თენგიზ გრიგოლია

ბალკანეთის გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაცია-----

#### რუსულან თაბუკაშვილი

ბაზილ ბერნშტაინის პიპოვება დაფიციტის შესახებ და მისი  
კრიტიკა -----

### ისტორია

#### თემურ ჯაგოლნიშვილი

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის ერთი  
ასპექტი თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი

ცნობიერების პრიზმაში-----

#### თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე

ნაპოლეონის გარდაცვალების ვერსიები-----

#### Chiora Taktakishvili

L'ODL vue des différentes perspectives géographiques et culturelles: expériences  
de l'Université d'Etat Ilia Chavchavadze de Géorgie-----

### ეპონომიკა


#### გენადი იაშვილი, ირინე იაშვილი

მარკეტინგის ფუნქციონალური სტრატეგიები მცირე ბიზნესში-----

#### გენადი იაშვილი, ირინე იაშვილი

სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი მცირე ბიზნესში-----

Պ Յ Ա Ր Ո Ճ



გეოპოლიტიკა შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობების, მსოფლიო ვაჭრობის, კაცობრიობის გლობალური ონტოლოგიის დინამიკის ფიზიკურ-გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ-გეოგრაფიულ, რასობრივ-ანთროპოლოგიურ, კულტურულ-კონფესიონალურ, სემანტიკურ და ციფრობაციურ განაპირობებულობას.

გეოპლიტიკის ძირითად კატეგორიას წარმოადგენს სივრცეზე კონტროლი. გეოპოლიტიკა სწავლობს სახელმწიფოს და სახელმწიფოთა კავშირების (აგრეთვე სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების) მიერ სივრცეზე კონტროლის საფუძვლებს, შესაძლებლობებს, მექანიზმებს და ფორმებს.

სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა არის სახელმწიფოს ადგილმდებარეობა ძალის ძირითად ცენტრებთან მიმართებაში. ეს მდებარეობა შეიძლება იყოს ცენტრალური (ძალის ცენტრი), პერიფერიული, ბუფერული (ძალის ცენტრებს შორის შეალებური მდებარეობა).



**ალფრედ თაიერ მეჰანი (ინგ. Alfred Thayer Mahan)(1840-1914 წწ.)**  
**ამერიკელი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, კონტრ-**  
**ადმირალი. გეოპოლიტიკის ერთ-ერთი დამაარსებელი.**

ტერიტორია, რომელსაც აქონტროლებს ან ცდილობს გააკონტროლოს სახელმწიფომ, ხასიათდება უპირველეს ყოვლისა ცენტრსა და ტერიტორიას შორის კავშირების განვითარების დონით.

ამ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა ამერიკული გეოპოლიტიკის ფუძემდებლის აღმირად ალფრედ მჟავინის მოსაზრება.

ალფრედ მჟავინს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური სტატუსისა და პოზიციის ანალიზი უნდა განხორციელდეს შემდეგი პრიტერიუმების საშუალებით:

— სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ზღვებზე გასასვლელი და სხვა სახელმწიფოებთან საზღვაო კომუნიკაციების შესაძლებლობა. სახმელეთო საზღვრების განვენილობა, უნარი გააკონტროლოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონი. უნარი საკუთარი ფლოტით დაემუქროს მეტოქის ტერიტორიებს. [აქ მჟავინისათვის მთავარი არის საზღვაო სანაპირო ხაზები და სახმელეთო საზღვრების არქონა, რომელიც მოითხოვს ქვეყნის ქონტინენტალურ გაფართოებას ომების მეშვეობით, რაც თავის მხრივ იწვევს ქვეყნის სიმდიდრის მაქსიმალურ გამოფიტვას. ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეიძლება მოითხოვოს საზღვაო ძალების ან შეჯგუფება, ან კიდევ გაფანტვა. მისი აზრით, “ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება არა მარტო ხელს უწყობდეს მისი ძალების თავმოყრას, არამედ აქვს სხვა სტრატეგიული უპირატესობაც — ცენტრალური პოზიცია და კარგი ბაზა შესაძლო მტრების წინააღმდეგ საომარი ოპერაციების საწარმოებლად.”]

— სახელმწიფოს “ფიზიკური კონფიგურაცია”, ანუ საზღვაო სანაპიროების მოხაზულობა და მათზე განლაგებული პორტების რაოდენობა. ამაზე არის დამოკიდებული ვაჭრობის აყვავება და სტრატეგიული დაცულობა. [მჟავინს მართებულად მიაჩნია, რომ ქვეყნის სანაპიროების ხაზი — არის მისი ერთ-ურთი საზღვარი, და რაც უფრო ადვილია საზღვაო საზღვრების მეშვეობით სხვა ქვეყნებში შედწევა, მით უფრო ძლიერია ხალხის სწრაფვა მასთან ურთიერთობისათვის. ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია დიდი განვითარების სანაპირო ზოლი, მაგრამ საერთოდ არა აქვს ნავსადგურები, ვერ განვითარდება ვერც საზღვაო ნაოსნობა, ვერც საზღვაო ვაჭრობა და ვერც სამხედრო ფლოტი. სამხედრო უშუალობით იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ერთ გარემოებას: თუ ზღვა ქვეყანას ჰყოფს ორ ან მეტ ნაწილად, ამ ქვეყნის ფლობა არა თუ სასურველი, არამედ არსებითად აუცილებელიც არის. აშშ-ს ადგილმდებარეობის ანალიზისას იგი აღნიშნავს, რომ მის ტერიტორიაზე ცოტაა ისეთი პუნქტები, რომლებიც სუსტები არიან თავიანთი იზოლირებული მდგომარეობის გამო, შტატების საზღვრების კველა მნიშვნელოვანი ნაწილი აღვიდი მისადგომია შიდა ოლქებიდან — იაფად წყლით, სწრაფად რკინიგზით. ხოლო მისი უსუსებესი საზღვარი, წყნარი ოკეანე, ძალიან შორს არის შესაძლო მტრებს შორის კველაზე სახიფათოსაგან.]

— ტერიტორიის განვითარება. იგი სანაპირო ხაზის სიგრძის ტოლი არის. მჟავინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზღვაო

ძლევამოსილების განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს არა ქვეწის მიერ დაკავებული მიღების რაოდენობას, არამედ მისი სანაპირო ხაზების სიგრძესა და ნავსადგურების ხასიათს;

— მოსახლეობის სტატისტიკური რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ხომალდების აგებისა და მათი მომსახურების შესაძლებლობის შეფასებისათვის. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც იცნობს ზღვას. ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათ დასასაქმებლად, ხომალდებზე სამსახური, აგრეთვე ფლოტის მატერიალური ნაწილის ორგანზაკიისათვის. აქედან გამომდინარე მქენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ რეზერვების ფორმირებას, რომელთაც შეძლებათ ფლოტში სამსახური.

— ეროვნული ხასიათი. ხალხის ვაჭრობის უნარიანობა, ვინაიდან საზღვაო ძლევამოსილება დაფუძნებული არის მშვიდობიან და ფართო მასშტაბიან ვაჭრობაზე. საინტერესოსა ქვეწის მოსახლეობის ეროვნული ხასიათის მშენისეული ანალიზი: “თუ საზღვაო ძლევამოსილება ნამდვილად ეყრდნობა მსოფლიო და ფართო ვაჭრობას, მაშინ კომერციული საქმიანობისადმი სწრაფვა უნდა იყოს იმ ერის განმასხვავებელი ნიშანი, რომლებიც ამა თუ იმ დროს დიდები იყვნენ ზღვაზე”. იგი ამტკიცებს, რომ პორტუგალიელები და ესპანელებისათვის მომხვეჭელობის წყურებილი გადაიტაცა სასტიკ სიძუნწეში. თუმცა სიმდიდრისაკენ სწრაფვაში მათ გააჩნდათ სხვა თვისებებიც: სიმამაცე, გერგილიანობა, ზომიერება, ტანჯე-წევალების მოთმენის უნარი, განვითარებული ეროვნული გრძნობა. ეროვნული ხასიათი თავის მხრივ გავლენას ახდენს საზღვაო ძლევამოსილების განვითარებაზე, ერის უნარით დააარსოს აყვავებული კოლონიები. მქენებ მიაჩნია, რომ კოლონისტი აიგივებს საკუთარ ინტერესებს ახალი საცხოვრებლის ინტერესებთან და თავიდანვე ზრუნავს თავისი ახალი ქვეწის რესურსების განვითარებაზე.

— მმართველობის პოლიტიკური ხასიათი. ვინაიდან მასზე არის დამოკიდებული საუკეთესო ბუნებრივი და ადამიანური რესურსების მიზნობრივი პერიტურებაცია საზღვაო ძლევამოსილების შესაქმნელად. მქენებ მიაჩნია, რომ საზღვაო ძლევამოსილების განვითარება დამოკიდებულია მთავრობის სიბრძნის, ენერგიისა და ჟინისაგან. მან უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ხალხის ბუნებრივი მიღრეკილობები, ხელი შეუწყოს მის ყოველმხრივ ზრდასა და განვითარებას. მთავრობა მით უფრო სახდომა, რაც უფრო დიდია მის მოღვაწეობაში ხალხის ნება. დესპოტური ხელისუფლება დასახულ მიზანთან შეიძლება უფრო მაღა მივიღეს და უფრო ნაკლებად გადაისაროს დასახული გეგმისაგან, ვიდრე ეს სესაძლებელია თავისუფალი ხალხის მთავრობისაგან. ბრძენი მთავრობა, რომელიც

ექტრდნობა საზღვაო ძლევამოსილებას, ადგილად დაიპურობს ერთ ან რამოდენიმე ქვეყანას.



**ფრიდრიხ რატცელი (1844-1904 წწ.) (გერ., Friedrich Ratzel) გერმანელი მეცნიერი, გეოგრაფი, სოციოლოგი, პალეონტოლოგი და ზოოლოგი.**

ფრიდრიხ რატცელი მეკლევართაგან პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სივრცე არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი. მას მიაჩნდა, რომ სივრცე არის არა უბრალოდ ტერიტორია, რომელიც უკავია სახელმწიფოს და წარმოადგენს მისი ძალის ერთ-ერთ ატრიბუტს. სივრცე – თვალი არის პოლიტიკური ძალა. ამგვარად რატცელისათვის სივრცე უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნება. იგი წარმოადგენს იმ ბუნებრივ ფარგლებს, რომლებმიც მიმდინარეობს ხალხების ექსპანსია. ყოველ სახელმწიფოსა და ხალხს გააჩნია თავისი „სივრცული კონცეფცია“, ანუ იდეა საპუთარი ტერიტორიული სამფლობელოების შესაძლო ზღვარზე. სახელმწიფოს დაცემა არის დასუსტებული სივრცული კონცეფციისა და დასუსტებული სივრცული გრძნობის შედეგი. სივრცე განაპირობებს ხალხის არა მარტო ფიზიკურ ევოლუციას, არამედ აგრეთვე მის მენტალურ დამოკიდებულებას გარესამყაროსთან. ადამიანის შეხედულება სამყაროზე დამოკიდებულია სივრცეზე, რომელშიც ის ცხოვრობს.

ჩრდილოეთ ამერიკაში მოგზაურობის შედეგად ფრიდრიხ რატცელმა დაწერა ორი წიგნი: 1874 წელს “ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქებისა ცივილიზაციების რეკები” და 1878-1880 წ-ს “ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები”. რატცელი აღნიშნავს, რომ ამერიკელებს უმაღლეს დონემდე აქვთ განვითარებული “სივრცის შეგრძება” იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი აღმოჩნდნენ “ცარიელი” სივრცის ათვისების პრობლემის წინაშე და შესაბამისად ამერიკელები შეგნებულებად ანხორციელებენ იმას, რისკენაც ევროპელები მიდიან ინტეიციურად და ეტაპობრივად.

ფრიდრიხ რატცელისათვის სივრცე არის LebensRaum – სასიცოცხლო სივრცე, გეობიოგარემო, რომელიც სასიცოცხლო ენერგიას აძლევს ხალხს. სივრცე განიხილება როგორც ამ სივრცეში მცხოვრები ეთნოსის სასიცოცხლო უწყვეტი სხეული. ეთნოსისა და

სივრცის თანაფარდობაზე იგი წერდა, რომ “სახელმწიფოს მახასიათებლები” ვთარდებიან ხალხისა და ნიადაგის მახასიათებლებიდან. კეთილი მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენენ: ზომები, ადგილმდებარეობა და საზღვრები. შემდეგ მოდიან ნიადაგის ტიპები მცენარეულ საფართან ერთად, ირიგაცია და თანაფარდობა მიწის ზედაპირის დანარჩენ კონგლომერატებთან, პირველ რიგში მიმდებარე საზღვრებთან და დაუსახლებელ მიწებთან. მაგრამ როდესაც საუბრობენ “ჩვენს ქვეყანაზე” ამას ემატება ყოველივე ის, რაც ადამიანმა შექმნა და მიწასთან დაკავშირებული ყველა მოგონება. ამგვარად გეოგრაფიული ცნება გადაიქცევა ქვეყნის მაცხოვრებლებისა და მათი ისტორიის სულიერ და ემოციონალურ კავშირად.

ურიდრის რატცელმა პირველმა ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური კონცეფცია Weltmacht – „მსოფლიო სახელმწიფოს“ კონცეფცია. მან შენიშნა, რომ დიდ სახელმწიფოებს თავის განვითარებაში გააჩნია მაქსიმალური გეოგრაფიული ექსპანსიის ტენდენცია, რომელიც დროთა განმავლობაში იძენს მსოფლიო ხასიათს. მისი აზრით სახელმწიფოს გაფართოება და შეკუმშვა წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია სასიცოცხლო ციკლთან. რატცელმა ჩამოაყალიბა სახელმწიფოს სივრცული ზრდის შეიდი კანონი, ეს არის სახელმწიფოს სივრცული ზრდის პრინციპების ერთობლიობა:

1. სახელმწიფოს სივრცე იზრდება მისი კულტურის ზრდასთან ერთად;
2. სახელმწიფოს ზრდა გულისხმობს იდეებს, ვაჭრობის შემდგომ განვითარებას, ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მზარდ აქტუირობას;
3. სახელმწიფოს ზრდა მიმდინარეობს მცირე სახელმწიფოების შთანთქმის (შემოერთების) ხარჯზე;
4. საზღვარი – ეს არის სახელმწიფოს პერიფერიული ორგანო, იგი არის მისი ზრდის, ძალის ან სისუსტისა და მის ორგანიზმში ცვლილებების ხაშთი;
5. სახელმწიფო მისწრაფვის შეისრულოს ფიზიკური გარემოცვის ყველაზე ფასეული ელემენტები: სანაპირო ზოლები, მდინარეთა აუზები, რესურსებით მდიდარი რაიონები;
6. განუვითარებელ სახელმწიფოებს ტერიტორიული ზრდის საწყისი იმპულსი მოხდით გარედან, უფრო განვითარებული (მაღალი) ცივილიზაციებიდან;
7. შემოერთებისა და შთანთქმის ტენდენცია – წარმოადგენს სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშანს, რომელიც იძენს სულ უფრო და უფრო მზარდ ხასიათს;

ფრიდრიხ რატცელს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს ზრდა წარმოადგენს საყოველთაო, უნიკალურ ტენდენციას. ადამიანთა კონტაქტების განვითარება, გაცვლა, ვაჭრობა – ეს არის ახალ კოლონიზირებად ტერიტორიებზე სახელმწიფოს პოლიტიკური კონტროლის დამყარების პრელუდია. ვაჭრობა და ომი – ეს არის ორი ფორმა, ორი სტადია სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდის პროცესში.

რატცელისთვის ზღვა და „მსოფლიო სახელმწიფო“ ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მან პირველმა გამოთქმა აზრი ცივილიზაციის განვითარებაში ზღვის მნიშვნელობის ზრდის შესახებ. 1900 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ზღვა ხალხთა ძლიერების სათავე“ იგი აღნიშნავდა, რომ დიდმა სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა განავითაროს თავისი საზღვაო-სამსუბურო ძალები, ვინაიდან ამას ითხოვს პლანეტარული მასშტაბის სრულფასოვანი ექსპანსია. მისი აზრით იმას, რასაც ზოგიერთი სახელმწიფო (ინგლისი, პოლანდია, ესპანეთი და სხვ.) სპონტურად ახორციელებდა, სახმელეთო სახელმწიფოებმა (გერმანიამ...) შეგნებულად უნდა გააკეთონ: Weltmacht – „მსოფლიო სახელმწიფოს“ სტატუსთან მიახლოებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფლოტის განვითარება.

ფრიდრიხ რატცელის ნაშრომებში საფუძველი ჩაეყარა „ოკეანური ციკლის“ პოპულარულ გეოპოლიტიკურ იდეას. ექ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხმელთაშუა ზღვის აუზება და ატლანტიკას, როგორც მსოფლიოს უმნიშვნელოვანებს სტრატეგიულ რაიონებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წენარი ოკეანის აუზის მნიშვნელობის ანალიზი. რატცელი მას უწოდებს „მომავლის ოკეანეს“, რომელიც ხელსაყრელი სტრატეგიული მდგრომარეობის, უნიკალური რესურსებისა და უზარმაზარი მოცულობის გამო მაღლებრივი მსოფლიოს ბევრი წამყვანი სახელმწიფოს აქტიური მოღვაწეობისა და ინტერესების შეჯახების არენა. სახელმწიფო, რომელიც მოიპოვებს პირველობას წენარი ოკეანის აუზში, გახდება მსოფლიო დომინანტი.

რატცელი დარწმუნებული იყო, რომ მაღლე წენარი ოკეანის ზოლში ძალისმიერი მეთოდებით დაიწყება ურთიერთობის გარკვევა მსოფლიოს ხუთ წამყვან სახელმწიფოს შორის. ეს სახელმწიფოებია: დიდი ბრიტანეთი, აშშ, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია. რატცელი და მისი მოწაფეები მივიღნენ იმ დასკვნამდებ, რომ გადამწყვეტი კონფლიქტი საზღვაო და კონტინენტალურ სახელმწიფოებს შორის მოხდება სწორედ წენარი ოკეანის ზონაში და კატასტროფული ფინანსობრივი დამთავრებები კაცობრიობის ისტორიის ციკლურ უკოლუციას. ამავდროულად ამ კონფლიქტში კონტინენტალურ სახელმწიფოებს, მათი მდიდარი რესურსებით, გააჩნიათ სრულიად გარკვეული უპირატესობა საზღვაო სახელმწიფოებთან შედარებით, ვინაიდან

ისინი არ ფლობენ საქმარის სივრცეს თავიანთი გეოპოლიტიკური ბაზის სახით.

რატცელის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი იდეა:

– ჩინეთი და ჩინეთის მოსახლეობის მიგრაცია. რატცელის აზრით „სიცოცხლისუნარიანი ხალხის უმნიშვნელოვანების მახასიათებელს წარმოადგენს მობილურობა, იგი წარმოადგენს ნებისმიერი ერის მახასიათებელს და ახასიათებს თვით იმ ერებსაც, რომლებიც ერთი შეხედვით იმყოფებიან უძრაობაში”. ჩინური ემიგრაცია წარმოადგენს მშვიდობიანი კოლონიზაციის მაგალითს, მოკრძალებულს თავისი მასშტაბებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ იგი ხორციელდება გლეხებისა და ვაჭრების მიერ. „ისტორიამ იცის უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ კარგავდა ერთი სახელმწიფო იმ ტერიტორიებს რომლებიც წაართვა მეორე სახელმწიფოს, იმიტომ რომ დამპყრობელი ხალხი არ აცნობიერებდა ამ ტერიტორიების შემომტკიცების მნიშვნელობას სამეურნეო ათვისების გზით. არსებობს აგრეთვე უამრავი საპირისპირ მაგალითი როდესაც მცირერიცხოვანი ადამიანების ცივილიზატორული საქმიანობა წინ უძღვის ამ ტერიტორიაზე პოლიტიკური ბატონობის დამყარებას”.

– ამერიკის შეერთებული შტატებში მოგზაურობისას რატცელი გაოცებული იყო ამერიკის დასავლეთის ახალი მიწების ათვისების გაქანებით, ენერგიული და ყოჩადი ემიგრანტების ერთიმეორებს მიყოლებული ტალღით. რატცელისათვის აშშ იყო მომავლის სახელმწიფოს ხატება, რომელიც ვითარდებოდა ვრცელ ტერიტორიებზე. ამას ხელს უწყობდა ქვეყნის მოცულობა და ბუნებრივი სიმძიმერის მრავალფეროვნება. რატცელის აზრით ყველაზე ხელსაყრელი პერსპექტივები იშლებოდა სახელმწიფო კონტინენტების წინაშე, ვინაიდან სწორედ ისინი იყვნენ ყველაზე მომზადებული პლანეტარული მაშტაბის სისტემის დამყარებისთვის.

– დიდი ბრიტანეთი. რატცელის განსაკუთრებული უურადვება მიიპყრო არც თუ ისე დიდი ინგლისის თავბრუსდამხვევმა კოლონიალურმა, სამრეწველო და საგაჭრო ექსპანსიამ. მისი აზრით „ხელსაყრელი საგარეო სტიმულების გამოყენება და სამსედრო უსაფრთხოება – არის ზრდისა და სრულყოფის უმნიშვნელოვანების გარანტია. ეს ეხება ნებისმიერ ორგანიზმებს, ცალკეულ ინდივიდუებებსა და ხალხებს, რომლებმაც მიაღწიეს თავიანთ სიმწიფეს იმ შემთხვევებში, როდესაც სიღიავე ერწყმის საკუთრების არსებობას”. სწორედ ამით აისხება დიდი ბრიტანეთის ძლევამოსილება: მტრების თავდასხმისაგან ზღვებით დაცული, ევროპის უშუალო სიახლოეს განლაგებული ინგლისი თავის გავლენას ავრცელებს ყველა ოკეანეზე და იტაცებს ვრცელ ტერიტორიებს სხვა კონტინენტებზე (ჩრდილოეთ ამერიკა, ინდოეთი

ავსტრალია, აფრიკის სამხრეთი) და იმავდროულად არ კარგავს თავის თვითმშობლობას. (4)



იუსან რუდოლფ ჩელენი (1864–1922 წწ.) (შვედ., Johan Rudolf Kjellén) იურისტი და სახელმწიფო მცოდნე. ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი.

რუდოლფ ჩელენს მიაჩნდა, რომ ინდივიდუალური სახელმწიფოს ყველამხრივ შესწავლის საფუძველზე შეიძლება მოხდეს ზოგიერთი ყველაზე ზოგადი კანონებისა და პრინციპების დედუცირება, რომლებიც შეესატევისება ყველა სახელმწიფოს და ყველა დროს. ერთ-ერთი მათგანს წარმოადგენს სახელმწიფოს სიძლიერე. სახელმწიფოები აღზევდებიან იმიტომ, რომ არიან ძლიერები. ჩელენს მიაჩნდა, რომ ძალა წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს სახელმწიფოს არსებობის შესანარჩუნებლად, ვიდრე კანონი, კინაიდან თვით კანონის დაცვა შესაძლებელია მხოლიდ ძალით. სწორედ ძალაში პოლიტიკის ჩელენი თავის მთავარ თეზისს, სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი, მტკიცებულებას. კანონს ზეობრივ-რაციონალური ელემენტი შეაქვს სახელმწიფოში, ძალა კი აძლევს მას ბუნებრივ ორგანულ იმპულსს. ჩელენი ამტკიცებდა რომ სახელმწიფო არის მიზანი თავის თავში და არა ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნებს.

1910 წელს გამოქვეყნებულ წიგნში “დიდი სახელმწიფოები” რედოლეფ ჩელენი ცდილიბდა დაგეტკიცებინა, რომ მცირე ქვეყნები თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე “განწირულნი” არიან დამორჩილებულნი იყვნენ “დიდი სახელმწიფოების” მიერ, რომლებიც ისევ და ისევ თავიანთი “გეოგრაფიული ბედისწერიდან” გამომდინარე ვალდებულნი არიან გააერთიანონ ისინი დიდ გეოგრაფიულ და სამეცნინო “კომპლექსებად”. ჩელენი აღნიშნავდა, რომ მსგავსი სახის “კომპლექსები-კერძოდ აშშ, ბრიტანეთის იმპერია, რუსეთის იმპერია-ჩამოყალიბდნენ ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში, მაშინ როდესაც დიდი ევროპული “კომპლექსის” ანუ ერთობის ჩამოყალიბება წარმოადგენს გერმანიის ამოკანას.

რუდოლფ ჩელენმა განაცითარა რატცელის გეოპოლიტიკური პრინციპები კონკრეტული ისტორიულ სიტუაციასთან მიმართებაში. მან ლოგიკურ დასრულებამდე მიიყვანა რატცელის “კონტინენტალური სახელმწიფოს” იდეა გერმანიასთან მიმართებაში და აჩვენა, რომ ევროპის კონტექსტში გერმანია წარმოადგენს იმ სივრცეს, რომელსაც გააჩნია დერძული დინამიზმი და რომლის მოწოდებას წარმოადგენს ევროპის დანარჩენი სახელმწიბოების სტრუქტურირება თავის გარშემო. გერმანოფილმა რუდოლფ ჩელენმა განაცხობიერა რა სკანდინავიული ქვეყნების სისუსტეს პოტენციალური საგარეო საფრთხის წინაშე, წამოაყენა გერმანულ-ნორიდიული კავშირის შექმნის წინადადება გერმანიის იმპერიის მეთაურობით.

საინტერესოა პირველი მსოფლიო ომის ჩელენისეული ინტერპერეაცია. მისი აზრით ეს იყო ბუნებრივი გეოპოლიტიკური კონფლიქტი აღმოცენებული გერმანიისა და მისი მოკავშირე დერმის სახელმწიფოების დინამიურ ექსპანსიასა და ანგანტის პერიფერიულ ეპროპულ და არაევროპულ სახელმწიფოებს შორის. განსხვავებაშ გეოპოლიტიკური ზრდის დინამიკაში განაპირობა ძალთა ძირითადი განლაგება (დაღმავალი ინგლისისა და საფრანგეთისათვის, აღმავალი გერმანისათვის). მისი აზრით გერმანიის გეოპოლიტიკური გაიგივება ევროპასთან გარდაუვალია, მიუხედავად პირველი მსოფლიო ომში გერმანიის დროებითი დამარცხებისა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ რუდოლფ ჩელენმა ჩამოაყალიბა თეზისი იმ სამ გეოგრაფიულ ფაქტორზე, რომლებიც მთავარ როლს თამაშობენ გლობალურ გეოპოლიტიკაში. ამ ფაქტორებიდან ის მიიჩნევს გაფართოებას, ტერიტორიულ მონოლითურობასა და გადაადგილების თავისუფლებას. იგი ამტკიცებდა, რომ დიდი ბრიტანეთი გამოიჩვა თავისუფალი გადაადგილების მაღალი ხარისხით, მძლავრი საზღვაო ფლოტისა და საზღვაო კომუნიკაციებზე ბატონობის წყალობით იგი ასევე ფლობს გაფართოების ფაქტორსაც, აქ ლაპარაკია უზარმაზარ კოლონიურ სამფლობელობზე (ბრიტანეთის იმპერია განლაგებილი იყო დედამიწის ზედაპირის 24%-ზე), მაგრამ დიდ ბრიტანეთს არ გააჩნია მონოლითურობა, ვინაიდან მისი კოლონიები მიმოფანტული იყო მთელ სამყაროში. სწორედ ამაში მდგომარეობდა ინგლისის პოლიტიკის სუსტი მხარე. რუსეთს გააჩნია დიდი ტერიტორია, მონოლითურობა, მაგრამ არ აქვს გადაადგილების თავისუფლება, ვინაიდან რუსეთის გასვლა თბილი ზღვებისგენ შეზღუდულია.

რუდოლფ ჩელენმა განამტკიცა რატცელის გეოპოლიტიკური მაქსიმა; გერმანიის ინტერესები უპირისპირდებიან დასავლეთევროპული სახელმწიფოების (განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისის) ინტერესებს. მაგრამ გერმანია არის

“ჭაბუკი” სახელმწიფო, გერმანელები კი “ჭაბუკი ერი” (იდეა “ჭაბუკი ერების” შესახებ, რომლებსაც მიაკუთვნებდნენ გერმანელებსა და რუსებს, ეკუთხოდა ო. დოსტოევსკის. იგი იყენებდა ტერმინს “იუნაი ნაროდ” და ჩვენ მიზანშეწონილად მივინიეთ “იუნაი” გვეთარგმნა როგორც “ჭაბუკი”, მისი მზარდი მიზანდასახული აგრძესიულობის გამო, და არა როგორც “ნორჩი”, “ახალგაზრდა”). ჩელენის აზრით “ჭაბუკი” გერმანია უნდა დაეუფლოს შუაევროპულ სივრცეს და შექმნას პლანეტარული მაშტაბის კოტინენტალური სახელმწიფო, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია დაიღუპება ისეთ გეოპოლიტიკურ სტრუქტურებთან ბრძოლაში, როგორიცაა რუსეთი, ინგლისი თავის კოლონიებით, საფრანგეთი და აშშ. ამისთვის ცენტრალური ევროპის ხალხები უნდა გაერთიანდნენ ხარისხსრივად ახალი პლატფორმის განვითარები, რომლის დერძიც იქნებიან გერმანელები, ვინაიდან საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებს გერმანიას დაიცას მთელი ევროპის მთავარი ინტერესები.

1916 წელს გამოქვეყნებულ თავის ძირითად ნაშრომში “სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა”, რუდოლფ ჩელენმა განააღმინა ძალის ავტონომია და მისი გეოგრაფიული საფუძვლები. მისი აზრით სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმათა ერთობლიობა შედგება ხუთი სასიცოცხლო ფორმისგან:

- ფიზიკურ-გეოგრაფიული (სივრცეში განვითარებილი ორგანიზმი – გეოპოლიტიკა);
- სამეცნიერო (თავისი სპეციფიკული აქტიურობით – ეკოპოლიტიკა);
- როგორც ხალხი თავისი ეროვნული და ეთნიკური მახასიათებლებით – დემოპოლიტიკა;
- განსხვავებული ალასებისა და პროფესიების სოციალური ერთობა – სოციოპოლიტიკა;
- სახელმწიფო მართვის ფორმით მისი კონსტიტუციური და აღმინისტრაციული სტრუქტურებით – კრატოპოლიტიკა.

ჩელენის აზრით ერთი და იგივე ძალის ეს ხუთივე ელემენტი, ხუთი თითის მსგავსად შრომობენ შშვიდობიან დროს და იბრძვიან ომის დროს.

სივრცეს, რომელსაც აკონტროლებს სახელმწიფო ან სახელმწიფოთა კავშირი ეწოდება გეოპოლიტიკური ველი. გთავაზობთ მსგავსი ველების შემდეგ კლასიფიკაციას:

– ენდემური ველი (ბერძნული – endemos-ადგილობრივი) – სივრცე, რომელსაც სახელმწიფო აკონტროლებს დიდი ხნის განმავლობაში. ამ ტერიტორიის კუთვნილება მოცემული ეროვნული ერთობის მიერ აღიარებულია მეზობლების მიერ.

– სასაზღვრო ველი – ტერიტორია, რომელიც იმყოფება მოცემული სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, მაგრამ არ არის

სათანადოდ ათვისებული დემოგრაფიულად, კონომიკურად და პოლიტიკურად. ხშირ შემთხვევაში ამდაგვარ ველს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული სივრცე. მოსაზღვრე სახელმწიფოები საქართველო მიიჩნევენ ამ ტერიტორიების კუთხილების საკითხს, მაგრამ არ განიხილავენ მათ, როგორც საჯუთარ ტერიტორიებს.

— ჯავარედინი ველი — სივრცე, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს რამოდენიმე მოსაზღვრე სახელმწიფო.

— ტოტალური ველი — ეროვნული ერთობის კონტროლის ქვეშ მყოფი უწყვეტი სივრცე.

— გეოპოლიტიკური საყრდენი წერტილი — ტერიტორია, რომელიც იმყოფება ტოტალური ველის მიღმა, რომელსაც აკონტროლებს რომელიმე სახელმწიფო, მაგრამ ამ ტერიტორიისაკენ მიმავალ კომუნიკაციებს აკონტროლებს სხვა სახელმწიფო ან სახელმწიფოები.

— მეტაველი — სივრცე, რომელსაც ერთდროულად რამოდენიმე სახელმწიფო ითვისებს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ათვისება მიმდინარეობს გარედან გეოპოლიტიკური ზეწოლის პირობებში. (5, 24-25)

გეოპოლიტიკურ სივრცეზე კონტროლის მრავალფეროვანი ფორმები ცნობილია ოდითგანვე. ესენია: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, საკომუნიკაციო, რელიგიური და სხვა. თანამედროვე პირობებში დიდ როლს თამაშობენ საინფორმაციო-იდეოლოგიური, ტექნოლოგიური და კულტურულ-ცივილიზაციური კონტროლის ფორმები. კონტროლის ეს ფორმები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება სხავასხაბგარი კომბინაციური შესამების სახით, რამეთუ გეოპოლიტიკური მიღვომა მოითხოვს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთმოქმედების ყველა ფაქტორის გათვალისწინებას. ეს ფაქტორებია: გეოგრაფიული, კონომიკური, სამხედრო, დემოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურულ-რელიგიური, ეთნიკური, ინფორმაციული.

მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე პოლიტიკური სივრცის ცნება, რომელიც შემოფარგლულია საზღვრებით. სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს პოლიტიკური სივრცე. გეოპოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სივრცული ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის. ამ როლში გამოდიან საზღვრები. საზღვრების გეოპოლიტიკური პრობლემა წარმოიშვება ყოველთვის, როგორც კი იწყება ბრძოლა პოლიტიკურ სივრცეზე კონტროლის, მიერთებისა და ათვისებისათვის. საზღვრები, სახელმწიფოების შორის, წარმოადგენს მათი ინტერესების პოლიტიკურ-სტრატეგიულ გამმიჯნავ ხაზს. სასაზღვრო სივრცე — ანუ ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს და თავისი

ბუნებრივი და სოციალ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, სამხედრო თვალსაზრისით ტაქტიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს ქმნის.

ეროვნული სახელმწიფოების იურისდიქციის მიღმა მდებარე ტერიტორიებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, ეწოდება საერთაშორისო ტერიტორია და ეს არის სივრცე, რომელზეც არ ვრცელდება რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტი. იგი განისაზღვრება როგორც *res communis*, ანუ ტერიტორია, რომელიც ეუუთვნის ყველას.

საერთაშორისო ტერიტორიებს, ტარდიციულად, მიეკუთვნება: დია ზღვა; საჰაერო სივრცე დია ზღვის თავზე; ეროვნული იურისდიქციის (კონტინენტალური შელფის) მიღმა მდებარე ზღვებისა და ოკეანების ფსკერი; ანტარქტიდა კოსმოსური სივრცე, მათ შორის მთვარე და სხვა ციური სხეულები.

გაეროს კონვენციამ საზღვაო სამართლის შესახებ მსოფლიო ოკეანე და ზღვები განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის მქონე 9 ზონად დაჲყო: შიდა წყლები; ტერიტორიული ზღვა; მიმდებარე ზონა; განსაკუთრებული კონტინენტური ზონა; განსაკუთრებული თევზჭერის ზონა; არქიპელაგური წყლები; კონტინენტური შელფი; დია ზღვა; დია ზღვის ფსკერი.


საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად (United Nations Convention on Law of the Sea (UNCLOS), ტერმინი “დია ზღვა” აღნიშნავს ზღვის ყველა იმ ნაწილს, რომლებიც არ შედიან რომელიმე სახელმწიფოს შიდა წყლებში ან ტერიტორიულ ზღვაში (UNCLOS I - 1958 წლის 29 აპრილის კონვენციის სტ.1) დია ზღვა გახსნილია ყველა ერისათვის და არც ერთ სახელმწიფოს არა აქეს უფლება მისი რომელიმე ნაწილი დაუქმებდებაროს თავის იურისდიქციას. დია ზღვის თავისუფლება, რომელიც კრძალავს რომელიმე ერის მიერ მის დასაკუთრებას, გარანტირებულია შემდეგი პირობებით: ნაოსნობის თავისუფლება; თევზის რეწვის თავისუფლება; წყალქვეშა კაბელებისა და მიღსადენების გაყვანის თავისუფლება; დია ზღვის თავზე ფრენის თავისუფლება (UNCLOS I - 1958 წლის 29 აპრილის კონვენციის სტ. 2)

1982 წელს მიღებულმა გაეროს კონვენციამ (UNCLOS III), საზღვაო სამართლის შესახებ, გააფართოვა დია ზღვის თავისუფლების პირობები. იმ დროიდან მოყოლებული, დია ზღვის თავისუფლება კრცელდება არა მარტო ზღვისპირა სახელმწიფოებზე, არამედ იმ სახელმწიფოებზეც, რომლებსაც არა აქვთ ზღვაზე გასასვლელი და მათ აქვთ: ნაოსნობის თავისუფლება; ფრენის თავისუფლება; წყალქვეშა კაბელებისა და მიღსადენების გაყვანის თავისუფლება; დია ზღვის თავზე ფრენის თავისუფლება; საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაშვებული, (1982 წლის კონვენციის VI ნაწილის დაცვით); ხელოვნური ქუძალებისა და სხვა სახის დანადგარების აგების თავისუფლება, საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაშვებული, (1982 წლის კონვენციის VI ნაწილის დაცვით); თევზის რეწვის

თავისუფლება (1982 წლის კონვენციის II განყოფილებაში მოცემული პირობების დაცვით); სამეცნიერო კვლევების წარმოების თავისუფლება, (1982 წლის კონვენციის VI და XIII ნაწილების დაცვით);

საქართველოს სივრცის ზედა ზღვარს წარმოადგენს დედამიწის სივრცის საზღვარი მასხა და კოსმოსს შორის. დედამიწის სივრცის საზღვაში გულისხმობენ ბურთულისმაგვარ ზედაპირს, რომელიც იმეორებს დედამიწის კონფიგურაციას და განლაგებულია მისი ზედაპირიდან (ზღვის დონე) რაღაც ნამდილზე (110 კმ.) (3, 37)

ეროვნული იურისდიქციის გარე მდებარე ზღვებისა და ოკეანების ფსკერი გაეროს 1982 წლის კონვენციის თანახმად გამოცხადებულია კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობად (1982 წლის კონვენციის პრეამბულის პუნქტი №6). კონტინენტალური შელფის მიღმა მდებარე ზღვებისა და ოკეანების ფსკერმა მიიღო ზღვის ფსკერის საერთაშორისო რაიონის სახელი და იგი არ ექვემდებარება ეროვნულ მითვისებას, ანუ როგორც არის დაფიქსირებული კონვენციის 137 სტატიაში – არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს სუვერენიტეტზე ან სუვერენულ უფლებებზე ან განახორციელოს ისინი ამ რაიონის რომელიმე ნაწილზე ან რესურსებზე და რომ არცერთ სახელმწიფოს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს არ შეუძლია მიითვისოს მათი რომელიმე ნაწილი.



### კონტინენტალური შელფი

საერთაშორისო ტერიტორიის ამ სახეობის სტატუსს ახასიათებს რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი: ეროვნული იურისდიქციის გამორიცხვა; მასზე საქმიანობა მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ (სტატია №140); მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება (სტატია №141); ტერიტორიის (რაიონის) რესურსებზე, ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ყველა უფლების განახორციელება ეკუთვნის საზღვაო ფსკერის სპეციალურ საერთაშორისო ორგანოს (სტატია №153-ს ნაწილი I); რესურსების პარალელური დამუშავება (სტატია №153-ს ნაწილი II, პუნქტი “ბ”);

მისი არ ცნობა მსოფლიოს მრავალი წამყვალი სახელმწიფოს მიერ. მაგალითად, 1984 წელს აშშ, დიდმა ბრიტანეთმა, გვრ და კიდვე ხუთმა სახელმწიფომ დადეს სეპარატისტული ხელშეკრულება მსოფლიო ოკეანის პერსპექტიულ რაიონებში მინერალური რესურსების დამუშავების შესახებ და შესაბამისად, იგნორირება გაუკეთეს 1982 წლის კონვენციის ნორმებს.

ანტარქტიკას უკავია დაახლოებით 52,5 მილიონი კვ.კმ. და მოიცავს დაუსახლებელ მატერიეს ანტარქტიდას (13 975 ათას კვ.კმ., მათ შორის 1 582 ათას კვ.კმ. შედფური მყინვარები და კუნძულები, რომლებიც მიეკუთვნებიან ანტარქტიდის მყინვარებს), მიმდებარე კუნძულებს (მათ შორის სამხრეთ ორქნეის, სამხრეთ სენდვიჩის, სამხრეთ შეტლენდის კუნძულები), აგრეთვე ატლანტის, წყნარი და ინდოეთის ოკეანების ნაწილი, რომელსაც ხშირად უწოდებენ სამხრეთის ან ანტარქტიკულ ოკეანეს. ანტარქტიკის ტერიტორია ძირითადად განლაგებულია სამხრეთ განედის 48-60 გრადუსების არეალში.

არქტიკაში საკუთარი სექტორები გააჩნია, მის მოსაზღვრე, ხუთ სახელმწიფოს: დანიას, ნორვეგიას, კანადას, აშშ-ს და რუსეთს. თითოეული ამ სახელმწიფოს არქტიკულ სექტორს წარმოადგენს სივრცე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ამ სახელმწიფოს სანაბირო, ხოლო გვერდით ხაზს – მერიდიანები ჩრდილო პოლუსიადნ ამ სახელმწიფოების აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებამდე. არქტიკის სექტორის ფარგლებში საზღვაო და საჰაერო ნაოსნობა დასაშვებია მხოლოდ მიმდებარე სახელმწიფოების ნებართვით და მხოლოდ მშვიდობიანი და სამეცნიერო მიზნებით.

კოსმოსური სივრცე ასევე არ ექვემდებარება ეროვნულ მითვისებას. კოსმოსური სივრცე, მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით, ლიაა კვლევისა და გამოყენებისათვის, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველგვარი დიკრიმინაციის გარეშე თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად თავისუფალი დაშვება ციური სხეულების ნებისმიერ რაიონში (1967 წლის 27 იანვარის ხელშეკრულება „სახელმწიფოთა მოღვაწეობის პრინციპები კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების შესახებ“ სტატია №1).

საზღვრები წარმოადგენს სუვერენიტეტების მოქმედების სფეროების გამყოფ ხაზებს. პოლიტიკური საზღვარი, ერთდროულად, წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს საგარეო გარსს და მის მეზობლებთან კონტაქტის ხაზს. პოლიტიკური, იდეოლოგიური, ლინგვისტური და რელიგიური განსხვავების მიუხედავად სახელმწიფო საზღვარი წარმოადგენს უნივერსალური სასიათის ერთადერთ ნორმას.

საზღვრები ხელს უწყობენ სახელმწიფოების მიერ თავის თავის, როგორც ერთიანი მთელის ადქმას, რომელიც განსხვავდება სხვა სახელმწიფოებსაგან და რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე გააჩნია უცილობელი სუვერენიტეტი.

### ცნებები და ტერმინები:

**საწყისი ხაზები** – სანაპიროსა და ზღვის გამყოფი წირი. საზღვარი სახელმწიფოს შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას შორის. საწყისი ხაზებიდან იწყება ტერიტორიული ზღვის, საგანგებო ეკონომიკური ზონის და სხვა საზღვაო ზონების აზომვა.

**სახელმწიფოს შიდა წყლები** – სახელმწიფოს საზღვრებში მთლიანად მოქცეული ზღვები, ტბები, მდინარეები და საერთაშორისო ზღვების ის ნაწილი, რომელიც ამ სახელმწიფოს საწყისი ხაზების შიგნით (ხმელეთისაკენ) არის განლაგებული. იგი იმყოფება სახელმწიფოს აბსოლუტური იურისდიქციის ქვეშ.

**საზღვაო მილი** – განსხვავდება ინგლისური მილისაგან და უდრის 1853 მეტრს.

**სივრცე** – გეოპოლიტიკის ძირითადი ცნება. წარმოადგენს არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ კატეგორიას. სივრცის სტრუქტურა წინასწარ განსაზღვრავს ისტორიის (პირველ რიგში პოლიტიკური ისტორიის) სტრუქტურას. ასეთია გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი თეზისა.

**სივრცობრივი აზრი** – რატცელის ტერმინი. ხარისხობრივ სივრცეში ჩადებული ისტორიული წინასწარგანსაზღვრულობის სისტემა.

**ტერიტორიული ზღვა** – ტერიტორიული წყლების სანაპიროს მიმდებარე ზოლი ზღვაში. მისი სიგანე არ აღემატება 12 საზღვაო მილს და ათივლება საწყისი ხაზებიდან. იგი არის სანაპირო სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორია. უცხო სახელმწიფოს გემბის აქვთ მასში მშვიდობიანი გავლის უფლება საზღვაო სამართლის ნორმების შესაბამისად.

**ტერიტორიული წყლები (territorial waters)** - 12 საზღვაო მილის სიგანის წყლის სივრცე, რომელიც გასდევს სახელმწიფოს სანაპირო ზოლს.

**შელფი (shelf )** – კონტინენტალური შელფი, მატერიკული მეჩქინელი – მატერიკის წყალქვეშა სანაპიროს გასწორებული განფენილობა, რომელიც ხმელეთს ეკვრის და მასთან საერთო გეოლოგიური აგებულებით ხასიათდება. შელფების საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 32 მილიონ კვ.კმ-ს. ყველაზე დიდი შელფი გააჩნია ევრაზიის ჩრდილოეთ სანაპიროს, სადაც მისი სიგანე აღწევა 1,5 ათას კოლომეტრს. ასევე დიდი შელფი აქვს ბერინგის ზღვას, ჰუმონის უერეს, სამხრეთ-ჩინეთის ზღვას, ავსტრალიის ჩრდილოეთ სანაპიროს.

**ზღვა** – მსოფლიო ოკეანის ნაწილი, გამოყოფილი ხელებით ან შემადლებული წყალქვეშა რელიეფით. ზღვები ოკეანების მიხედვით:

**წყნარი ოკეანე** – ბანდის ზღვა, ბერინგის ზღვა, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა, ყვითელი ზღვა, მარჯნის ზღვა, მინდანაოს ზღვა, ოხოტის ზღვა, სულავესის ზღვა, სულუს ზღვა, ტასმანის ზღვა, ფიჯის ზღვა, ფილიპინის ზღვა, სამხრეთ ჩინეთის ზღვა, იავის ზღვა, იავნინის ზღვა. **ატლანტიკის ოკეანე** – აზოვის ზღვა, ბალტიის ზღვა, ირლანდიის ზღვა, კარიბის ზღვა, სარგასის ზღვა, ჩრდილოეთის ზღვა, ბელარუსის ზღვა, აღრიატიკის ზღვა, სლობორნის ზღვა, ბალკარის ზღვა, იონის ზღვა, კვიპროსის ზღვა, ლევანტის ზღვა, ლიგურიის ზღვა, მარმარილოს ზღვა, ტირენიის ზღვა, ეგეოსის ზღვა, კრეტის ზღვა, შავი ზღვა, შოტლანდიის ზღვა. **ინდოეთის ოკეანე** – ანდამანის ზღვა, არაბეთის ზღვა, არაფურის ზღვა, წითელი ზღვა, ტიმორის ზღვა. **ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე** – ბარენცის ზღვა, პეტორის ზღვა, ბაფინის ზღვა, თეორი ზღვა, ბოფორტის ზღვა, აღმოსავლეთ-ციმბირის ზღვა, გრელანდიის ზღვა, ლაპტევების ზღვა, ნორვეგიის ზღვა, ჩუკიტიკის ზღვა. **სამხრეთის ოკეანე** – ამუნდსენის ზღვა, როსის ზღვა, უკდელის ზღვა, სკოტის ზღვა, ლაზარევის ზღვა, დევისის ზღვა, ბელისნგაუზენის ზღვა.

**შიდა ზღვა** – ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება გაუმდინარე დიდი მლაშე ტბებისა და ხელოვნური წყალსაცავების აღსანიშნავად (არალის ზღვა, კასპიის ზღვა, მკვდარი ზღვა, თბილისის ზღვა).

**განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა** – ზღვის სივრცე, რომელიც შეიძლება მოითხოვოს სახელმწიფო მისი ტერიტორიული ზღვის გარეთ და მის მიმდებარევდ, საწყისი საზეპირ 200 საზღვაო მილით დაშორებულ ხაზამდე. ამ ზონაში სანაპირო სახელმწიფო ადგენს ხელოვნური კუნძულებისა და ნაგებობების აგების, სამეცნიერო კალევებისა და გარემოს დაცვის ზღვის ყველა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების წესებს. 1971 წელს კენიამ გააკეთა პირველი განაცხადი განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაზე. დღეისათვის ყველაზე დიდი ზონები აქვს აშშ-ს, საფრანგეთს, ავსტრალიას და რუსეთს.

**ოკეანე** – (“ოკიანე”-ფინკიურად “უნაპირო”, **Okeanos** – ბერძ., მდინარე) გლობალური ერთმანეთთან დაკავშირებული მლაშე წყალი, იგივე მსოფლიო ოკეანე ჟავია დედამიწის ზედაპირის თითქმის 3/4 (71%), იყოფა კონტინენტებითა და არქიპელაგებით შემდეგ ნაწილებად: წყნარი ოკეანე, ატლანტიკის ოკეანე, ინდოეთის ოკეანე, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე და სამხრეთ ოკეანე. ოკეანის მცირე ნაწილებს უწოდებენ ზღვებს, ყურეებს, სრუტეებს და სხვა.

**თავისუფალი ზღვა** (ლათ., Mare Liberum) – დოქტრინა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პოლანდიულმა იურისტმა პუგო გროციუსმა 1609 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “Mare Liberum”, სადაც მან ბუნებითი

სამართლის კონცეფციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა თავისუფალი ნაოსნობის შემდეგი პრინციპი: “როგორც პაერია საერთო, რადგან იგი არ შეიძლება იყოს ვინმეს მიერ მთვისებული და რადგან იგი არ ამოიწურება მოუწესრიგებელი სარგებლობის შედეგად და შესაბამისად იგი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ასევე ზღვაა საერთო ყველასათვის”.

**დახურული ზღვა** (ლათ., Mare clausum) – დოქტრინა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმს იურიგმა ჯონ სელდენმა 1635 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “Mare clausum”, სადაც იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ზღვას პრაქტიკაში ახასიათებს სახმელეთო ტერიტორიისათვის დამახასიათებელი თვისებები. შესაბამისად ზღვაზე ნაოსნობის ექსკლუზიური უფლება ეკუთვნის იმ სახელმწიფოს, რომელიც ძალზე დაყრდნობით რეალურად აკონტროლებს მას.

**ალფრედ თაიერ მეჭენი** (1840-1914) ამერიკელი ადმირალი, სამხედრო თეორეტიკოსი, ზღვის კლაუსეფიცად წოდებული. ნიუ-პორტის სამხედრო-საზღვაო კოლეჯის პროფესორი და 1886 წლიდან მისი პრეზიდენტი. აშშ-ს პრეზიდენტების მაკანინდის და თეოდორ რუზველტის მრჩეველი. აღსანიშნავია ერთი გარემოება: თეოდორ რუზველტი თავის თავს თვლიდა მეჭენის მოწაფედ და ამით ხახს უსვამდა მასთან სოლიდარობას. მეჭენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სივრცულ ფაქტორს.

**ფრიდრიხ რატცელი** (1844-1904) გერმანელი მეცნიერი, გეოგრაფი, სოციოლოგი, პალეონტოლოგი და ზოოლოგი. დაამთავრა კარლსრუეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და პაიდელბერგის უნივერსიტეტი. ეპოლუციონიზმისა და დარვინიზმის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის მიმდევარი. ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი. გეომანელი ნაციონალისტი, “პანგერმანისტული ლიგის წევრი”. გეოპოლიტიკის ერთეული ფუძემდებელთაგანი, თუმცა ტერმინი “გეოპოლიტიკა” მას არ გამოყენებია. თავის ნაშრომებში იგი იყანებდა ტერმინ “პოლიტიკურ გეოგრაფიას”.

**იუსან რუდოლფ ჩელენი (1864-1922)** იურისტი და სახელმწიფოთმცოდნე. ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი. ასწავლიდა გეტერბოგისა (1901-1916) და უფსალას (1916-1922) უნივერსიტეტებში. იგი სწავლობდა მართვის სისტემებს რათა გამოევლინა ძლიერი სახელმწიფოს შექმნის გზები. ცნება “გეოპოლიტიკის” აუტორი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Василенко И.А. Геополитика. М.: Гардарики, 2003.

2. Дугин А. Основы геополитики. Геополитическое будущее России. М.: Арктигей, 1997.

3. Ушаков Н.А. Международное право: основные термины и понятия. М.: ИГП РАН, 1996.
4. Моро-Дефарж Ф. Введение в геополитику. М.: Конкорд. 1996.
5. Нартов Н.А. Геополитика. М.: 1999
6. Колосов В. А., Мироненко Н. С. Геополитика и политическая география: М.: Аспект Пресс, 2002  
[geopolitics.nm.ru/ persons.html](http://geopolitics.nm.ru/persons.html)  
<http://archipelag.ru/geopolitics>  
<http://geopolitics.ru/common/library.htm>  
[lib.socio.msu.ru/l/library](http://lib.socio.msu.ru/l/library)  
<http://en.wikipedia.org/wiki>

#### **Summary**

**Otar Kochoradze**

**Geopolity and international relations**

**The comparative analysis of political and legal aspects of a category “Space”**

The geopolitics studies the relations between space and politics: what influence renders the spatial factor on politics and behaviour of the political figures? And how spatial factor by the political figures is used? How should they from passive contemplate character of geographical space proceed to geopolitical and even to geostrategic aspect of a role of space?

People should realise, that the space is fundamental concept managing the public relations. The state, develops successfully then, when its political figures and its population has “feeling of space”. Concept " Feeling of space " identically to concept " talent for management " on this the politics should develop at themselves feeling of space.

#### **Резюме**

**Отар Кочорадзе**

**Геополитика и международные отношения. Сравнительный анализ политических и правовых аспектов категории “пространства”**

Геополитика изучает отношения между пространством и политикой: какое влияние оказывает пространственный фактор на политику и поведение политических деятелей? И как используется сам пространственный фактор политическими деятелями? Как должны они от пассивного созерцательного характера географического пространства перейти к геополитическому и даже геостратегическому аспекту роли пространства?

Люди должны осознать, что пространство является фундаментальным понятием, управляющим общественными отношениями. Государство, развивается успешно тогда, когда его политические деятели и его население обладают чувством пространства. Понятие «Чувство пространства» идентично понятию «талант к управлению» б именно по этому политики должны выработать у себя чувство пространства.

**გაუა შებითიძე  
ეროვნულ-სახელმწიფო იურიდიკული იურიდიკული და  
საქართველო**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირებამ განაპირობა პოლიტიკური კრიზისის დაწყება ქვეყანაში, რაც 1992 წლიდან გადაიზარდა ლეგიტიმურობის კრიზისში. ლეგიტიმურობის კრიზისის უმთავრესი მიზეზი კი მაიც არის ჰემმარიტად დემოკრატიული არჩევნების არარსებობა ქვეყანაში. ესაა კრიზისი, როცა ხელისუფლება იურიდიულად არჩეულია, მაგრამ ხალხის თვალში მას არ გააჩნია ფსიქოლოგიური ლეგიტიმურობა, რაც თავის მხრივ უამრავ პრობლემას ბადებს, მათ შორის მოსახლეობის ემიგრაციას სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში იაფი მუშახელის სახით.

დღევანდელი ქართული საზოგადოება-ესაა ნეკროზული საზოგადოება-უამრავი პრობლემა, ცხოვრების გიური რიტმი, საშინელი კონკურენცია, გაზრდილი მოთხოვნები, გადაღლა, მდელვარება, სოციალური დაპირისპირება და პოლიტიკური ბრძოლის მიუღებელი მეთოდები, ადამიანთა გამოყიტვა და ჯანმრთელობის აღდგენის შეუძლებლობა, ძალადობის და შიშების ზრდა, პათოლოგიური ტიპების მომრავლება, დაუნდობლობა, ელიტის ზენობრივი დეგრადაცია, დაუცველობა და სამართლიანობის დეფიციტი, განუყითხაობა, უდირსთა პარაპი და ყველაფრისადმი და ყველასადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, დემოგრაფიული პრობლემები-აი, ამ შტრიქებით ხასიათება დღევანდელი ქართული საზოგადოება. ჩვენი ხალხის ასეთი ყოფა შედეგია სამოქალაქო დაპირისპირებისა და სამართლო-აფხაზეთისათვის ომში დამარცხებისა. ბუნების კანონით “ დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზეც წნდება ათასნაირი შესამიანი ბაცილა, მუწესი და ჭირი. ჩვენი შინაური რდვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისაგან. ძარღვებადაჭრილი, იმედგაცრუებული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხების ანარქია, შიმშილი, ეპიდემია, ზენობრივი გახრწილება, განდგომა და დაშლა პროგნოსიებად (პ. ჯავახიშვილი).”

მეორე დიდი უბედურება იყო ქუჩიდან მოსული არაკომპეტენტურ ადამიანთა მართვა-გამგეობა, რომლებმაც ქვეყანა ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის გზას ააცდინეს.

ეს მოხდა იმიტომ, რომ საზოგადოების წაყრუების შედეგად ასეთმა მმართველობამ იგნორირება გაუკეთა ეროვნულ ფასეულობებს, პიროვნულ დირსებებს, ინტელექტს, ცოდნას, პროფესიონალიზმს, ზნეობას (არადა “ზნეობა-ეს არის იცხოვო შენი ხალხის წეს-ჩვეულებებით,”-ამბობდა არისტოტელი) და ამის ნიადაგი ჯერ კიდევ კომუნისტებმა შეამზადეს.

გააქტიურდნენ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები და მათთან დაახლოებული წრეები. დაიწყო ქართული ეთნოგულტურული სივრცის გაველურება და გადარიბება, მანკიური “თამაშის წესების” გავრცელება, ცნობიერების გამრუდება, შედეგად კი მივიღეთ აღვირასხილობა, ცინიზმი, ორმაგი სტანდარტები, ზნეობრივი დეგრადაცია, ცოდნისა და ეროვნულ ფასეულობათა, მეცნიერების ნგრევა, დევალვაცია, რითაც ცხოვრება დაუმასხინჯდა ახალგაზრდობას და მომავალ თაობას. საქართველო, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბრძოლა დამტუკიდებლობისთვის, მმართველთა და მეხუთე კოლონის ანტიეროვნული ქმედების შედეგად საჯაო ხნით ჩამოშორდა განვითარების ცივილიზებულ გზას (გულაბერ ანანიაშვილი).

აზიური ინერტულობა და სხვისი მოიმედეობა კვლავ იქცა ქვეყნისა და ჩვენი ხალხის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად. არადა “ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისთვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძემუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაძარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისა... უცხოელი ძიძა, რაგინდ სადი იყოს, შენს დედაენას ვერ გახწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს (ნ. ნიკოლაძე)“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევიმუშავოთ განვითარების ეროვნული მოდელი და გავითვალისწინოთ უცხოური დადებითი გამოცდილებაც (განსაკუთრებით იაპონური). ვინაიდან საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა, ამიტომ უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს საშინაო პოლიტიკის მოწესრიგებას. ცნობილია რომ “მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მიჰყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გაგლენას იქონიებს (ნ.ნიკოლაძე)“.

განვითარების ამ ეროვნულ მოდელს საფუძვლად უნდა დაედოს განათლება და ჩვენი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, (ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ღირსება, ქართული ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარხი, სოციალურად ორგანიზებული საბაზრო ეკონომიკა, პიროვნების სოციალური უსაფრთხოება და შეცნობილი თავისუფლება, შრომის ჭიკვიანური ორგანიზაცია, საშემსრულებლო დისციპლინა, კერძო და სახელმწიფო საკუთრების შეთანაწყობა პრინციპით “კერძო საკუთრება უკელგან, სადაც ეს შესაძლებელია და საზოგადოებრივი რეგულირება უკელგან, სადაც ეს აუცილებელია”, ქართული ეროვნული წარმოების განვითარება და პროტექციონიზმი, სახელმწიფო და კერძო რეკეტის, კრიმინალური ცნობიერების აღმოფხვრა, კორუფციის საფუძვლების მოშლა, კადრების მოძიება, აღზრდა და სწავლება მათ დანიშნამდე (ე.წ. “კადრების ბანკის” შექმნა, ასევე “მოუხმობელთა მოხმობა”), თვითგანადგურების პროცესის შეწყვეტა და ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესების დაურიდებლად წინ წამოწევა, ნიჭიერი ადამიანების ხელშეწყობა და მათზე განსაკუთრებული ზრუნვა, “სიტყვა-საქმის” კონტროლის სქემის დამკვიდრება (ყოველი გადაწყვეტილების მკაცრი კონტროლი საჯარიში სანქციების გათვალისწინებით), საქმიანი პატრიოტიზმი, ლუსტრაციის კანონის ამოქმედება, არაქართული მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ინტერესების გათვალისწინება და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის უბედურების ერთ-ერთი სათავეა ის, რომ 1990 წლიდან დღემდე საქართველო იმყოფება უმართაობის მდგრმარეობაში. ამას კი განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

- არასწორად სინოქზირებული ქვეყნის მართვის სისტემა:
- არასწორად შერჩეული ხელმძღვანელი კადრები.

პირველი გარემოება გამოწეულია იმით, რომ დიდი სისტემების მართვის თეორიიდან გამომდინარე არასრულფასოვნადაა ჩატარებული ქვეყნის, როგორც მართვის ობიექტის ანალიზი, არაა დამუშავებული სამართვაზე მართვის გადაცემის ფუნქცია, მართვის ფუნქციონალი. ეს ნიშანებს, რომ

- არაა შემუშავებული მიზანთა სისტემა, რომლის მიმართაც უნდა იქნას შედგენილი ეს ფუნქციონალი.
- არაა განსაზღვრული ის შეზღუდვები, რომლებიც განაპირობებენ მართვის ფუნქციონალის ამოხსნის არეებს;
- არაა შერჩეული კრიტერიუმები, რომელთა მიმართაც უნდა ხორციელდებოდეს მართვის ფუნქციის ოპტიმალური ამოხსნების მოძებნა შეზღუდვებით განსაზღვრულ არეებში(გივი ჯავახიშვილი).

ყოველივე ამის გამოწევევი მიზეზია ის გარემოება, რომ ქართველ ერს დღემდე შემუშავებული არ აქვს ეროვნული იდეოლოგია (როგორც ეს გააკეთეს ებრაელებმა “სიონიზმის” სახით და სხვა ერებმა).

ეროვნული იდეოლოგია უნდა ჩამოყალიბდეს შეხედულებათა  
10 სისტემის სახით. ესენია 1. ეკონომიკური 2. დემოგრაფიული 3.  
ზნეობრივი 4. სამართლებრივი 5. რელიგიური 6. კულტურის 7.  
ფილოსოფიური 8. ეროვნული ცნობიერების 9. გეოლოგიური 10.  
პოლიტიკური (ამ მთლიან მაჩვენებელთა სისტემას მიხაკო წერეთელი  
უწოდებდა „ერის იდეალს“).

შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მთავარი ქვესისტემები - ეკონომიკურ და სამართლებრივი დღეს ფაქტიურად არ მუშაობს. პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონები ამ სფეროში (ისევე როგორც სხვებში) არ მუშაობს, ვინაიდან ადნოშნული კანონები არაა შემუშავებული ჩვენი ქვეყნის საჭიროებისათვის, მათ უბრალოდ თარგმნიან უცხოურიდან.

როცა ერს არა აქვს ეროვნული იდეოლოგია, მაშინ მისი სამთავრობო და პოლიტიკური წრეები ინტეიციურად ირჩევენ გლობალურ და ლოკალურ მიზანთა სისტემას. ფაქტიურად ხელახლად დაბადებული ქვეყნის სისტემის მართვა წარმოებს უკვე მკედარი სისტემის (საბჭოოთა სისტემის) მეოთხებით. აქტიური ორგანიზებული სტრუქტურების ანალიზი და სინთეზი მოიცავს:

–ინფორმაციის მონიტორინგს-ინფორმაციის შეგროვებასა და  
მის პირველად გადამუშავებას სამართავი და მართვის ობიექტების  
და მათი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

—სამართავი გადაწყვეტილებების მიღებას;

—გადაწყვეტილებების დეტალზეციას და შესაბამისი ზემოქმედების გამომუშავებას;

— ზემოქმედების დაყვანას მართვის ობიექტის შესაბამის დონეებამდე;

-შესრულების მკაცრ კონტროლს;

—მართვის სისტემისა და მართვის ობიექტის გამოკვლევას მდგრადი და განვითარებაზე.

უნდა შემუშავდეს ქვეყნის მართვის ახალი სტრუქტურა, რომელიც ახლანდელთან შედარებით უნდა შეიცავდეს სუთიკერ ნაკლებ სამართავ სტრუქტურებს და ათჯერ ნაკლებ სახელმწიფო მოხალისებს.

უნდა შეიქმნას სახელმწიფოს ხელმძღვანელი კადრების შერჩევის ტესტური ავტომატიზებული სისტემა და მისით შერჩევა-შემოწმებას დაეკვედებაროს კველა სახელმწიფო მოხელე პრეზიდენტის ჩათვლით.

კრიზისულ მდგომარეობაში სახელმწიფოს მართვის ძირითადი ამოცანები უნდა იყოს სტრუქტურული მიმართულების, რათა უზრუნველყონ ძირითადად ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია (ენერგეტიკა, მრავალება, სოფლის მეურნეობა და სხვ.) და სოციალურად ორიენტირებული მდგრადი საბაზო გარემოს ფორმირება. ქრიზისის შემდგომ პერიოდში კი უნდა განხორციელდეს

პრიორიტეტების კარდინალური ცვლა-წინა პლანზე უნდა გადმოინაცვლოს ისეთმა რეგულატორებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან საკანონმდებლო ნორმებთან, საგადასახადო სისტემებთან, ბიუჯეტთან, საბაჟოსთან და ა.შ. (დღეს ეს უკუდმა ხორციელდება საქართველოში).

ეროვნული იდეოლოგიის მოთხოვნიდან გამომდინარე გარდა ზემოაღნიშნული მიზნების სისტემისა, უნდა ჩამოყალიბდეს აგრეთვე შეზღუდვების სისტემა, რომლებიც განსაზღვრავენ მიზნების ფუნქციების ამონების არებს. თუ მიზნებად ავირჩევთ:

ა)ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსის(აგი)-იგი კრებსითი მაჩვენებელია და აერთიანებს შემდეგ პარამეტრებს: შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე; ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას; განათლების დონეს; მოქალაქეთა საერთო კეთილდღეობის დონეს..

ბ)ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებლობას,

გ)ადამიანის უფლებების დაცვას;

დ)რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას;

ე)ეროვნულ ცნობიერებას;

ვ)ქართული კულტურის განვითარებას;

ზ)თავისუფალ და კონკურენტულ საბაზრო გარემოს;

თ)სოციალურ უსაფრთხოებას და ა.შ.

მაშინ საჭიროა შერჩეულ იქნეს შემდგენ სახის შესაბამისი შეზღუდვები:

ა)ბუნების დაცვა; სურსათის იმპორტის შემცირება;

ბ)სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობის თავისებურებები;

გ)სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები;

დ)სექტების მავნე ქმედებების გაუქნებელყოფა;

ე)ინტერნაციონალური დებულებანი, (ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევა საჭირო)

ვ)ეროვნულ უმცირესობათა კულტურების პატივისცემა

ზ)მონოპოლიზმის აღმკვეთი ღონისძიებები; ხალხის ძლიერ მდიდრებად და ძალზე დარიბებად დაყოფის პროცესის შესუსტება.

მხოლოდ პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური რეფორმებით ქვეყნის აღმშენებლობა და ცხოვრების სრულყოფა შეუძლებელია: რელიგიური მრწამსის, ტრადიციებისა და ზნეობისკენ საზოგადოების შემობრუნების გარეშე სოციალურპოლიტიკური სისტემის დახვეწა და გაეთილ შობილება წარმოუდგენელია. საზოგადოების თვითადზრდა, კულტურის ამაღლება, ანუ პიროვნების საკუთარი ცხოვრების გაზრდიდან საზოგადებრივი ცხოვრების გააზრებაზე ასვლა, თითოეული მოქალაქის რწმენის გაძლიერების შედეგია.

ძლიერი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობის საფუძველია მისი შემადგენელი ნაწილების(ადამიანისი, ოჯახის,

ადამიანთა ჯგუფების, პარტიების) მაღალი მიზნისკენ სწრაფა, საერთო პარმონია. ამასთან ბიზნესის განვითარების მცდელობა, მეცნიერების და ხელოვნების, ეროვნული თვითშეგნების და ზნეობის გარეშე ასევე განწირებით;

“ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე... ერთ თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოძებნით ისეთ მაგალითს, რომ ერს ედალატნოს თავისი ეროვნებისთვის, ეროვნული კულტურისთვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს..... ძალ-ღონე ყოველის ერისა უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნულის, მამულიშვილურის განხობის განვითარება-გაღონიერებაზე. ხადაც ეს ცენტრალური გრძობა სუსტია, იქ ხალხი უძლებრივი” (იაკობ გოგებაშვილი).

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისთვის საჭირო ეფექტური ხელისუფების ქმედით მოდელის შემნაში ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალაუფლების ეროვნულ ხასიათის განპირობებულ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ქართული ცხოვრების წესი, წინაპართა ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, ეროვნული კულტურა. ტრადიციების გარეშე აქ არსებობს არც ეროვნული სული და არც ცივილიზაციის მიღწევები. მის ძირითად ელემენტსა და კომპონენტს ენა წარმოადგენს. ჩვენი საზოგადოების დაუდევრობისა და უპულტურობის შედეგად სახელმწიფო სტატუსის მქონე ქართული ენა უპატრონიდაა მიღებული და გათახსირებულ-შებდალული(რესიფიკაცია ამერიკანიზაციამ ჩაანაცვლა) ყველა სფეროში. სრული განუკითხაობის გამო ხორციელდება გამალებული “ეთნიკური წმენდა” ქართული ხალხური მრავალხმიანობისა და ცეკვის, რაც წინაპართა მიერ შექმნილი უდიდესი დირებულებაა. ყველაფერი, რაც ქართველმა ხალხმა საუკუნეთა სიღრმეში შეიმუშავა და ათას ჭირვარამგამოვლილი დღემდე შეურყევლად მოიტანა, დღეს დაშლის პირასაა(უფრო მეტად ჩვენი დაუდევრობის შედეგად). ამიტომაც ქართული სახელმწიფოს გაძლიერების და ფეხზე დაყენების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება “ქართველობის”, ქართული ცხოვრების წესის ჭეშმარითი ეროვნული შინაარსის აღორძინებას.

“ჩვენს დიდ წინაპრებს ძალიან მცირე პირადი მოთხოვნილებები და უდიდესი იდეალი ასულდგმულებდათ. ეს იდეალი იყო საქართველოს დიდება და ქვეყნის უანგარო სამსახური. თითოეული მათგანი მზად იყო ქვეყნის საკეთილდღეოდ სამსხვერპლოზე მიეტანა თავისი ოჯახი, ქონება და სიცოცხლეც კი.

ქართული ცხოვრების წესის სხვა უმნიშვნელოვანების ფასეულობებია: სამშობლოს სიყვარული, ღმრთისმოშიშობა (“მუშაკობა”) როგორც სოციალური ნორმა, ოჯახისა და

ოჯახიშვილობის კულტი, სამართლიანობა და დირსება, კაცომოყვარეობა და პუმანიზმი, ავგარგიანობა, მადლის ქმნისა და მიტევების ნიჭი, ბავშვების, ქალების და მოხუცების მიმართ მოწიწება და პატივისცემა, რაინდული ხასიათი, ახალგაზრდობისადმი ნდობა და „მკაცრი“ სიყვარული, მაღალი ზნეობრიობა და უბრალოება, მონანიების უნარი, მხედრული მოვალეობა და სიმამაცე, ცოდნისკენ სწრაფვა, თვითკრიტიკულობა, პასუხისმგებლობა და ა.შ.

ქართული ცხოვრების წესის მთავარი ხერხემალი „ქართველობა“, როგორც უნიკალური ფენომენი, შეიძლება შევადაროთ გრაალის თასს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში წევთობით გროვდებოდა ერის სულიერი და ხორციელი ცხოვრების შემაკავშირებელი დუდაბი” (ო.ქოჩორაძე).

ზემოთ ქმულიდან გამომდინარე, საზოგადოების მსგავსად, ხელისუფლებაც ღრმად ეროვნული უნდა იყოს და ერის სატაივარით, პრობლემებითა და ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს.

მაშულისადმი შემუცნებითი დამოკიდებულება, ღმერთის მიერ მონიჭებული ნიჭი და ცოდნა ქართველის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის დაუშრებელი წყარო უნდა გახდეს კვლავ-

უოველივე ზემო აღნიშნულის უმოკლეს დროში განუხორციელებლობას შედეგად მოჰყვება გაუცხოება სოციუმის ყველა დონეზე, ხოლო გაუცხოების პროცესის გაღრმავებას შედეგად მოსდევს ერის გათიშვა, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების დაკინება და მოდუნება.

მაქსიმალურად შესუსტდება ურთიერთგაგების შესაძლებლობა და ოვით სურვილიც კი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რაც საბოლოოდ განაპირობებს უზარმაზარ ბზარს ეროვნულ ცნობიერებაში და ადარ იქნება ის უნიკალური ფენომენი, რასაც „ქართველობა“ ჰქვია. ადარ იფუნქციონირებს ცნება „ჩვენ“ რადგან სოციუმის ცნობიერებისთვის ის გახდება დისტუნქციური. სოციუმის დაიყოფა მტრულ დაპირისპირებულ „მე“, „შენ“, „ის“, „ისინი“ ჯგუფებად, ყველა ყველასთვის გახდება „უცხო“ < „მტერი“, „არაადამიანი“. დაისადგურებს ურთიერთშიშის, უნდობლობის და მტრობის ატმოსფერო და შედეგი იქნება საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აფეთქება, რომელიც წალეკავს და მოსპობს ყველაფერს. სწორედ ამას ელოდებიან ჩვენი დაუძინებელი მტრები, რომლებიც დაუყოვნებლივ ისარგებლებენ ამ სიტუაციით.

ეს ყველაფერი დღევანდელი ქართველობის გასაკეთებელია და მხოლოდ ღმერთის იმედად და ანაბრად მისი დატოვება ჩვენი ხალხის უპასუხისმგებლობა და უზნეობა იქნება.

## **Summary**

**Baja Shubitidze**

**National- State ideology and Georgia**

In clause the analysis of a situation in today of Georgia is given, the problems of national- state construction are opened, is analysed essence of national ideology and Georgian image of life.

## **Резюме**

**Важа Шубитидзе**

**Национально-государственная идеология и Грузия**

В статье дан анализ ситуации в современной Грузии, раскрыты проблемы национально-государственного строительства, проанализирован суть национальной идеологии и грузинского образа жизни.

**თენგიზ ენდელაძე  
სამხედრო კონტრდაზვერვა – ეროვნული  
უსაფრთხოების ინსტრუმენტი**

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონტრდაზვერვის ორგანოებს, პირველ რიგში სამხედრო კონტრდაზვერვას. დიდია, შეიძლება ითქვას გადამწყვეტია, ამ უკანასკნელის როლი სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის საქმეში.

სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფა თანამედროვე პირობებში სახელმწიფო ორგანიზაციების მნიშვნელოვან საკითხად იქცა, ვინაიდან იგი ქვეყნის რეალური თავდაცვისუნარიანობის, მისი შეიარაღებული ძალების მუდმივად მზადყოფნის მიღწევისა და უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების საიმედო დაცვას დიდი პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური მნიშვნელობა აქვს. იგი ამაღლებს სამხედრო მშენებლობაში მატერიალური დანახარჯების ეფექტურობას, ბოჭავს სეპარატისტულ რეჟიმებს განავითარონ თავიანთი შეიარაღებული ძალები, აცლის ამ ძალების გამოყენების უპირატესობას, აფერხებს ანტიქართული, პროვოკაციული კამპანიების გაფართოებას, რომელიც „ქართული სამხედრო საქმის“ ყბადადებულ ლოზუნგს ეფუძნება.

ხელისუფლების ამოცანაა მუდმივად დაუთმოს უურადდება საიდუმლოების საიმედოდ დაცვის ზოგადსახელმწიფო ორგანიზაციის სისტემის ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვითუნარიანობას ეხება. ამ სისტემას კომპლექსური ხასიათი აქვს. ის მოიცავს სამართლებრივ, კონტრსადაზვერვო და პოლიტიკურ-აღმზრდელობით ზომებს.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვა ქვეყნის უსაფრთხოების ზოგადსახელმწიფო ორგანიზაციის სისტემის ღონისძიებებს განეკუთვნება, რომლის საიმედო უზრუნველყოფაში მონაწილეობენ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები, პირადი შემადგენლობა, დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები, სამხედრო კონტრდაზვერვის, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანოები. მათი გალდებულებები ამ მიმართულებით განსაზღვრულია

საქართველოს კანონმდებლობით, სამხედრო ფიციო, სამხედრო წესდებებით, სამთავრობო და საუწყებო ნორმატიული აქტებით.

სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვაში მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობა განაპირობებს მჭიდრო თანამშრომლობას სამხედრო კონტრდაზვერვის ორგანოებთან. აღნიშნული განხილული უნდა იქნას, როგორც სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის ეფექტური ზომების მიღწევის მნიშვნელოვან პირობად.

დაცვის პოტენციალის შესახებ ინფორმაციების მოპოვების მიმართულებით მოწინააღმდეგის ტაქტიკასა და ქმედებებში ცვლილებების გათვალისწინებით მოქმედებაშია კომპლექსური ზომები, რომელიც მოიცავს:

- ტექნიკური დაზვერვებისადმი კომპლექსური უკუმედების ორგანიზაციას;
- სამხედრო ნაწილების, ობიექტების, დაწესებულებების, მათი საქმიანობის ოპერატიული დანიშნულების შესახებ საიდუმლო მონაცემების დაცვის ზომების გაძლიერებას;
- წარმოგზული სამუშაოების საიდუმლოების დამცავი რეჟიმის დამუშავებასა და მათ კონტროლს შესრულებაზე;
- საიდუმლოების დაცვის მკაცრი რეჟიმის დამყარებას იმ ნაწილებსა და დაწესებულებებში, სადაც მიმდინარეობს სპეციალური შეიარაღების დამუშავება, გამოცდა და ექსპლუატაცია, ასევე სპეციალური ობიექტების პროექტირება და მშენებლობა;
- სამხედრო დანაყოფების ფარული მართვის წესების მკაფიოდ შესრულებას;
- კავშირგაბამულობის ტექნიკურ საშუალებებზე, მართვის ავტომატიზირებულ და კომპიუტერულ სისტემებზე კონტროლს;
- ჯარების საბრძოლო, ოპერატიული და სამობილიზაციო ღონისძიებების შენიდვის ღონისძიებებს;
- მოწინააღმდეგის ეფექტურ დეზინფორმირებას;
- საიდუმლო საქმისწარმოების წესების მკაცრად დაცვასა და სხვა აუცილებელი ზომების განხორციელებას.

შეიარაღებულ ძალებში სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის საერთო სისტემაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სამხედრო კონტრდაზვერვას. ის მოწოდებულია სამხედრო ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კავშირში, ნებისმიერ პირობებში მიაღწიოს საიდუმლოებების დაცვის მაღალ ხარისხს, დროულად აღკვეთოს მათი გაუონვა, გამორიცხოს დაცული ინფორმაციების მოწინააღმდეგის მიერ მოპოვება და ამ უკანასკნელის დეზინფორმირება სამხედრო შენაერთებას და ობიექტებზე

მნიშვნელოვანი საიდუმლო ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით. სამხედრო კონტრდაზვერვას ევალება დახმარება გაუწიოს სამხედრო ხელმძღვანელობას შეიარაღებულ ძალებში სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის მიმართულებით სარეკიმო ღონისძიებების გატარებაში. კერძოდ, აცნობოს იმ წინაპირობების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ საიდუმლოების გაუმნვა, მათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, ოპერატიული ძალებისა და საშუალებების დახმარებით, განახორციელონ ოფიციალური კონტროლი საიდუმლოების დაცვის რეჟიმზე და შეფასება მისცეს ამ უკანასკნელის ეფექტურობას.

სამხედრო კონტრდაზვერვის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებების დაცვისაკენ, რომელთაც ზოგადად განვეუთვნება:

- სამხედრო ხელმძღვანელობის ჩანაფიქრები და გეგმები, მთლიანად შეიარაღებული ძალებისა და მისი ცალკეული სახეობების მშენებლობისა და განვითარების გეგმები, სამობილზაციი ხასიათის ცნობები;
- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებები, რომლებიც დაკავშირებულია იარაღისა და ტექნიკის ახალი სახეობების შექმნასთან;
- მონაცემები საბრძოლო ქმედებების ახალი ხერხებისა და მეორედების გამოყენების შესახებ, რომლებიც შტაბებისა და ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული მომზადების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია.

კონკრეტულად კი კონტრდაზვერვის ორგანოების ამოცანაა დაიცვას სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საიდუმლოები თავდაცვის სფეროში, კერძოდ:

1. საქართველოს სამხედრო ძალების სტრატეგიული და ოპერატიული გეგმებით გათვალისწინებული ინფორმაცია ან მისი მატერიალური შემცველი მასალა:

- მოსალოდნელი საომარი მოქმედების რეგიონის სტრატეგიული და ოპერატიული მოქმედების მიმართულებათა შესახებ;
- შესაძლო ომების, მათი ეტაპების პერიოდებისა და ცალკეული ოპერაციების ხასიათისა და თავისებურებების შეფასების და პროგნოზირების შესახებ;
- სამხედრო მშენებლობის, სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის შესახებ;
- საქართველოს სამხედრო ძალების განვითარების, ორგანიზაციის და სრულყოფის გეგმებისა და პროგნოზების (ყველა მასშტაბით) შესახებ;

- სამხედრო უწყებების მიერ მოწოდებული (და მიმდინარე) კონფიდენტურული (აგენტურული) და ტექნიკური დაზვერვის მიერ მოპოვებული მონაცემების შესახებ;
  - კრებსითი მონაცემები სამხედრო ნაწილების, ხომალდების, ქვედანაყოფების, სამხედრო დაწესებულებების, შტაბების, სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, პოლიგონების, ბაზების საწყობების, სამშენებლო მოედნებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დისლოკაციის შესახებ;
  - ცნობები საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით გათვალისწინებული საქართველოს სამხედრო ძალებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის ოპერატიულ-საბრძოლო თანამშრომლობის შესახებ;
  - ცნობები სამხედრო ძალების სახეობათა თანამშრომლობის ოპერატიული გეგმების შესახებ.
2. საქართველოს ტერიტორიის სამხედრო დანიშნულების სპეციალური რუკები და კოორდინატები, მათ შორის:
- გრავიმეტრიული პუნქტებისა და გეოგრაფიული ობიექტების, აგრეთვე გამოთვლითი და სხვა მასალები, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს კოორდინატები 150 მეტრისა და მეტი სიზუსტით;
  - საქართველოს ნებისმიერი ტერიტორიისათვის მიკუთვნებული გრავიმეტრიული ინფორმაციების მიხედვით შედგენილი გრავიტაციული ველის მოდელი, გრავიტაციული ანომალიის სქემები და გრავიკები;
  - სამხედრო და რეჟიმული ობიექტების ტერიტორიაზე (აკვატორიაზე) შესრულებული პიდროგრაფიული, ანემომეტრიული, ოკეანოგრაფიული და აეროფოტოგრადაღებათა მონაცემები;
  - სამხედრო და რეჟიმული ობიექტების ფოტოსურათები და კოორდინატები;
  - შავი ზღვის კონკრეტული რაიონების გამოკვლევათა შედეგები, ხმის გავრცელების ანომალიები, აკუსტური სიგნალების განთქმა და შთანთქმა, წყლის ნამდვილი და კავიტაციური სიხისტე;
  - სისტემაში მოყვანილი მონაცემები ზღვის დელვაზე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სადაც სიღრმე 10 მეტრზე ნაკლებია, ცნობები 200 მეტრზე ნაკლებ სიღრმეში აღმოჩენილი ახალი (სანავიგაციო ცნობარში შეუტანელი) ფსკერის ამაღლების შესახებ.

3. საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალა:

- თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში ჯარის სახეობების, ბრიგადების, ნაწილებისა და გეგმების ერთობლივი და დამოუკიდებელი მოქმედებებისა და გამოყენების სტრატეგიულ-ტაქტიკური გეგმების შესახებ;
  - სამხედრო ძალების სალაშქრო და საბრძოლო განლაგების ოპერატორულ-ტაქტიკური ნორმატივების, საბრძოლო შესაძლებლობების, ოპერატორული დარაზმის შესახებ;
  - ცნობები საქართველოს სამხედრო ძალების სამსედრო მზადყოფნის მდგრადარეობის ან მზადყოფნის ერთი დონიდან მეორეში გადაყვანის შესახებ;
  - ცნობები საბრძოლო და ოპერატორული მომზადების მიმდინარეობის, შინაარსისა და მომზადების შედეგების, ოპერატორული და საბრძოლო უზრუნველყოფის, მანევრების სწავლებისა და საინსპექტორო შემოწმების შესახებ.

4. საქართველოს სამხედრო ძალების მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნის და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალა:

- სამობილიზაციო ხასიათის ცნობები საქართველოს სამხედრო ძალებისა და სახალხო მეურნეობის შესახებ;
  - ცნობები სამოქალაქო სამინისტროებსა და უწყებებში ომის დროისათვის განკუთვნილი ფორმირებების (სარკინიგზო, საავაციო, ავტოსატრანსპორტო, ხიდების, სამედიცინო-სანიტარული მომსახურებისა და სხვა სპეციალური მოძრავი ფორმორებების) შესახებ;
  - ცნობები სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, სამხედრო ქალაქების, ყაზარმების, სასწავლო ცენტრების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და სამხედრო მიზნებისათვის სამოქალაქო ობიექტების გამოყენების შესახებ;
  - ცნობები სამხედრო ნაწილების ხომალდებისა და სხვა სამხედრო დაწესებულებების ჩამოყალიბების, დაშლის, რეორგანიზაციისა და სახელწოდებათა შეცვლის შესახებ;
  - იმ ახალგაზრდებზე კრებსითი მონაცემები რომლებმაც გაიარეს ან გადიან დაწყებით სამხედრო მომზადებას;
  - ინფორმაციები სამხედრო აღრიცხვაზე მყოფ სამხედრო ვალდებულთა კრებსითი მონაცემების შესახებ;
  - ინფორმაციები იმ წევამდელთა და სამხედრო ვალდებულთა კრებსითი მონაცემების შესახებ, რომლებიც სამობილიზაციო წევით გადიან სამხედრო შეკრებას;

- ცნობები, რომლებიც ამჟღავნებენ უმაღლესი და საშუალო სამხედრო სპეციალური სასწავლებლების (ცენტრების) კურსანტთა სამხედრო მომზადების დახურულ პროფილს, პროგრამებს, სასწავლო გეგმებსა და მოცულობას, აღნიშნულ სასწავლებლებში სპეციალურ მიღებასა და ვადამდე გამოშვებას;
- ცნობები უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა დახურულ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობებში მომზადების შესახებ;
- ინფორმაციები რეზერვისტთა დაგეგმილი სამობილიზაციო გაწვევის შესახებ;
- ცნობები ჯარების ორგანიზაციის, საბრძოლო და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის, იარაღის, სამხედრო ტექნიკის, ტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებათა ოდენობის, ჯარების დაკომპლექტების უზრუნველყოფისა და დაკომპლექტების წესის შესახებ – სამხედრო ნაწილების მიხედვით და ზემოთ.

5. ინფორმაციის შემცველი მასალები შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის განვითარების მიზნიბრივი პრიორიტეტის, სამეცნიერო კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ, რომლებიც ეხება ახალი სახეობის სამხედრო იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებას:

- ცნობები რომლებიც ეხება იარაღისა და ტექნიკის ახალ ნიმუშებს, აგრეთვე სპეციალურ ქვედანაყოფებს;
- იარაღის, სამხედრო ტექნიკისადა და ქონების ახალი ნიმუშების ნამდვილი (სრული ან შემოკლებული) და პირობითი (შიფრები) სახელწოდებანი, პირობითი აღნიშვნები (ინდექსი, მარკები, ნომრები), ნახაზები, სქემები, გამოსახულებანი, ფოტოსურათები, აღწერილობანი და ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები;
- ცნობები სამხედრო ძალების შეიარაღებაში ახალი ან მოდერნიზებული სამხედრო ტექნიკისა და ქონების გამოყენების, შეიარაღებიდან ძველი ნიმუშების მოხსნის შესახებ;
- ცნობები სამხედრო ძალებში გამოყენებული მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექნური მახასიათებლების შესახებ;
- ცნობები სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების დარგში აღმოჩენების, გამოგონებების, სამეცნიერო-კვლევით და იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც დაგეგმილია ან სრულდება ქვემის თავდაცვის ინტერესებისათვის და აქვს სამხედრო

მნისევნელობა; ამ სამუშაოთა დაფინანსებისა და  
მატერიალიურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ;  
აღნიშნულ სამუშაოთა კონკრეტულ საწარმოში შესრულების  
და ამ საქმიანობაში კონკრეტული პირების მონაწილეობის  
შესახებ;

- ცნობები საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში დახურული სამეცნიერო საბჭოების, ფაკულტეტების, განცოდვილებების, კათედრების, ლაბორატორიების შესახებ;
  - ცნობები, რომლებიც ამჟღავნებენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების არსეს, განსაზღვრავენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიმართულებებს და რომლებიც შესაძლოა გამოიყენონ სამხედრო დანიშნულების პრინციპებისად; ახალი ნაკეთობების თუ ტექნოლოგიური პროცესების შესაქმნელად;
  - მასალები მანქანათა ახალი ტექნოლოგიის, სახეობებისა და აღჭურვილობის, ტექნიკის საცდელ-ნიმუშთა შესახებ, რომლებსაც უპირატესობა აქვთ სამაჟულო და უცხოურ ანალოგებთან შედარებით, თუ მათში მოცემულია ზედმიწვნით აღწერა, დეტალიზაცია, სხვა მონაცემების წარმოების საიდუმლოებაზე, რომელთა საშუალებითაც შეიძლება საზღვარგარეთ შეიქმნას სამხედრო დანიშნულების მანქანები, მოწყობილობები.

6. ინფორმაციები განსაკუთრებით დაცული სამსედო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რეაგირების, სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ:

- საქართველოს სამხედრო ძალთა ნაწილების, ბატალიონების, ხომალდების, საწარმოებისა და დაწესებულებების პირობითი სახელმოდებანი;
  - ცნობები სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის მდგრმარეობისა და მმართველობის ორგანოების, ბაზებისა და საწყობების შესახებ. სამოქალაქო თავდაცვაში შემავალი არასამხედრო ფორმირებების რაოდენობისა და დაკავშირებების შესახებ;
  - ცნობები სახალხო მეურნოების ობიექტების თავდაცვითი კატეგორიისათვის მიკუთვნების შესახებ, ომის შემთხვევაში კონკრეტული ობიექტების ქალაქებარეთ გატანის, წარმოების ადგილზევე გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ;
  - ცნობები სამოქალაქო თავდაცვის მზადყოფნის ხარისხზე, სამოქალაქო თავდაცვის პირველ და მეორე რიგში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;
  - ცნობები საქართველოს საქმე, მდგრმარეობარებული დაქმდებარებული ობიექტების ცონტროლს (მიწისქვეშა

- გამონამუშევრები, მდგომების და ა.შ.) სამოქალაქო თავდაცვის მიზნებისათვის შესაძლო გამოყენების შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სხვა განსაკუთრებით დაცული სამხედრო, სამოქალაქო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების დაცვის ორგანიზაციის, მეთოდების საშუალებებისა და მდგომარეობის, გამოყენებული საინჟინრო-ტექნიკური, პატიორგაბმულობისა და სიგნალიზაციისსაშუალებების სქემების, განლაგების და მოქმედების ტექნიკური მონაცემების შესახებ;
  - მასალები სამხედრო დანიშნულებით ატომური ენერგიის შესწავლის, მიღებისა და გამოყენების შესახებ;
  - მასალები იმ ექსპერიმენტულ და გამოთვლით-თეორიულ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც განეკუთვნება თერმობირთვულ სამიზნებსა და დეტონაციებს და გამოიყენება ლაზერულ სინათლეზე, ჰლექტონულ და იურნურ სხივებზე, მაგნიტურ თუ ასაფეოქებელ ნივთიერებებზე ძემოქმედებისათვის. ოპტიკურ კვანტური გენერატორების (ლაზერების) დაროუქტების შექმნისა და გამოყენების შესახებ;
  - მასალები სხვადასხვაზედაპირულ-აქტიურ ნივთიერებათა შემუშავების, გამოცდისა და გამოყენების შესახებ კერამიკის, ლითონისა და შენადნობების სიმტკიცის დასაქვეითებლად (გარდა ლითონების შენადნობების, კერამიკის წნევით ჭრის პროცესში ინსტრუმენტების საპობ-გამაციებელი სითხით დამუშავებისა);
  - მასალები ფეთქებადი ნივთიერებების, ინიციირების საშუალებების, პიროტექნიკური შემადგენლობების შესახებ, შემუშავდა ან შემუშავების პროცესშია ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის;
  - მასალები ახალი ფეთქებადი საშუალებების, ინიციირების საშუალებების, პიროტექნიკის წარმოებისა და შექმნის, ცნობილ ფეთქებად ნივთიერებებში ახალი კომპონენტების დამატება-გამოყენების რეცეპტურის, დამზადების ტექნოლოგიის პროცესების პარამეტრების სესახებ;
  - სამხედრო ტექნიკის სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემისა და ერთიანი მატერიალური კოდის სამსახურის სტრუქტურებისა და ფუნქციების შესახებ. მონაცემები ეტალონთა დახასიათებაზე, განზომილების სანიმუშო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება სამხედრო ნაკეთობა და სამხედრო ტექნიკის დაზიანებისას და ექსპლუატაციისას.
- აქ უნდა აკლინიშნოთ, რომ სამუშაროდ ყოველთვის როდი ხერხდება ზემოაღნიშნულის დაცვა. „დემოკრატიის”, „საჯაროობის”,

„გამჭვირვალეობის” ლოზუნგების საფარქეეშ თუ თავის წარმოჩენის სურვილის ნიადაგზე არცთუ ისე იშვიათად სახელმწიფო საიდუმლოების გამამჯდავნებლებად გვევლინებიან პოლიტიკოსები, სხვადასხვა რანგის ჩინონიკები, მათ შორის სამხედრო მოსამსახურები, უურნალისტები. ამ მხრივ განსაკუთვრებით თვალში საცემია ტელეარხ „საქართველოს” რიგი გადაცემები (მაგ.: ტელეურნალი „არსენალი”) და სიუჟეტები.

შეიძლება მალებები სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების დაცვის მიმართულებით სამხედრო კონტრდაზვერვის მთავარი ამოცანები:

- შეიძლება მალებები და დაწესებულებებში საიდუმლოების დაცვის რეეიმის კონტსადაზვერვო უზრუნველყოფა;
- შეიძლება მალების შესახებ საიდუმლო მონაცემების გაუნვის თავიდან აცილება და აღკვეთა;
- მოწინააღმდეგის ტექნიკური დაზვერვისგან საიდუმლოების დაცვის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ ენდელაძე. საგარეო დაზვერვის სამსახურები. თბილისი, 2007
2. თენგიზ ენდელაძე. მეზობელი ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურები...//”სელისუფლება და საზოგადოება”, №4, თბილისი, 2007
3. სოსო ცინცაძე. ნატო და საქართველოს უსაფრთხოება. თბილისი, 2008
4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბილისი, 2005

## **Резюме**

**Тенгиз Енделадзе**

**Военная контрразведка – инструмент национальной безопасности**

Основными задачами военной контрразведки, с точки зрения защиты государственной и военной тайны, в вооруженных силах является: Обеспечение режима секретности в вооруженных силах и учреждениях, профилактика и пресечение утечки секретных данных о вооруженных силах, активное участие в мероприятиях по защите секретности от технической разведки противника.

## **Summary**

**Tengiz Endeladze**

**Military counter-intelligence - tool of national safety**

The basic tasks of military counter-intelligence, from the point of view of protection of state and military secret, in the armed forces are: maintenance of a mode of privacy in the armed forces and organizations, preventive maintenance and suppression of outflow secret information about the armed forces, active participation in measures on protection of privacy against technical investigation of the opponent.

**ნანი გელოვანი  
არაბული ქვეყნების პოლიტიკური სისტემები**

არაბული სამყაროს პოლიტიკური სისტემების განხილვა უნდა დავიწყოთ პოლიტიკური რეჟიმებით, რადგანაც ამ რაკურსით უფრო ადვილია პოლიტიკური სისტემების პორბლემაზიკის გაზრება. არაბული ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმები მმართველობის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ნაწილად – მონარქიული და რესპუბლიკური. მმართველობის არც ერთ ფორმას ევროპაში ხელი არ შეუშლია დემოკრატიის თანამედროვე ფორმების განვითარებისათვის, რამაც განსაზღვრა პოლიტიკური ინტეგრაციის შესაძლებლობა. არაბულ სამყაროში კი ორივე რეჟიმს – მონარქიულს და რესპუბლიკურს – პოლიტიკულობები აფასებენ ავტორიტატულად.

არაბულ მონარქებში ავტორიტარიზმის ძირითად საყრდენად ითვლება თვითონ მონარქის ინსტიტუტი, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ან საერალურობის პრინციპი, როგორც ეს მაროკოში<sup>1</sup>, იორდანიასა<sup>2</sup> და საუდის არაბეთშია (მონარქი არის საერთო მუსლიმური სიწმინდეების მცველიც) ან ტომობრივი სოლიდარობის და ტომობრივი კონსენსუსის პრინციპი, როგორც ეს სპარსეთის ყურის მონარქიებშია. რესპუბლიკური რეჟიმებში, რომლებიც აღმოცენებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგიის საფუძველზე, ავტორიტატიზმი გარკვეულწილად ეფუძნება პრეზიდენტის შეუზღუდავ ხელისუფლებას.

არაბულ ქვეყნებში მონარქის ინსტიტუტი განსხვავდება ევროპული ქვეყნების მონარქებისაგან. არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში მეფის იურიდიული და ფაქტობრივი მდგომარეობა არ არის ნომინალური. აბსოლუტურ მონარქიებში სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლება ვრცელდება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და ის პრაქტიკულად შეუზღუდავია. საპარლამენტო მონარქიებში მეფე უყოფს თავის უფლებამოსილებას პარლამენტს და მთავრობას,

<sup>1</sup> მაროკოში მმართველი დინასტიის წარმომადგენლები არიან არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელთა შთამომავლები, არამედ საიდები – მოციქულ მუჭამადის შთამომავლები

<sup>2</sup> აქ ხელისუფლების სათავეში არიან მექის შერიფის და შესაბამისად მოციქულის შთამომავლები.

განსაკუთრებით საკანონმდებლო და საფინანსო სფეროში. თუმცა ამ პირობებშიც მეფე წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ინსტიტუტს და აქვს არსებითი უფლებამოსილება სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება სფეროში.

მონარქი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, თავის პოსტს იღებს ტახტის მემკვიდრეობის წესით, რომელიც ჩვეულებრივ მოცემულია ქვეწის ძირითად კანონში – კონსტიტუციაში, ან განმტკიცებულია საეციალური საკონსტიტუციო კანონით, ან კონსტიტუციის არარსებობის შემთხვევაში აქტით, რომელსაც გამოსცემს მონარქი თავის მემკვიდრეობას დაკავშირებით მოქმედი ნორმების შესაბამისად და ისტორიული ტრადიციის გათვალისწინებით. უკელა მონარქიულ სახელმწიფოს მართავს სამეფო ოჯახი. სწორედ მას ეკუთხნის უმაღლესი ხელისუფლების განხორციელების პრივილეგია, ხოლო მონარქი არის მისი ლიდერი და ის პასუხისმგებელია პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. სამეფო ოჯახის წევრებს უპავიათ მნიშვნელოვანი პოსტები მთავრობაში და სახელმწიფო აპარატში. ძირითადად, მონარქი არის ერთადერთი მფლობელი საკანონმდებლო ხელისუფლების, რასაც ახორციელებს თავის მიერ დანიშნული სათათბირო ორგანოს საშუალებით ან ის უყოფს საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოს – ეროვნულ ასამბლეას. პირველი კატეგორიის მონარქებს ეკუთხნის საუდის არაბეთი და ომანი. მეორე კატეგორიას – კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეთი, ბაჰრეინი, მაროკო და იორდანია. რამდენიმე მონარქიაში არსებობს სათათბირო ორგანო – შურა ანუ საკონსულტაციო საბჭო. მმართველი იერარქიის სათავეში დგანან მემკვიდრეობითი დინასტიების შაიხები – საამიროების მმართველები, რომლებიც აკონტროლებენ არაბული სახელმწიფოების ცხოვრების უკელა სფეროს [3,128-132].

არაბულ ქვეყნებში მონარქიის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პრინციპი არის მონარქის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან. კონსტიტუციით ის არის სახელმწიფოს მეთაური, წმინდა და ხელშეუხებელი პიროვნება, რომელსაც აქვს სრული იმუნიტეტი. მონარქი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მინისტრების საშუალებით, რომლებსაც აქვთ კოლექტიური პასუხისმგებლობა მონარქის წინაშე სახელმწიფოში გატარებული პოლიტიკის გამო. ისინი პრემიერ-მინისტრთან ერთად პასუხისმგებელი არიან მონარქის მიერ გამოცემული აქტების შესრულებაზე. არც ერთი მონარქიული არაბული სახელმწიფოს კონსტიტუცია არ აქვს განარქის იურიდიული პასუხისმგებლობის არანაირ ფორმას. მონარქი მოხაწილეობს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში. მონარქი არის აგრეთვე ეროვნული ერთიანობის სიმბოლო, მისი დამცველი. ის არის უმაღლესი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც. მას აქვს უფლება

გამოაცხადოს ქვეყანაში საგანგებო ვითარება, საყოველთაო მობილიზაცია ან ომი ან დაღის სამშენებლო ხელშეკრულება კანონის შესაბამისი პუნქტების საფუძველზე. მხოლოდ შეფეს აქვს უფლება დანიშნოს და გამოიწვიოს ქვეყნის სრულუფლებიანი წარმომადგენლები სხვა ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ამის გარდა მეფეს უფლება აქვს შეიწყალოს დამნაშავენი, მიანიჭოს საპატიო ტიტულები და წოდებები, დაჯილდოვოს სახელმწიფო ორდენებით და უმაღლესი სამხედრო წოდებებით. არაბული აღმოსავლეთის ზოგიერთ მონარქიაში სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებას ემარება რელიგიური ხელისუფლებაც. მაგ. საუდის არაბეთის მეფე ასრულებს რელიგიურ ფუნქციას – ის არის მუსლიმური სამყაროს მთავარი სიწმინდეების (მექა და მედინა) მცველი [4,466-472]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სკარსეთის ყვერის ყველა მონარქიაში ჩამოყალიბდა სისტემები, რომლებიც ნებას რთავს სახელმწიფოს მეთაურს განახორციელოს საერთო კონტროლი რელიგიურ ინსტიტუტებზე და შეზღუდოს მათი მისწრაფება ჩაერიონ პოლიტიკაში. მაგ. ომანში უმაღლესი მუფთი ინიშნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ. ომანში მოქმედებს აგრეთვე დამოუკიდებელი ვაპუფებისა და ისლამურ საქმეთა სამინისტრო. ბაჰრეინში ანალოგიური უწყება შერწყმულია იუსტიციის სამინისტროსთან. საუდის არაბეთის მეფე არის არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური, არამედ თვალყურს ადევნებს იმას, რომ საერთო პოლიტიკური მიმართულება შეესაბეჭისებოდეს ისლამის პრინციპებს, ახორციელებს კონტროლს შარიათის გამოყენებაზე [6,72-75]. დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით დასავლეთისათვის ყველაზე პერსპექტიულია იორდანია და მაროკო. ამ ქვეყნებში მონარქიის გვერდით არსებობს პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც ფორმალურად ან რეალურად დაკავშირებულია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმებთან – პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემა და სხვ. [7; 8]

არაბული მონარქიებისაგან განსხვავდით, სადაც ხელისუფლება მექანიზმებითია, არაბული რესპუბლიკების მეთაურების არჩევა ხდება კონსტიტუციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. თავისი ფუნქციების განხორციელებისას ის ექიდნობა მთავრობას, რომლის სათავეშიც არის პრემიერ-მინისტრი. თითქმის ყველა არაბული ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს დიდი ძალუფლება, რაც აძლევს საშუალებას განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკაზე. არაბულ ქვეყნებში პრეზიდენტის როლს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების სისტემაში ამლიერებს ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში არმა ტრადიციულად არის მთელი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. შესაბამისად, პრეზიდენტი წყვეტს ვინ უნდა

განახორციელოს უმაღლესი ხელისუფლება ქვეყანაში. ალექსირში მაგ., პრეზიდენტი არის არა მარტო ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, არამედ თავდაცვის მინისტრიც და ხელმძღვანელობს უშიშროების უმაღლეს საბჭოს, რომელიც არის საკონსულტაციო ორგანო [6,34-38].

არაბულ რესპუბლიკებში არსებობს პრეზიდენტის არჩევის ორი ფორმა: 1. უფრო დემოკრატიული, დასავლური მოდელის შესაბამისად, როცა პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით აღტერნატიულ საფუძველზე (ალექსი, თუნისი, მავრიტანია და სხვ). თუმცა ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტობის კანდიდატსა და ამომრჩევლებს შორის შეიძლება არსებობდეს შეაღედური ინსტანცია, კონსტიტუციით განმტკიცებული. მაგ., თუნისში მოქმედ პრეზიდენტთან იქმნება სპეციალური კომისია (საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და ადმინისტრაციული ტრიბუნალის თავმჯდომარე), რომელიც განსაზღვრავს წამოყენებული კანდიდატურების შესატყვისობას, საარჩევნო კანონის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას და აცხადებს კენჭისყრის საბოლოო შედეგებს. პრეზიდენტი აირჩევა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. 2. მეორე ფორმის დროს პრეზიდენტის კანდიდატურას ასახელებს ქვეყნის (გევიატე, სირია) ეროვნული ასამბლეა (პარლამენტი), შემდეგ ამ კანდიდატურას ამტკიცებს ამომრჩეველთა საყოველთაო რევერნენდუმი. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე პირის ყოფნა პრეზიდენტის პოსტზე არ არის შეზღუდული და ფაქტობრივად საპრეზიდენტო არჩევნები ატარებს უაღტერნატიულ ხასიათს. ამ პირობებში პრეზიდენტის ინსტიტუტი აბსოლუტური მონარქიისაგან განსხვავდება მხოლოდ ტახტის მექანიზმის არარსებობით [6,40-45].

არაბულ პოლიტიკურ სისტემებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლიბანს, რომელსაც სამოქალაქო ომამდე უწოდებდნენ “არაბულ შეეგიცარიას”. ლიბანი წარმოადგენს პილიტიკური პლურალიზმის მაგალითს. თუმცა ხელისუფლების მექანიზმის მოწყობის პრინციპი, შვეიცარიისაგან განსხვავდით, ეფუძნება არა ეთნოგულტურულ, არამედ ეთნოკონფესიურ საფუძველს. ლიბანის სახელმწიფო სისტემის მოწყობის პრინციპები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ საფრანგეთის მანდატის პერიოდში. 1932 წელს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ქრისტიანების შეადგენდნენ მოსახლეობის 52%-ს, ხოლო მუსლიმები - 48%-ს. ლიბანის სახელმწიფოს კონფესიური საფუძველი განმტკიცებულია 1926 წლის კონსტიტუციით (95 მუხლი) და 1943 წლის ეროვნული პაქტით, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სახელმწიფო აპარატში სხვადასხვა რელიგიური თემების გარკვეული პროპორციით წარმომადგენლობა. პრეზიდენტის პოსტი ეკუთვნის ქრისტიან

მარონიტს; პრემიერ-მინისტრის – სუნიტს, პარლამენტის თავმჯდომარის – შიიტს, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარების მოადგილეთა პოსტები – მართლმადიდებელს. ასეთივე თანაფარდობა დადგინდა რელიგიური ოქების წარმომადგენელთათვის პარლამენტში, მთავრობაში, სამინისტროებში და უწყებებში. გარკვეულწილად შეიცვალა ლიბანის პრეზიდენტის უფლებამოსილება 1989 წელს კავშირის „ტაიფის შეთანხმების“ (ლიბანის ეროვნული თანხმობის ქარტია) საფუძველზე. პრეზიდენტს არ შეუძლია თვითონ აირჩიოს პრემიერ-მინისტრი, ის უნდა მოეთათბიროს ამაზე პარლამენტის სპეციალური და ფაქტობრივად ვალდებულია დაეთანხმოს პარლამენტის გადაწყვეტილებას. მას არ შეუძლია აგრეთვე პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების დათხოვნა პარლამენტში კენჭისყრის გარეშე. პრეზიდენტი აირჩევა დეპუტატთა პალატის მიერ 6 წლის ვადით [6, 52-54]. თუმცა არსებითი სტრუქტურულ-პოლიტიკური რეფორმები არ განხორციელდებულა. სამოქალაქო ომბა წარმოაჩინა ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის (მრავალპარტიულობა, ალტერნატიული არჩევნები, პრესის თავისუფლება) ზედაპირული ხასიათი, რომლის უკანაც იმაღლებოდა ავტორიტარიზმი. 2005 წლის თებერვლის ტერაქტი, რომელსაც შეეწირა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, სუნიტური თემის ავტორიტარული ლიდერი რაფიკ ალ-ჰარირი, არის ამის თვალსაჩინო დადასტურება.

არაბულ სამყაროში XX საუკუნის ერავს პოლიტიკური რევიმების სხვადასხვა მოდიფიკაციების დიდი გამოცდილება აქვს. ასეთ სისტემას ახასიათებენ როგორც ავტორიტარულ-ტოტალიტარულს. ბაასისტური იდეოლოგია საკმაოდ ინდივერნიტული იყო კონფესიური პრობლემების (ქურთები, შიიტები) მიმართ. ამჟამად ერაყში არ არის ერთიანი პოლიტიკური სისტემა. ქვეყანა ფაქტობრივად გაყოფილია სამ ზონად: ჩრდილოეთი, რომელსაც ქურთები მართავენ, შიიტები სამხრეთ და ქვეყნის ცენტრალური რეგიონები, სადაც ბალდადისა და ცალკეული რაიონების გარდა, ჭარბობენ არაბი-სუნიტები. ეს სიტუაცია ხელს უშლის ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. შიიტების კონსელიდაციამ ზომიერი ლიდერის – აიათოლა აღი ას-სითანის გარშემო განაპირობა არჩევნების წარმატება შიიტურ და ქურთულ რეგიონებში. არაბი-სუნიტები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ ლეგალურ პოლიტიკურ პროცესში. პოლიტიკურ სპექტრში არ აღმოჩნდენ აგრუპვე სამოქალაქო პოლიტიკური პარტიები (თუ არ ჩავთვლით ქურთთა წარმომადგენლებს) და ეროვნული უმცირესობები – თურქებები, ასირიელები, სომხები და სხვ. ხელისუფლება გადავიდა შიიტური უმრავლესობის ხელში, რომელთაც არა აქვთ რეალური კონფრონტაცია ქურთებთან. თუმცა სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირებაზე მოწმობს რეალური

პოლიტიკური ფაქტები - ტერორისტული აქტების უმრავლეობა მიმართულია შიიტების წინააღმდეგ. თუ ადრე ტერორისტები მასშტაბურ ტერორისტულ აქტებს ახორციელებდნენ ქვეყნის შიიტურ რაიონებში (ქერბელა, ნეჯეფი, ქუფა, ბასრა და სხვ), ბოლო ტერორისტული აქტები გადატანილია ბაღდადის შიიტურ რაიონებში და სხვა ადგილებში, სადაც არის შერეული მოსახლეობა [1, 26-30].

სუპერპრეზიდენტური რესპუბლიკის განსაკუთრებულ ფორმად ითვლება მმართველობის ისეთი მოდელი, რომელიც დამყარდა მრავალ არაბულ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალებების შედევრად. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, პარლამენტი დათხოვილია, ხოლო პრეზიდენტი და მთავრობა გადაყენებულია თავიანთი პრეტებიდან. იქმნება ახალი უმაღლესი ორგანო – სამხედრო საბჭო (რეგოლუციური საბჭო, ეროვნული სხინძის საბჭო და სხვა), რომლის თავმჯდომარეულ (როგორც წესი გადატრიალების ლიდერი) შემდეგ ცხადდება პრეზიდენტად. არაბული ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი ლიდერები იყვნენ ხელისუფლების სათავეში დიდხანს, რაც ხელს უწყობს რესპუბლიკური რეჟიმების განმტკიცებას ამ ქვეყნებში (სირიის ლიდერი პატარებ ასადი იყო 1970 წლიდან; ლიბიის ლიდერი 1969 წლიდან; 16 წელი იყო სუდანის პრეზიდენტი ჯაფარ ნიმეირი - 1969-1985წ.).

ლიბიაში და სუდანში ისლამიზმი გახდა არა მარტო ერთ-ერთი იდეოლოგიური ფორმა, არამედ პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი. სუდანში 1989 წლის გადატრიალების შემდეგ, რომელიც განახორციელა პროისლამისტურად განწყობილმა გქერალმა – ომარ ალ-ბაშირმა, რადიკალური ისლამის მიმდევრებს რეალური შესაძლებლობა მიეცათ მოეხდინათ თავიანთი იდეების რეალიზება პოლიტიკურ პრაქტიკაში. ისლამიზმის ცნობილი თეორეტიკოსი – ჰასან ალ-ტურაბი აღმოჩნდა ხელისუფლებაში (ის იყო პარლამენტის სპიკერი 1993-1999 წწ.). პირველად არაბული ქვეყნების ისტორიაში თრგანიზაცია “შუსლიმი მები” აღმოჩნდა არა ოპოზიციაში, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების ეპიცენტრში. თუმცა ისლამისტებმა ვერ შეძლეს ინტეგრირება სუდანის საზოგადოებაში მათ მიერ წამოყენებული იდეური პრინციპების გამო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინტეგრირება არ გულისხმობს სუდანის მთელი საზოგადოების, მათ შორის ქრისტიანული სამხრეთის, ინტეგრაციას. სუდანისაგან განსხვავებით, ლიბიის მოდელს ანალოგი არა აქვს არაბულ სამყაროში, რადგანაც მან მოახერხა საზოგადოებრივი კონსოლიდაცია [5, 75-82]. 1973 წელს ლიბიაში დაიწყო ეწ. “სახალხო კულტურული რევოლუცია”, რომელიც მიზნად ისახავდა ძველი სახელმწიფო სტრუქტურის დანგრევას. პარალელურად გაჩნდა მმართველობის ახალი ორგანოები – სახალხო კომიტეტები, რომლის არჩევნები ჩატარდა 1975-76წწ.-ში. 1977 წლის 3 მარტიდან ლიბია იწოდება ასე: სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბული

ჯამაპირია (სახალხო სახელმწიფო, სახალხო მმართველობა). ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება ხალხს უნდა გადასცემოდა. პარლამენტი, მთავრობა, პოლიტიკური პარტიები “ცრუ დემოკრატიად” გამოცხადდა, რომელთაც არ ჰეთლოთ ხალხის ინტერესების გამოხატვა. სამინისტროების ნაცვლად ჰეთმნა სამდივნოები. ლიბიაში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი პოლიტიკური ელიტა, რომელმაც პოლიტიკურ სისტემაში ჩართო არა იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობები, არამედ ისლამის ელემენტებს დაეფუძნა. მათი მიზანი იყო თავდაპირველი ისლამური საზოგადოების დაფუძნება. პირველი ელემენტი, რაც განაპირობებს ლიბიის ჯამაპირიის მსგავსებას მუჭამადის მუსლიმურ თემთან (უმა) არის სახალხო კონგრესი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის პირველადი ფორმა. დემოკრატიის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ლიდერება და მასებს (ჯამაპირია) შორის ურთიერთობა. მესამე ელემენტი, რაც ქმნიდა ანალოგიას ჯამაპირიასა და მუჭამადის უმას შორის, იყო პოლიტიკურ სისტემაში ხელმძღვანელის როლისა და მდგრამარეობის ფორმალუზაციის უქონლობა, რაც მას აძლევდა მოქმედების თავისუფლებას. სხვა ქვეყნებში პრეზიდენტის როლი, როგორც წესი, განსაზღვრულია მოქმედი კონსტიტუციით. ჯამაპირიას იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს “მწვანე წიგნი”, რომელიც იმავდროულად არის ნორმატიული დოკუმენტი და ცვლის კონსტიტუციას. ამ დოკუმენტში არის მოცემული ლიბიის დემოკრატიის სტრუქტურისა და მექანიზმების აღწერა, ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის პრინციპები [2, 51-54]. 2001 წელს მ. კადაფი გამოვიდა აფრიკის კავშირის შექმნის იდეით, რაც შემდგომში ხელს შეუწყობდა ერთიანი აფრიკული სახელმწიფოს შექმნას. იდეის რეალიზება მოხდა 2002 წელს, რამაც გაზარდა ლიბიის საერთაშორისო ავტორიტეტი.

რთული კომპლექსი ეთნიკური, კონფესიალური, პოლიტიკური და სხვა წინააღმდეგობების, რომლებიც არსებობს არაბულ ქვეყნებში და მუდმივი წინააღმდეგობა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის (რომელიც ხშირად მწვავე ხასიათს იდებს) არ აძლევს საშუალებას მმართველ წრეებს იმოქმედონ “ლიბერალური დემოკრატიის” ფარგლებში. ეს ფაქტორები განაპირობებს პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას ამ ქვეყნებში და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების და მთავრობის დამორჩილებას პრეზიდენტის ხელისუფლებისადმი.

զամովելելով լուսաբանական:

1. Донцов В. Е. Проблемы власти и государства в шиитском правоведении и развитие политической ситуации в Ираке. – Ближний Восток и современность. М., 2006, с. 22-37.
2. Захаров Е. А. Политические Элиты Ливии. – Политическая Элита Ближнего Востока. М., 2000, с.49-59.
3. Молодцова М. А. Проблема преемственности власти и ее решение в государствах Арабского Востока. – Политическая Элита Ближнего Востока. М., 2000, с.128-139.
4. Основы системы власти Королевства Саудовская Аравия 1999 г. – Александров И. А. Монархии Персидского залива: этап модернизации. М., 2000 с. 464-479.
5. Поляков К.И. Идеология Исламских Фундаменталистов в Судане. – Национализм и И Фундаментализм на Ближнем Востоке.М., 1999, с.71-90.
6. Сапронова М. А. Государственный строй и конституции арабских республик. М., 2003.
7. Constitution of Jordan \_[www.kinghussein.gov.jo/constitution\\_jo.html](http://www.kinghussein.gov.jo/constitution_jo.html)
8. Constitution of Morocco, 1996. – <http://www.albab.com/maroc/gov/con96.htm>

## Summary

Gelovani Nani

### Political systems of Arab countries

The work deals with the political systems of Arab states. The countries are grouped according to the forms of government – absolute monarchies, constitutional monarchies and parliamentary republics. An accent is made on the government structure and mechanisms. The ethnic, confession and political problems hampering the democracy in the given countries are underlined. The peculiarities of the political development in these countries called forth by the Islamic religion on the one hand and by the establishment of the western political institutions on the other hand are evaluated. A certain attention is devoted to the question of the monarchial and presidential authority. We mainly base ourselves on the constitutions of the considered countries and most recent studies in this direction.

## Резюме

Геловани Нани

### Политические Системы Арабских Стран

В статье рассмотрены политические системы арабских стран. Страны сгруппированы по форме управления – абсолютные монархии, конституционные монархии и парламентские республики. Особое внимание обращено на структуру и механизмы власти. Подчёркнуты те этнические, конфессиональные или политические противоречия, что является помехой развития демократий в этих странах. Даны оценка тем особенностям этих стран, которые, с одной стороны, обусловлены исламской религией, а с другой стороны, внедрением западных политических институтов. Определённое место отводится вопросу правомочия монарха и президента. Мы в основном опираемся на конституции этих стран и новейшим исследованиям в этом направлении.

თენგიზ გრიგოლია  
ბალგანეთის გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაცია

ბალკანეთი არის ევროპის „დენოის კასრი”. იგი ფეოქტადია არა მარტო გეოპოლიტიკურ ზღვარზე, არამედ იგი არის ასევე ადგილი ადამიანთა სულიერი განხევთქილებისა. ბალკანეთი იყო წერტილი პირველი მსოფლიო ომის წარმოშობისა და რესენტის ტრაგედიის მომასწავებელი აღნიშნული ომში.

ბალკანეთი დაგალებულია მრავალრიცხოვანი რეგიონალური ომებითა და კონფლიქტებით. ტ. ლოურენსი აღნიშნავდა „... ბალკანეთი – იდეალური მკებავი საშუალებაა ნაციონალიზმის მიყრობის გამოსაყვანად”. XX საუკუნეში ორჯერ რუსეთის იმპერია გამოვიდა იმის მომხრედ, რომ შექმნილიყო ბალკანეთის ფედერაცია თურქეთის მონაწილეობით.

XX საუკუნის დასაწყისში პრესტიტული ბალკანეთის ფედერაციის შექმნის რესული პროექტი, რომელშიც ჩართული იყო თვით თურქეთიც. სამხრეთელი სლავების ქვეყნად გაერთიანება ევროპაში 1918 წელს ჩამოყალიბდა. 1929 წლიდან მან მიიღო სახელწოდება ოუგოსლავია. ბალკანეთის ფედერაციის შექმნის პროექტმა II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პპოვა რეანიმირება და ოქანიზაცია.

ბალკანეთის ფედერაციის მომხრედ გამოვიდა ოსებ ბროს ტიტო (1892-1980) რომლის მიერ შექმნილმა ფედერაციულმა სახელმწიფომ იარსება რეგიონში (1945-1991წ.წ.) სხვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან შედარებით იქ ცხოვრების დონე უფრო ხარისხოვი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. იუგოსლავია თვით კაპიტალისტური გახდა სოციალისტური ქვეყნებისაგან. 1945 წელს იუგოსლავიას ფაშისტური ოკუპანტებისაგან განთავისუფლების შემდეგ შეიქმნა იუგოსლავიას ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა. 1963 წელს სახელი გადაარქვეს და ეწოდა იუგოსლავიას სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში შევიდა მოკავშირე რესპუბლიკები: სერბია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია, პერცოგოვინა, მაკედონია და ჩერნოგორია. გარდა ამისა, სერბიის შემადგენლობაში გამოყოფილი იქნა ორი ავტონომიური მხარე: 1. ვოვოდინა (მნიშვნელოვანი უნგრული მოსახლეობით) და კოსოვო. 2. მეტოქია ჭარბი ალბანური მოსახლეობით. მიუხედავად სამხრეთის სლავების ნათესაობისა, მათ შორის მაინც შენარჩუნდა რელიგიური და ეთნოლინგვისტური განსხვავებანი. ასე რომ სერბები, ჩერნოგორიელები და

მაკედონიელები მართლმადიდებელი რელიგიის აღმსარებლები არიან. ხორვატიელები და სლოვენიელები კათოლიკები არიან, ალბანელები და სლავები მუსულმანები – ისლამისტები არიან. სერბები, ხორვატები, ჩერნოგორიელები და სლავი მუსულმანები ლაპარაკობენ სერბი – ხორვატულად, სლოვენები – სლოვენურად, მაკედონელები მაკედონიურ ენაზე.

იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა იყენებდა ორ დამწერლობას:

1. კირილიცას (სერბები ჩერნოგორიელები და მაკედონია) და
  2. ლათინურს (ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჩერნოგორია)
- აღნიშვნული ხალხების ეთნოლინგვისტურ განსხვავებულობას ემატებოდა მათი სოციალ-ეკონომიკური ხასიათის განსხვავებულობაც. სანამ იუგოსლავიას სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკა არსებობდა, მკეთრად არ იყო გამოკვეთილი ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის ნიშნები.

მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიის სახელმწიფოს სახელის სრული ოფიციალური ფორმა XX საუკუნის განმავლობაში გამუდმებით იცვლებოდა, მისი შემოკლებული და მეორე არაოფიციალური სახელი იუგოსლავია (ლათინურ შრიფტზე Jugoslavija, ხოლო კირილურზე Југославија არავის არასდროს არ ჟუცვლია. იუგოსლავია სერბულ-ხორვატულიდან ითარგმნება, როგორც სამხრეთ სლავია, ან სამხრეთი სლავეთი, მაგრამ ეს სახელწოდებაც პირობითია)

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის (1945-1963) შექმნამდე არსებობდა “სერბია, ხორვატია და სლოვენთა რესპუბლიკა” ანუ “იუგოსლავიის სამეფო” (1918-1941). იუგოსლავიის სახელმწიფო შექმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მანამდელი სერბიისა და ჩერნოგორიის სამეფოებისაგან და აკსტრო-უნგრეთის სამხრეთ სლავური ნაწილებისაგან. ეს ნაწილები მოიცავდა ძირითადად უწინდელ კრაინას (კრონლანდია, შტირიას, ხორვატია-სლავენიას, დალმათიას, ბოსნიასა და ვაკევოლინას. სახელმწიფო ცენტრალიზმის იდეამ ძირგი მისცა დაძაბულობას ეთნიკურ და კონფესიონალურ ნიადაგზე. პოლიტიკური ბალანსის დარღვევამ სახელმწიფო კრიზისი წარმოშვა. 1929 წლის 3 ოქტომბერს მეფე ალექსანდრე I პირველ კონსტიტუციის აუქმებს და ბალკანეთში მყარდება სამეფო დიქტატურა სახელმწიფოს ეცვლება სახელი და იწოდება იუგოსლავიის სამეფოდ.

1941 წლის აპრილში იუგოსლავიის სამეფოს გერმანია და იტალია იაპორბს და სამეფოც უქმდება. სერბია, როგორც ვასალური სახელმწიფო ოკუპირებული რჩქა, სლოვენიას გერმანია, იტალია და უნგრეთი იყოფენ, ხორვატია (ბოსნიასა და პერცოგოვინას ჩათვლით) დიდ ხორვატიად (ფაქტიურად ფაშისტური იდეოლოგიის მქონე გასალურ სახელმწიფოდ) ცხადდება და ერქმევა სახლი-ხორვატიის

დამოუკიდებელი სახელმწიფო, მონტენეგროსა და ზოგ სხვა ქვეყნას სამხრეთში იტალია ისაკუთრებს.

1943 წლის 23 ნოემბერს ე.წ. ავნოის-გადაწყვეტილებით საფუძველი ჩაეყარა სლავი ხალხების ახალ ფედერაციას იუგოსლავის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას კომუნისტური პარტიის მეთაურობით. 1945 წლის 29 ნოემბერს მას შემდეგ, რაც იოსებ ბროს ტიტოს სახალხო ფრონტმა არჩევნებში გაიმარჯვა. იუგოსლავია გამოცხადდა სოციალისტურ-ფედერაციულ სახელმწიფოდ. 1946 წლის 31 იანვარს იუგოსლავიამ მიიღო სსრ კავშირის მსგავსი კონსტიტუცია.

1948 წლიდან იუგოსლავია ნელ-ნელა დაშორდა საბჭოთა კავშირს და აღმოსავლეთ ბლოკის სხვა ქვეყნებს და შედგა საკუთარი იუგოსლავური კომუნიზმის (ტიტოზმის) იდეის განხორციელებას.

1963 წლის 7 აპრილს იუგოსლავიის სახალხო ფედერაციულ რესპუბლიკას სახელი ისევ გამოუცევალქ და მას იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა ეწოდა. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკა არსებობდა 1963-1992წ.

1974 წელს პროვინციები ვოივოდინა და კოსოვო ახალ კონსტიტუციაში ავტონომიურ პროვინციებად გამოცხადდა, სერბიის შემადგენლობაში ფაქტიურად მათ არაფორმალურად რესპუბლიკების სტატუსი მიანიჭეს. მიუხედავად ამისა ამ ავტონომიებს არ ეძღვოდა თვითგამორკვევის უფლება. ასეთნაირად შედგა იუგოსლავიის ფედერაცია 6 წელი რესპუბლიკისა (ბოსნია და ჰერცოგოვინა, ხორვატია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბია, სლოვენია) და ორი ავტონომიური პროვინციისაგან (კოსოვო, ვოივოდინა) სერბიის შემადგენლობაში. ტიტოს სიკვდილის შემდეგ 1980წლის 4მაისს სამთავრობო ფუნქციები თავის თავზე რესპუბლიკის პრეზიდიუმმა აიღო. უთანხმოება იზრდებოდა უკვე იუგოსლავიის გამაერთიანებელი ფიგურა ტიტო აღარ იყო. ცენტრალურ მთავრობაში სერბების მოჭარბებამ უკმაყოფილება გამოიწვია. გაისმა რესპუბლიკებს შორის დამოუკიდებლობის მოთხოვნები. ბელგრადი შეეცადა 1991 წლიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნები სამხედრო ძალით დაეთრგუნა, რაშიც აქტიურობდა იუგოსლავიის სახალხო არმია. 1991 წელს იუგოსლავიის სახალხო არმია სლოვენიაში შეიჭრა, შემდეგ კი ხორვატიაში, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად ომი ხორვატიაში შეჩერდა, მაგრამ მან შემდეგ ბოსნია-ჰერცოგოვინის ტერიტორია მოიცვა.

1991-1992 წლებში იუგოსლავიაში თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენელი ხალხის პოლიტიკური პარტიები გამოვიდა ნაციონალური ლოზუნგებით. სწორედ ამ პერიოდიდან იუგოსლავიას გამოეყო სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცოგოვინა ასევე

ჩერნოგორია. 1992 წელს შეიქმნა იუგოსლავიის ახალი ფედერაცია “იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა” (1993-2003) ანუ “სერბია და მონტენეგრო” (2003-2006).

1992 წლის 22 სექტემბერს გაეროს სხდომაზე ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ სერბიასა და მონტენეგროსაგან შემდგარ ფედერაციას ვერც იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სამართალმემკიდრედ განიხილავდნენ და ვერც გაეროს წევრად აღიარებდნენ მას. 2003 წელს, ახალი კონსტიტუციის მიხედვით ახალ ფედერაციას სერბია და მონტენეგრო ეწოდა, რამაც დასასრული დაუდო იუგოსლავიას, როგორც სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ რეალობას. წარმატებით დასრულებულ კენჭისყრაზე, რომელიც ჩატარდა 2006 წლის 21 მაისს მონტენეგრომაც გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა.

იუგოსლავიის დაშლა ატარებდა, როგორც მშვიდობიან ისე მწვავე ხასიათს. ყველაზე უფრო მშვიდობიან ხასიათს ატარებდა იუგოსლავიისაგან სლოვენიის გამოყოფა, მაგრამ ისიც ვერ გაქცა პატარა შეიარაღებულ კონფლიქტს, მაგრამ ეს იყო პროცესი იმპერიასთან “განქორწინებისა”.

იუგოსლავიისაგან მაკედონიის გამოყოფა არა საომარ, არამედ დიპლომატიური კონფლიქტის ხასიათს ატარებდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მაკედონიის დამოუკიდებლობა არ სცნო საბერძნეომა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ მაკედონია შედიოდა ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში. თურქებისაგან განთავისუფლების შემდეგ მისი ტერიტორია გაყოფილ იქნა ბერძნების, სერბების, ბულგარებისა და ალბანელების მიერ. მაკედონია, რომელიც გამოუყო იუგოსლავიას ის არის მცირე ნაწილი ისტორიული მაკედონიისა, რომელიც საბერძნეთს ეკუთვნის და რომელშიც არსებობდა მაკედონია. ადრე საბერძნეთი შიშობდა, რომ მაკედონია მომავალში წამოაყენებდა პრეტენზის მაკედონიის ბერძნულ ნაწილზეც. მაკედონია მიღებულ იქნა გაეროს წევრ ქვეყნად ასეთი ფორმულირებით: “წინანდელი იუგოსლავიის რესპუბლიკა-მაკედონია”. სწორედ საბერძნეთის პრეტენზის გათვალისწინებით მაკედონიას 2008 წლის ნატოს აპრილის ბუქარესტის სამიზნე ნატოში მიღებაზე უარი ეთქვა, როგორც ცნობილია აქ უმთავრესი პრობლემა ქვეყნის სახელწოდება იყო.

იუგოსლავიისაგან ხორვატიის გამოყოფა გაცილებით მტკიცნეული იყო, მას თან ახლდა დიდი სამხედრო-პოლიტიკური გართულებები.

1990წელს სერბი მოსახლეობის ხევდრითი წილი ხორვატიაში 12% შეაღენდა. 1998წელს ხორვატიამ სამხრეთ სლოვენიის ტერიტორია დაიბრუნა, რომელიც მას ჯერ კიდევ სერბებმა სისხლისმდვრელი ოპერაციის შედეგად წაართვა 1991წელს. ამ

სიტუაციაშ ანუ ტერიტორიის დათმობაშ სერბ რადიკალებს მისცა საშუალება სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი “შარის მოდალატედ” გამოეცხადებინათ.

კიდევ ერთი შეურიგებელი სამხედრო პოლიტიკური და ეთნიკური დაპირისპირების არქნა გახდა იუგოსლავის ყოფილი რესპუბლიკა ბოსნია-ჰერცოგოვინა, რომელიც კველასაგან განსხვავდებოდა მოსახლეობის მრავალნაციონალური შემადგენლობით. 1991 წლის აღწერის შესაბამისად სერბები შეადგენდნენ 31%-ს, მუსლიმები 44%-ს, ხორვატები 17%-ს, ხოლო დანარჩენ ნაწილს შეადგენდა მოსახლეობის სხვა ეთნიკური ჯგუფები. ბოსნიისა და ჰერცოგოვინას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სერბები შეადგენდნენ ქვეყნის ჩრდილო და სამხრეთი რაიონების უმრავლესობას. მუსლიმანები—ცენტრალური რაიონების, ხოლო ხორვატები უმრავლესობას შეადგენდნენ დასავლეთ რაიონებში. სერბებისა და ხორვატებისათვის მიუღებელი იყო მუსლიმურ სახელმწიფოში ცხოვრება. თავის მხრივ მუსულმანები უარს აცხადებენ ქრისტიანულ რაიონებში ცხოვრებაზე, რამაც მათ შორის კონფლიქტი გამოიწვია. ხოლო 1992 წელს გაზაფხულზე ეს კონფლიქტი სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ომის პირველ ეტაპზე წარმატებებს მიაღწიეს სერბებმა, რომლებმაც დაიკავეს ქვეყნის 3/4 და დაიწყეს “ეთნიკური წენდა” მუსლიმანურ რაიონებში. მუსლიმანური ქალაქები სერბული შეიარაღებული ძალების მიერ აღმოჩნდნენ გარშემორტყმულნი. ამის ნათელი მაგალითია ბოსნია-ჰერცოგოვინის დედაქალაქის სარაევოს აღყა, რომელიც გრძელდებოდა სამი წელი და უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. რელიგიურ-ნაციონალისტური დაპირისპირების შედეგად იმ ტერიტორიებზე სადაც სერბული მოსახლეობა ჭარბობდა, სერბებმა გამოაცხადეს ბოსნიის სერბული რესპუბლიკა, ხორვატებმა და მუსლიმებმაც თავის მხრივ შექმნეს თავიანთი რესპუბლიკები, მაგრამ 1994 წელს ახტისერბული კავშირის საფუძველზე მათ შექმნეს ერთიანი ბოსნიური მუსულმანურ-ხორვატიული ფედერაცია.

ბოსნიის ომი 1995 წლის გვიან შემოდგომაზე დამთავრდა. სამშეიდობო შეთანხმების შედეგად ბოსნიამ და ჰერცოგოვინამ ფორმალურად შეინარჩუნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. პრეზიდენტით, პარლამენტით, ცენტრალური მთავრობითა და ხელისუფლების სხვა ორგანოებით. ფაქტიურად იგი გაყოფილი იქნა ორ ნაწილად. მათგან ერთ-ერთმა შექმნა მუსლიმანურ ხორვატიული ფედერაცია 26 ათასი კვ-ბმ ტერიტორიით, რომლის მოსახლეობა შეადგენს 2.3 მილიონს, დედაქალაქი სარაევო, რომელსაც ჰყავს პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა. მეორე რესპუბლიკაა სერბული რესპუბლიკა, რომლის ტერიტორია არის 25ათასი კვ-ბმ. მილიონიანი მოსახლეობით და დედაქალაქით ბანია-ლუკა სერბული

ტერიტორიის კონფიგურაცია ძალიან უცნაურია, სერბულ რესპუბლიკას ჰყავს თავისი პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა. მუსლიმანურ-ხორვატიის ფედერაცია და რესპუბლიკა სერბია თვითაღიარებული სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რადგან გაეროს მიერ არ არიან აღიარებული. კონფლიქტი აღნიშნულ არეალში აცილებულ იქნა იმის წყალობით, რომ 1995 წლის ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ნატოს ეგიდით შეეფანილ იქნა სამშვიდობო ძალები, შემდეგ კი გაეროს სამშვიდობო ძალების კონტინგენტი, რომელთა მანდატები თანხათანობით გრძელდებოდა. მაგრამ ყველაფერი ეს იყო მოჩვენებითი სტაბილიზაცია, რომელმაც ვერ გადაჭრა მთავარი სადაო საკითხები, მაგალითად სამშვიდობო ძალებმა ვერ შეძლეს უზრუნველეყოთ ლტოლვილების დაბრუნება თავის საცხოვრებელ ადგილას. გაეროს მონაცემებით ლტოლვილთა რიცხვმა იუგოსლავის ტერიტორიაზე 2,3 მილიონი შეადგინა.

ისტორიულმა მხარემ კოსოვომ და მეტოქიამ (კოსოვოს უკავია დაბლობის არმოსავლეთი მხარე, ხოლო მეტოქიას დასავლეთის მთიანი ნაწილი) დიდი როლი შეასრულა სერბების სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. კოსოვოს ადრინდებლ აყვავებას ხელი შეუშალა თურქოსმალების შემოსვამ. თურქეთის სულთანის მურად I-ის მეთაურობით დამარცხებული იქნა სერბთა ლაშქარი. აღნიშნული პერიოდიდან კოსოვო და მეტოქეა გაოხრდა და გაუკაცრიელდა. სწორედ ამ პერიოდიდან ხდება ალბანელების დასახლება, რომლებმაც მიიღეს მუსლიმანობა. აღნიშნულ არეალში თანხათანობით ხდებოდა ალბანელი მოსახლეობის მატება, მას შემდეგ რაც თურქეთმა ევროპაში დაასრულა თავისი მფლობელობა. 1912 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი ალბანეთი. კოსოვოელმა ალბანელებმა გააკეთეს მცდელობა, რომ კოსოვოს ტერიტორია ალბანეთს შეერთებოდა. ასეთი საშუალებით პოლბლების გადაჭრა მოხდა 1941 წელს, როცა ფაშისტურმა გერმანიამ იუგოსლავიის ოკუპაცია მოახდინა და შექმნა “დიდი ალბანეთი”. ალბანეთის შემადგენლობაში შევიდა კოსოვოსა და მეტოქის დიდი ნაწილი. ასევე მაკედონიის ნაწილი და ჩერნოგორიის მიწები ალბანური მოსახლეობით. II მსოფლიო ომის შემდეგ კოსოვოსა და მეტოქის ისტორიულმა მხარემ ჯერ თავიდან იუგოსლავიის სახალხო და შემდეგ იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში მიიღეს ფართო ავტონომია, ხოლო 1974 წლის კონსტიტუციით ეს ავტონომიური მხარე ფაქტიურად გახდა ფედერაციის დამოუკიდებელი სუბიექტი ძალიან ფართო უფლებებით. (მარტო იმ გამონაკლისით, რომ მას არ შექმლო სერბიის შემადგენლობიდან გასვლა).

1980 წლის დასაწყისში ქვეყნის ხელმძღვანელ მარშალ ტიტოს გარდაცვალების შემდეგ კოსოვოში ალბანური სეარატისტული ნაციონალიზმი გაძლიერდა და დაიწყო ანტისერბული გამოსვლები.

1989 წელს კოველივე ამის საპასუხოდ სერბეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ფაქტზე ურად გააუქმა კოსოვოსა და მეტოქის ავტონომია. აღნიშნულმა აქციამ რეგიონში კიდევ უფრო გაართულდა სიტუაცია, იგი გააღრმავა იმანაც, რომ კველანაირი კონომიკური მონაცემებით კოსოვო ქვეყანაში ბოლო აღგილზე აღმოჩნდა. კოსოვოს ხვედრითი წილი სამრეწველო წარმოებაში შეაღეცნდა მთლიანად 2% ხოლო უმუშევართა რაოდენობრივი მაჩვენებლებით და უცოდინობის მხრივ მას პირველი ადგილი ეკავა.

მას შემდეგ რაც დაიწყო იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის დეზინტეგრაცია კოსოვოელმა ალბანელებმა შექმნეს კოსოვოს რესპუბლიკა. სერბეთმა იგი არ სცნო, მხარეში ჩამოყალიბდა ორხელისუფლებიანობა. საომარი მოქმედებების სამზადისისათვის კოსოვოელმა ალბანელებმა შექმნეს თავიანთი სამსედრო ორგანიზაცია კოსოვოს განმანათვისუფლებელი არმია (კგა) ალბანელებს თანდათანობით არალეგალურად შეჰქმნდათ კოსოვოში იარაღი, ასევე ალბანეთიდან შემოდიოდა მოხალისე მებრძოლები.

1998 წელს სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც იუგოსლავიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს განმანათვისუფლებელი არმიის (კგა) ბაზის ლიკვიდაცია მოეხდინა. დასავლეთის ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს ალბანელ კოსოვოელებს, რომლებმაც აშკარად გამოაცხადეს თავიანთი გასვლა იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკიდან. დაიწყო მრავალმხრივი მოლაპარაკებები, რომლებმაც შედგევი ვერ მოიგანა. სერბები ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ: მათ ან უნდა დაეთმოთ კოსოვო ან ჩართულიყვნენ ნატოსთან არათანაბარ ბრძოლებში. სერბებმა მეორე გზა აირჩიეს. ნატომ გაეროს უშიშროების სანქციის გარეშე მეორედ დაიწყო იუგოსლავიის მასირებული დაბომბვა. ნატოს შენაერთებმა დაიკავეს კოსოვო. სერბეთის პროვინცია კოსოვოს მიერ 2008 წლის 17 თებერვალს ცალმხრივად გამოცხადებულ დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირეს ევროკავშირის უმეტესმა სახელმწიფოებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. კოსოვოს დამოუკიდებლობა არ სცნო რუსეთმა, ჩინეთმა, საქართველომ, ესპანეთმა, კვიპროსმა, რუმინეთმა და სლოვაკეთმა.

2000–2002 წლებში იუგოსლავიაში სიტუაციის ახალი გამწვავება მაკედონია ჩერნოგორიასთან იყო დაკავშირებული. მაკედონიაში მდგომარეობის გამწვავება პირდაპირ არის დაკავშირებული კოსოვოსთან. მაკედონიის მოსახლეობის დაახლოებით მესამედს შეადგენდნენ ალბანელი მუსულმანები, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ ალბანეთისა და კოსოვოს ტერიტორიების მიმდებარე რაიონებში, ამასთან ერთად რაოდენობა და ხვედრითი წილი ალბანელებისა ამ ქვეყნის მოსახლეობაში თანდათანობით მატულობს ბუნებრივი მატების უფრო მაღალი

ტემპების წყალობით, რომელიც დამახასიათებელია ამ ეთნიკური ერთობისათვის და ბოლო დროს გაზრდილი მიგრაციული ნაკადის ხარჯზე. მოვლენები, რომელიც მოხდა 2001 წლის გაზაფხულზე, როდესაც კოსოვოდან აღბანებულ “ბოევიკო” დიდი ჯგუფები შეიჭრნენ მაკედონიის საზღვრებში და დაიწყეს მათი დასახლებული პუნქტების დაცხრილვა, არსებითად ეს იყო “დიდი აღბანეთის” შექმნის პირველი იდეის განხორციელების კიდევ ერთი მცდელობა. დროებითი ხავი აღბანელებსა და მაკედონელებს შორის მრავალჯერ იდებოდა და ირღვეოდა, სწორედ ამის შედეგად მოხდა ნატოს კონტინგენტის შევანა მაკედონიაში.

იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის ორ შემადგენელ ნაწილს—სერბიას და ჩერნოგორიას შორის ურთიერთობის გამწვავებას მომწიფება აღრევე დაიწყო. ჩერნოგორიის ხელმძღვანელობამ დაიწყო ფიქრი არა ფედერაციის კონფედერაციად გადაზრდისაკენ, არამედ იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოსვლასა და სრულ დამოუკიდებლობაზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით დაიწყო რეფერენდუმისათვის მზადება დასავლეურმა დიპლომატიამ 2002-შ. დასაწყისში შეძლო მიეღწია შედარებით კომპრომისული ვარიანტისათვის—იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა გარდაქმნილიყო ახალ სახელმწიფოდ—სახელწოდებით სერბია და ჩერნოგორია გაეროში იგი წარმოდგენილი იყო ერთი ხმით. საბოლოოდ სერბიისა და ჩერნოგორიის კონფედერაციის გაფორმება მოხდა 2002 წლის ბოლოს, ხოლო 2003 წლის დასაწყისში იგი გახდა ვეროპის 45-ე წევრი ქვეყანა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნანიტაშვილი, აშშ – ის 100 წლის ისტორია – XX საუკუნე, თბ., 2002.
2. შ მალაშხია, კონფლიქტები პროგნოზირება, თბ., 2007.
3. Максаковский В.П. Географическая картина мира, М. 2005
4. Лянцова С. А. Ачкасова В. А. Мировая политика и международные отношения, М. 2003.
5. Дергачев В. А. Геородитика, М. 2004.
6. Дергаяев В.А. Валканслого зарево, М. 2000
7. Robertson R. Globalization. L., 1992.

## SUMMARY

**Tengiz Grigolia**

**Transformation of Balkans geopolitical earial**

Yugoslavia is former country that occupied a strip of land stretching from present – day Central Europe to the Balkans a region with a history of ethnic conflict. After the death of Tito 1980, ethnic fall of Communism in the rest of Eastern Europe, each of the republics held multi party elections in 1990.

1991 – 1992 year Yugoslavia break up the present – day countries created from the former parts of Yugoslavia are: Bosnia and Herzegovina, Croatia, Montenegro, Republic of Macedonia, Serbia, Slovenia, Kosovo (disputed).

## Резюме

**Тенгиз Григолия**

**Трансформация Валканского геополитического пространства**

Независимое государство Южнославянских народов образовалось в Европе в 1918 г. С 1929 г. оно стало называться Югославией, в 1946 г., после освобождения

страны от фашистской оккупации, было провозглашено федеративной Народной Республики Югославии. А в 1963 г. получило наименование социалистическая федеративная республика Югославия (СФРЮ).

1991 - 1992 г. в результате сепаратизма именно в эти годы произошел распад СФРЮ: Этот бистротечный распад СФРЮ протекал в различных формах - как относительно мирных так и крайне ожесточенных.

რუსულან თაბუაშვილი  
ბაზილ ბერნშტაინის პიპოთეზა დეფიციტის  
შესახებ და მისი პრიტიკა

უკანასკნელ პერიოდში სოციოლინგვისტიკა ჰქონდა და ვითარდება და შესაბამისად, მისი კვლევის საგანთა სპეციალისტთან ერთად მრავალფეროვანი ხდება, წინა პლანზე გადმოდის ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: განსაკუთრებული მეტყველება სხვადასხვა საკონუნიკაციო აქტებში, გარეუნიბრივი ფაქტორები და მათი დომინირება კომუნიკაციის პროცესში, აღრესატის მიერ მეტყველების მანერის შეცვლა-შერჩევა-დიფერენცირება იმის მიხედვით, თუ რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელთან უკეც საუბარი, განსხვავებები თაობათა მეტყველებაში, განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა მეტყველებაში. დარგობრივ-პროფესიული მეტყველების უნარ-ჩვევები, ურთიერთობაგების პრობლემა პროფესიონალსა და დილეტანტს შორის და ო.შ. ყოველივე ზემოთქმული ერთ რიტორიკულ კითხვად შეიძლება ჩამოყალიბდეს - აქვს თუ არა რაიმე საერთო კომუნიკაციის მონაწილეთა სოციალურ სტატუსს კომუნიკაციის პროცესში წარმოშობილ სირთულეებთან.

յեռօծրով ծարուցընթիյ մեջլոծիսած ցանուսաზջրցիք արա շրտոյրուցացիքիս բանի սկզբուալուրո პրոճլցիք, արամց յրո ևուցուալուրո պյենու աճամունտա մոյր թոցաճաճ ենու ցամոյցնեցիք. մուսանցընթի, բան եեցաճասեցա ևուցուալուրո պյենու աճամունչիքիս յեն սեցաճասեցացարո դա ցանսեցացընթիուա, աեալո ար արուե. ծոլու եանցիք, յրու մրով, ևուցուոլոցիք, եռլու մյուրյ մերու, - լունցցուսէցիք ցուոլոնց պյուրո դավարուոլցիք ցամոյուալուն ամ տցալսաներուսու մոխենցի տու պորուցիք դա, ամու վամալու յենսա դա ևուցուալուր պյենցիք մորուս եութի դամոյուուցիք լուցիք. ամ პրոցեսա ծոփի մուսքա 60-օանո դա 70-օանո վացիքու ևուցուոլունցցուսէցիք.

ერთ-ერთი კველაზე ცნობილი ოქონია ეპუთვნის ბრიტანელ სოციოლოგს ბაზილ ბერნშტაინს (Basil Bernstein), რომელიც სხვადასხვა აღრესანტოა მეტყველების განსხვავებულ მანერას მათივე სოციალური სტატუსით სხინს. ბერნშტაინის თეორია, რომელსაც მან „დეფიციტის-პიოთეზა“ (ანუ პიპოთეზა ენის დეფიციტის შესახებ) უწოდა, ეყრდნობა ამ მოსაზრებას, რომ ადამიანთა ნებისმიერი ენობრივი ჯგუფი, რომელიც საზოგადოების განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ფენის წარმომადგენელია, კომუნიკაციის პროცესში სწორედ ამ სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ენობრივად დიფერენცირებული ლექსიკური

ერთგულებით ოპერირებს. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს მუშათა ფენისა და საშუალო ფენის წარმომადგენელთა ენას და ამ განსხვავების დემონსტრირებას ახდენს ამ ორი ფენის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციის კვლევის საფუძველზე, საიდანაც იგი ასევნის, რომ მუშათა ფენისათვის დამახასიათებელია:

1. მოკლე, მარტივი, გრამატიკულად არასრული წინადადებები;
2. როული ქვეწყობილი წინადადებების გამოყენების დაფიციტი. იშვიათად დროისა და მიზეზის დამოკიდებული წინადადების სექტორდინაცია. წინადადების ერთმანეთთან დაკავშირება თანწყობის მარტივი კავშირებით, როგორებიცაა *und, denn, so....*
3. ზედსართავებისა და ზმნიზედების შეზღუდული გამოყენება;
4. ნაცვალსახელების „es“ და „man“ იშვიათი გამოყენება;
5. შეზღუდული მწირი სიტყვათა მარაგი;
6. ანდაზებისა და ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმების, სტერეოტიპების ხშირი გამოყენება;
7. ნათქვამის არგუმენტირებისა და ზოგადად მსჯელობის დეფიციტი;
8. კომუნიკაციის პროცესში პარტნიორის მხრიდან თანხმობის დასტურად შიგადაშიგ ჩამატებული მოკლე კითხვების გამოყენება, როგორებიცაა: *ne? oder? wie?*

საშუალო ფენის წარმომადგენელთა ენას იგი ამგვარად ახასიათებს:

1. წინადადების გამართული წყობა, სინტაქსურად კორექტული გამონათქმები;
2. როული ქვეწყობილი და თანწყობილი წინადადებების გამოყენება, გრამატიკულად კომპლექსური კონსტრუქციები, მაქვემდებარებელ კავშირთა – *weil, wonach, indem* სწორი გამოყენება;
3. ზედსართავ სახელთა და ზმნიზედების შეზღუდულავად, თავისუფლად გამოყენება;
4. ნაცვალსახელების „es“ და „man“ ხშირი გამოყენება;
5. წინდებულების მუდმივი გამოყენება;
6. მათ მიერ ენის გამოყენების პროცესში იგრძნობა ის, რომ ისინი თავისუფლად ოპერირებენ კომპლექსური ცნებებით;
7. ექსპრესული სიმბოლიკა, ჟესტიკულაცია და მახვილი;
8. იერარქიულად მოწესრიგებული არგუმენტების ჯაჭვი, სწორედ გამოტანილი დასკვნები.

ჩამოთვლილი განმასხვავებელი ნიშნები მეტყველებენ იმაზე, რომ ბ. ბერნშტაინი პრაქტიკულად მკვეთად მიჯნავდა ერთმანეთისაგან დაბალი და საშუალო ფენის წარმომადგენელთა ენის სხვადასხვა – ენას ლექსიკურ, სინტაქსურ, გრამატიკულ და ფონეტიკურ-პროსიდიულ დონეებზე. იგი მიიჩნევდა, რომ საშუალო ფენის წარმომადგენელთა ენა შედარებით აბსტრაქტული, ზოგადი,

არგუმენტირებული და მოტივირებული ლექსიკურად დიფერენცირებულია, ხოლო წინადადების სტრუქტურის მიხედვით იგი რთულია, განსხვავებით დაბალი ფენის წარმომადგენელთა, მუშათა კლასის ენისაგან, რომლის მახასიათებლებადაც იგი კონკრეტულობას, მოქმედებებსა და ფაქტებზე ორიენტირებულობას, სიტყვათა მწირ მარაგსა და წინადადებათა მარტივ კონსტრუქციების მითნავს. დაბალი ფენის წარმომადგენელთა ენობრივ სახესხვაობას მან „შეზღუდული“, „ნაკლებად დიფერენცირებული“ (restringiert) კოდი, ხოლო საშუალო ფენის წარმომადგენელთა ენის „კრეატიული“, „დიფერენცირებული“ (eleborierte) კოდი უწოდა. თავად ავტორი ელიტარულ კოდად კრეატიულს, ანუ დიფერენცირებულს თვლის და მას ანიჭებს უპირატესობას. ბ. ბერნშტაინის პიპორეზა დეფიციტის შესახებ უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ენობრივ დეფიციტს, ლექსიკის დიფერენციაციის უნარის დეფიციტს, რაც სწორედ დაბალი ფენის წარმომადგენელთა ენისათვისაა დამასახიათებელი.

ბ. ბერნშტაინის პიპორეზის კრიტიკის საფუძველს იძლევა რამდენიმე მოქნეცი. პირველი, რომელიც საკმაოდ თვალშისაცემია და ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისაა, რომ ავტორს თავისი პიპორეზის ფორმულირებისას მხედველობიდან გამორჩა საზოგადოების კიდევ ერთი სოციალური ფენი – მაღალი ფენია, მისი ენობრივი დახასიათება და მისთვის კოდის მინიჭება, რომელიც თუკი მის ლოგიკას გაყვებით, „ზედიდერენცირებული“ უნდა იყოს.

გარდა ამისა, ენის კომუნიკაციის პროცესში გამოყენება და ამ პროცესზე დაკვირვება რადიკალურად ცვლის ბ. ბერნშტაინის მიერ შემოთავაზებულ სურათს. დღეს ენობრივი ბარიერი ურთიერთობაზების თვალსაზრისით არა მხოლოდ ერთ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტებს შორის, არამედ ორენოვან და სამენოვან გარემოშიც კი დაძლეული და გადალახულია. საზოგადოება კომპეტენციის, განათლების, პროფესიონალიზმის, გამოცდილების კუთხით ჩვენს ყოფაში ადარ იყოფა სოციალურ ფენებად, რადგან 21-ე საუკუნეში საზოგადოების დამრევება ინტელექტის თვალსაზრისით სოციალურ ფენებად რბილად, რომ ვთქვათ, უხერხელიც კია. ხშირ სემთხვევაში, ტრადიციული გაგებით თითქოს პარადოქსულია, თუმცადა ჩვენს ყოფაში ამგვარ სავსებით რეალურ სურათსაც წავაწყდებით: ზოგიერთი პროფესიის წარმომადგენელი, მაგალითად, სტილისტი, მძღოლი თუ ოფიციანტი ბერნშტაინის სეული „კრეატიული“ კოდის „სრულუფლებიანი მატარებელია“, იმდენად დიფერენცირებულია მათი ენა, იმდენად არგუმენტირებულია და ლოგიკურად, მაწყობრად და ლაპონურად კომუნიკირებენ ისინი.

ცხადია, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სოციალურ-კომუნიკაციურ გარემოს, რომელშიც ადამიანი ენის დიფერენციაციას ახდენს იმის მიხედვით, თუ როგორია ესა თუ ის კონკრეტული

კომუნიკაციური ატმოსფერო, როგორი მონაცემები აქვს პარტნიორს (იგულისხმება ასაკი, კომფეზია, პროფესია, სქესი, ტრადიცია, კულტურა), რა ინტენცია აქვს ადრესანტს. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიძლება ერთი და იგივე ადრესანტმა განსხვავებულ კომუნიკაციურ პირობებში გასხვავებულად მოახდინოს ენის დიფერენციაცია, რაც ცხადია, არღვევს ბერნშტაინის თეორიას ენობრივი დეფიციტის შესახებ, გადის მისი ჩარჩოებიდან და უხსნის ადრესანტს ფართო ასპარეზს კომუნიკაციის მრავალფეროვანთა სამყაროში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bernstein, Basil, 1964: Elaborated and Restricted Codes: Their Social Origins and Some Consequences, in Cumpers/ Hymes 1964. S 55-69, S. 101.
2. Brigitte Schlieben – Lange, 1991, Soziolinguistik, Eine Einführung, 3 Auflage, Stuttgart, Berlin, Köln, S. 46-50.
3. Angelika Linke / Markus Nussbammer / Paul R. Portmann, 2004 Studienbuch Linguistik, S. erweiterte Auflage, Tübingen, S. 339-340.
4. Norbert Dittmar, Grundlagen der Soziolinguistik – Ein Arbeitsbuch mit Aufgaben, Max Niemeyer Verlag, Tübingen, 1997.

## Summary

### **Rusudan Tabukashvili Bernshtains' hypothesis of deficit**

Bernshtains' hypothesis of deficit is based on the view that the representative of a certain social level of society in the process of communication operate lexical units that are peculiar to the same social level. On the basis of communication studies, which bring together representatives of low-and middle classes, he singles out language versions, which are characterized by their communication, as seen in differentiating vocabulary. In the process of communication and language usage tracking the process radically changed the Bernstains' theory. In XXI century society is not divided social levels on the competence of professionalism and expertise. However, social and communication conditions and acquire intensive values, resulting in communication conditions in different language differentiated in different ways.

### **Резюме**

### **Русудан Табукашвили Гипотеза дефицита Бернштайна**

Гипотеза дефицита Бернштайна опирается на точку зрения, что представитель определенного социального слоя общества, в процессе коммуникации оперируют лексическими единицами, которые свойственны тому же социальному слою. На основе исследований коммуникации, в которых участвуют представители низкого и среднего слоя, он выделяет языковые варианты, которые свойственны их коммуникации, что видно в дифференциации лексики. В процессе коммуникации употребления языка и прослеживание этого процесса радикально меняет теорию Бернштайна. В XXI веке общество не делится на социальные слои по компетенции профессионализма и опыта. Однако социально-коммуникационные условия и интенция приобретают значения, в следствии чего в разных коммуникационных условиях язык дифференцируется по-разному.

Օ Տ Ծ Ր Ը Թ Ո Ւ

**თემურ ჯაგოდნიშვილი**  
**ნიკო მარისა და ივანე ჯაგახიშვილის ურთიერთობის**  
**ერთი ასპექტი თანამედროვე ქართული**  
**საზოგადოებრივი ცნობიერების პრიზმაში**

ნიკო მარისა და ივანე ჯაგახიშვილის ურთიერთობა იმაზე დიდ შინაარსს შეიცავს, ვიდრე თრი სახელოვანი პიროვნების, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერის პიროვნული ურთიერთოდამოკიდებულება. ეს ურთიერთობა არა ერთ ისეთ ნიუასს წარმოაჩენს, რომლებიც აქტუალური დღვევანდელი ქართული სინამდვილისათვისაც არის. ამასთან ისეთ ტენდენციასაც გვიდასტურებს, რაც ჩვეულებრივ საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთმიმართების პრობლემად გაიაზრება. მოცემულ შემთხვევაში ესაა მეცნიერებაში სუბიექტურობის პრიმატის, დირსებათა გაზვიადებისა და ნაკლის მიხქმალვა – მიზუმათების კრიტიკა და მოქალაქეობრივი პოზიციისა და მრწამსის მიხედვით პიროვნების დირსების შეფასების აუცილებლობა.

ნიკო მარი ივანე ჯაგახიშვილის მასწავლებელი იყო. ორივენი პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის დიდი წარმომადგენლები იყვნენ [1]. ნიკო მარის მასწავლებელი იყო ალ. ცაგარელი (თუმცა ნ. მარი თავის მოძღვრად ბარონ როზენს ასახელებდა). ნ. მარის ბეჭი სწორედ პროფესორ აღ. ცაგარელის პიროვნულმა და მეცნიერულმა პოზიციამ გადაწყვიტა და მისი ბეჭი იყ. ჯაგახიშვილმაც გაიზიარა. ეს პოზიცია კი იმგვარი იყო, რომ აღ. ცაგარელისა და ნ. მარის ურთიერთობა განხეთქილება-გაუცხოებით დასრულდა.

განხეთქილების ფორმალური მიზეზი გახდა სტუდენტი ნ. მარის პატარა წერილი “ბუნება და თვისება ქართული ენისა”, რომელიც 1888 წელს “ივერიაში” (№86) გამოიკვეყნდა. ამ წერილში ქართული ენის შესახებ ნ. მარმა ასეთი აზრი გაატარა: ქართული ენა თავისი ბუნებით იმდენად პგაგს სემიტურ ენებს (კერძოდ, არაბულს), რომ მათ შორის განსხვავება რომ არ არსებობდეს რიცხვით სახელთა წარმოებაში, ქართული მთლიანად სემიტურ ენებს დაემსგავსებაო. ეს აზრი იმ დროს ცოტამ თუ გაიზიარა. მას არა მარტო აღ. ცაგარელი დაუპირისპირდა, არამედ ბარონი როზენიც. აკადემიკოსმა როზენმა ნ. მარს ტაქტიანად ურჩია არ დაუბუჭდა ეს წერილი. ნ. მარმა არ დაუჯერა, ჯერ ერთ-ერთ ეპროპულ ჟურნალში სცადა მისი გამოქვეყნება, მაგრამ როცა არაფერი გამოუვიდა, “ივერიაში” დაბეჭდა. ქართულის სემიტურ ენებთან კავშირი იყ. ჯაგახიშვილმაც აღიარა (“ქართველი ერის ისტორია” 1904).

აღ. ცაგარელსა და ნ. მარს შორის ურთიერთობა ნ. მარის აღ. ცაგარელისადმი ერთმა უდიერმა გამოხდომამაც დაძაბა.

1888 წელს “ივერია” (№62) გამოიქმნა ურთიერთობა ნ. მარის აღ. ცაგარელისადმი ერთმა უდიერმა გამოხდომამაც დაძაბა. კონგრესის VII კონგრესის მუშაობას. მისმა კორესპონდენტმა ქართველ მკითხველს უამბო: კონგრესზე გამოითქვა მოსახრება, რომლის თანახმად ქართული ენათა ცალკე ოჯახს განეკუთვნება და თავის მხრივ დაამატა, თუმცა ეს აზრი უფრო ადრე აღ. ცაგარელმა გამოითქვაო. ნ. მარი თავის ზემოთ მითითებულ წერილში ამ ფაქტსაც შეეხო და განაცხადა: აღ. ცაგარელზე 10 წლით ადრე ეს აზრი ურიდიოს მიულერმა გამოითქვაო. სწორედ ამ კომენტარმა იქნია საბედისწერო მნიშვნელობა ნ. მარისათვის.

აღ. ცაგარელმა ნ. მარს ეს მაშინ “გაუხსენა”, როცა მან სადიპლომო ნაშრომი წარადგინა დასაცავად. ნ. მარის სადიპლომო ნაშრომის თემა იყო “XI–XII საუკუნეების ქართული პროზით ნაწერი მოთხოვნების ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა.” იმდროინდელი აკადემიური ტრადიციებით სწავლების შემდგომ საფეხურზე – “საპროფესოროდ მოსამზადებლად” (ასპირანტურაში) – კურსდამთავრებულის ჩარიცხვის პირობა სადიპლომო ნაშრომის ოქროს მედალზე შეფასება იყო. აღ. ცაგარელმა დაიწუნა ნ. მარის სადიპლომო ნაშრომი, თანაც იმდენად, რომ მისი ჩაგდება გადაწყვიტა. საქმეში ნ. მარის მფარველი ბარონი როზენი ჩაერია, მაგრამ ისლა მოახერხა, რომ დაცვა შეგდა, თუმცა ნაშრომი მხოლოდ ვერცხლის მედლით შეფასდა. ეს კი უსაბირანტუროდ დატოვებას ნიშნავდა. ნ. მარი საქართველოში დაბრუნდა და ქუთაისის გიმნაზიაში დაიწყო მასწავლებლობა. განზე გადადო საკანდიდატო დისერტაციად შერჩეული თემა “ვარლაამისა და იოდოსაფის შესახებ” (“ბალავარიანი”).

ერთი წელიც არ გასულა, რომ იგი პეტერბურგში დაბრუნა აქაური უნივერსიტეტის სომხური ენის კათედრის გამგებ პროფესორმა პ. პატკანოვმა (ეს ის პატკანოვია, რომელიც თავის დროზე დაუნდობლად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ). ნ. მარმა სომხურ ფილოლოგიაში დაიწყო მუშაობა. მისი ბედი გაიზიარა ივ. ჯავახისვილმაც. იგი ნ. მარის გვერდით მთელი 20 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა.

დასაქარგად გამეტებულ ნ. მარს და ივ. ჯავახისვილს ქართულ ფილოლოგიასა და ისტორიოგრაფიაზე მაიც არ აუღიათ ხელი. ამის დასტურია, ერთი მხრივ, ნ. მარის უკვე ამდროის მრავალი პირველ ხარისხის გამოკვლევა ქართული ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე, მეორე მხრივ, არანაკლებ ნაყოფიერი მუშაობა ივ. ჯავახისვილისა. მათი მეცნიერული მოღვაწეობის ამ პერიოდზე აუცილებლად უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, რადგან ეს მუშაობა ქართულ სინამდვილეში არც მაშინ ყოფილა საონადოდ ახსნილ-გაზრებული, არც შემდეგ

გარევეულა ბევრი ნიუანსი. ის კი არა და დროის დინების კვალობაზე ბევრი ფაქტი ისე დამახინჯდა, ისეთი ლეგენდური შინაარსი შეიძინა, რომ არა მარტო ჩრდილი მიაყენა ნ. მარს, მის მეცნიერულ ნაღვაზეა და მოქალაქეობრივ პოზიციას საქართველოსა და ქართულ კულტურისადმი, არამედ მძიმე ბრალდებებად დაილექა შემდგომი თაობების ცნობიერებაში. ამ ბრალდებათა “საფუძლიანობის” ერთ მძლავრ არგუმენტად ზოგიერთისათვის დღესაც ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებაა ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით. არა და ფაქტები სრულიად საპირისპიროს ცხადყოფენ. ამის მიზეზი ქართველი საზოგადოების მიერ ნ. მარის მეცნიერული ნაღვაზის შეუცნობლობა (ვერგაგება) კი არ იყო, არამედ უკვე მაშინ თავზენილი ტენდენცია – ვთომდა ეროვნული ინტერესებისადმი ყველაფრის დაქვემდებარება – მათ შორის მეცნიერული (ობიექტური) კვლევებისაა ანუ იმდაგვარი ტენდენცია, რომელსაც თავად ივ. ჯავახიშვილმაც “გამოსარჩლებითი, აღვოცატური ისტორიის” წერა უწოდა, სადაც “ლირსებანი გაზიარებულია, ნაკლი – მიჩქმალულია”.

ქართველ საზოგადოებას იმთავითვე ძალიან კარგად ესმოდა ნ. მარის მეცნიერული მოღვაწეობის მნიშვნელობა სწორედ ეროვნულ ინტერესთა დაცვის – ქართული ლიტერატურის, ენის, მთლიანად სულიერი თუ მატერიალური კულტურის თავისთავადობის წარმოჩნისათვის, მაგრამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც ვერ აპატია წმინდა მეცნიერულ ძიება-ინტერესის ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენება. ეს კონკრეტული შემთხვევა “ვეფხისტეფაოსნის” უკავშირდება, კერძოდ, ამ პოემის ამბის (სიუჟეტის) წარმომავლობაზე ნ. მარის თვალსაზრისს. იმის გამო, რომ ამ საკითხის არსი, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად (შ. ძიმიგური [2], ი. მეგრელიძე [3], თ. ჯაგოლინიშვილი [4]), დღესაც არ არის ბოლომდე გააზრდებული, საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ შევასეხნო მკითხველს.

6. მარი თავიდან “ვეფხისტეფაოსნის” სიუჟეტს აღმოსავლურ-სპარსული წარმომავლობის ამბად მიიჩნევდა და დიდხანს ჯოუტად ეძებდა მის კვალს ირანში (სხვაგანაც). აი, ეს აზრი ვერ აპატიეს მას ქართველებმა და დღესაც ამიტომ ერიდებიან ნ. მარზე საუბარს, თუმცა თითქმის არავის უცდია ასეთი მეცნიერული მოსაზრების მიზეზის ახსნა. მიზეზი კი მეცნიერული სამყაროსათვის საკმაოდ ჩვეულებრივია, ტრივიალური. ესაა მაშინ მოღვრი და მიღებული მეცნიერული ოეორიის ზეგავლენა ნ. მარზე. ესაა ზეპირსიცივირი და ლიტერატურული სიუჟეტის აღმოსავლურ-სპარსული მომდინარეობის თეორია, რომლის მესაძირკვლე რუსი მეცნიერი ვსევოლოდ მიღერია და რომელიც იმ დროს გავრცელდა, როცა ნ. მარი სტუდენტი იყო.

უზოგადეს შტრიხებში ამ თეორიის არსი სემდეგშია:

XIX საუკუნეში, 60-იან წლებში, ევროპული ორიენტალისტიკა ფოლკლორისტულ კვლევებში იმ აღმოჩენამდე მივიდა, რომ ევროპაში გავრცელებული ბევრი მოარული სიუკეტების აღმოსავლური კერძოდ, ინდური წარმომავლობისა იყო. სიუკეტების შედარებითი კვლევის საფუძველზე წყაროდ დასახელდა ინდური ქაოსის ხუთწიგნეული “პანჩა ტანტრა”. ეს იდეა გერმანელმა ოეორორ ბენფეიმ წამოაყენა. მანვე “დაადგინა” სიუკეტების აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მომრაობის მარშრუტებიც. მისი მტკიცებით სიუკეტები ინდოეთიდან ვრცელდებოდა სპარსეთში, შემდეგ ხმელათაშუა ზღვის გავლით ესპანეთში (მეორე მარშრუტად სახელდებოდა სპარსეთიდან ბალკანეთის ქვეყნებზე გამავალი გზა). ეს ოეორია საყოველთაოდ გავრცელდა და მიმდევრები ბევრ ქვეყანაში გამოუწნდა. გავრცელდა რუსეთშიც. რუსეთს, როგორც ცნობილია, მუდამ ჰქონდა აღმოსავლურ-დასავლურ კულტურულ ურთიერთობებში აქტიური თანამონაწილის პრეცენზია. ამიტომ აქ თ. ბენფეის ოეორიის რუსეთის პოლიტიკურ ზრახვებს დაქვემდებარებული ვარიანტი დამუშავდა. ეს ვარიანტი შექმნა სწორედ ზემოთნახსენებმა ვს. მიღერმა. მან გაიმეორა სიუკეტების ინდოეთიდან სპარსეთში გავრცელების იდეა, ოღონდ აქვდან მარშრუტი გაიყვანა კავკასიაზე (უპირატესად საქართველოზე), შემდეგ რუსეთზე და ასე წარმართა ევროპისაკენ. ჩვენთვის ვს. მიღერის თეორია იმ მხრივ იყო საუკუნადღებო, რომ საქართველო კიდევ ერთი ასპექტით ჩაირთო აღმოსავლურ-დასავლურ კულტურულ ურთიერთობათა ორბიტაში. სტუდენტებმა ნ. მარმა ირწმუნა ეს თეორია და ქართულ სინამდვილეში გავრცელებული აღმოსავლურ-სპარსული წარმომავლობის მოთხოვობათა კვალის ძიება წამოიწყო. ბენფეიმივია, რომ მან მზერა უაირველესად “ვეფხისტეფანის” მიაძყრო და იოლად ირწმუნა რუსთაველის ნათქვამი “ესე ამბავი სპარსულიო”...

6. მარი დიდხანს ექტბლა “ვეფხისტყაოსნის” სიუკეტის კვალს ირანში. 1980 წელს ჟურნალ “თეატრში” მან წერილში “ვეფხისტყაოსნის” გარშემო განაცხადა: ბრიტანეთის მუზეუმში უნდა ინახებოდეს “ვეფხისტყაოსნის” სპარსული პროტოტიპი “შარიარ – ნამე”. თუმცა ასეთი რამ ბრიტანეთის მუზეუმში მან ვერ აღმოაჩინა. საიუკეტის კვალის ძიების კვალდაკვალ 6. მარი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა ამ პოემის ქართულ ნიადაგზე აღმოცენებაში. მისი თვალსაზრის იციცევლებოდა და ბოლოს სპარსული წარმომავლობის იდეის უარყოფით დასრულდა, 6. მარი კი იმ მეცნიერად მოგვევლინა, ვინც რუსთველოლოგია, როგორც ქართველოლოგიური დისციპლინა, სამეცნიერო ნიადაგზე დააყენა. [5]. 6. მარის თვალსაზრისის კოლეგიას გვიქრობ, რამდენიმე ფაქტიც ცხადოვთ. აი ისინიც:

“ლიოტერატურულ მშენებლობას ადრე ფასადის მხრიდან კვლეულით, დასავლეთ ბიზანტიისაკენ, აღმოსავლეთით ირანის,

მუსულმანურ-ირანულისაკენ... არიოვეროპული პორიზონტის გავლენის ქვეშ ჩემი ყოფნისას გადაჭარბებით ვაფასებდი ირანული კულტურის მნიშვნელობას... წინასწარმომარჯვებული აზრით ვუდგებოდით ფაქტების ანალიზს და კიდევ უფრო მეტად ვაირანიზებდით მათ” [6].

1919 წელს ნაშრომში “კავკასიური პეზია და მისი ტექნიკური საფუძვლები” ნ. მარი ახლა ასეთ აზრს გამოოთქამდა: “რუსთაველის პოემაში ქვეყნები და ხალხი, რომლებზედაც ლაპარაკობს, გეოგრაფიული სახელწოდებანი და ეთნიკური ტერმინები, რომლებითაც სარგებლობს, სულ უცხოურია, ენობრივადაც კი არა ქართულია... პოემაში გვესმის კავკასიური გულისხმერა, მოქმედ პირთა ურთიერთობაში აირეკლება კავკასიის გარკვეული ეპოქის საზოგადეუბრივი ყოფა.”

1928 წელს ნ. მარმა “ვეფხისტყაოსანი” კიდევ უფრო დაუხალოვა ქართულ გარემოს. ნაშრომში “მასალები ლექციისათვის შოთა რუსთაველის შესახებ” რომელიც პარიზსა და ბერლინში წაიკითხა (ეს ნაშრომი გვიან, 1964 წელს დაიბჭდა) მან აღნიშნა “მოარული იდეებით, წერის ჩვევებით, დახვეწილი მეტყველების სიფაქიზითა და სიუჟეტით შოთა დაკავშირებულია მსობლიურ და საუცხოო მწერლობასთან. მისი პოემის ბერა, რიტმი, სულის ქართულ ხალხურ მუსიკასთან და ხალხურ მეტყველებასთან არის უნისონიში.”

როგორც აღნიშნა, ქროველმა საზოგადოებამ ძალიან განიცადა ნ. მარის ოავდაპირებელი აზრი “ვეფხისტყაოსანზე”, არაკეთილმოსურნეობის გამოვლენად აღიქვა, მიზეზიც თითქოს ამოხსნა – რაკი ალ. ცაგარელმა მეცნიერებაში გზა გადაუკეტა. პ. პატკანოვმა კი შეიფარა, ახლა ქართველებს განაწერებული სამაგიეროს გვიხდისო. ამ აზრს ნ. მარის ქართველთა მოძულე კ. პატკანოვთან ყოფნაც უმაგრებდა თითქოს საფუძველს. ამიტომ რაკიდა ერთხელ ზურგი აქცია ნ. მარს, აღარც მისი მეცნიერებული თვალსაზრისის ევროუციისათვის გაუდევნებიათ თვალი, რადგან იგი აღარ აინტერესებდა. არადა თითქოს ჯინაზე ნ. მარი თავისი მოქალაქეობრივი პოზიციითაც ხელს უწყობდა ქართული საზოგადოებრივი აზრის მისადმი ზურგშექცევას. ერთი ასეთი ფაქტი თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება გახდა.

ნ. მარმა ქართული უნივერსიტეტის გახსნას მხარი არ დაუჭირა. რაკი თბილისი რუსეთის იმპერიაში კავკასიის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრად მოიაზრებოდა ოფიციოზის მიერ, ნ. მარი რუსული უნივერსიტეტის დაარსებას მიზნებული მიზანშეწონილად. მისი აზრით, ამით თბილისი კულტურის ცენტრი გახდებოდა, ადგილობრივი ინტელიგენცია გაჩნდებოდა, ვითარება მომწიფებლოდა და ამით მოუმზადდებოდა ნიადაგი ქართული უნივერსიტეტის გახსნას. ჩვენში ვერც ეს პოზიცია შეიწყნარეს. ნ. მარს მისი

უპირველესი მოწაფე ივ. ჯავახიშვილიც კი დაუპირისპირდა და თავისი აღშფოთება მასწავლებლისადმი გაგზავნილ გამკილავ წერილში გამოიმტებავნა. მართალია, წერილის დაწერა და პეტერბურგში გაგზავნა მწამსევ ისე ინანა, ოურმჟ, რომ სასწრაფოდ ფოსტას მიაშურა, წერილის უკან დაბრუნება სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ორივე დიდმა მეცნიერმა სამაგალიოთო ზნეობრივი სიმაღლე შეინარჩუნა, პიროვნეული წერილი გულში ჩაიკლა და სიმართლეს გაუსწორა თვალი. ეს იმაშიც გამოვლინდა, რომ ნ. მარმა მიიღო თბილისის უნივერსიტეტი. იგი 1931-1934 წლებში ხშირად სტუმრობდა თბილისის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქმეთა გამო, საჯარო ლექციების წასაკითხად, აბასთუმანში ავადმყოფი შეილის - იურის მოსანახულებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მოსამზადებელ ღონისძიებათა ჩასატარებლად. იგი უნივერსიტეტის უნახავად უკან არასოდეს დაბრუნებულად.

ივანე ჯავახიშვილს კი “განქეთქილების” შემდეგად, მაგალითად 1932 წელს ასე აფასებდა: “ივ. ჯავახიშვილის მსგავსი მოწაფე მეცნიერი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი; ერუდიორებული მკვლევარი და დიდი მრომისმოვარე ადამიანი არის. მასთან კამათიც სასიამოვნოა და თანამშრომლობაც” [7].

თავის მხრივ, ივანე ჯავახიშვილი აღმოჩნდა ერთადერთი მეცნიერი და მოწაფე, კინც ნ. მარი უსაფუძლო თავდასხმებისაგან დაიცვა, მიუხედავად იმისა, რომ ნ. მარის იმუამად სხვა სახელოვანი ქართველი მოწაფეებიც ჰყავდა აღზრდილი – დაფრთიანებული და საკმაო სახელიც ჰქონდათ უკვე მოხვეჭილი.

ფორმალურად, ივ. ჯავახიშვილმა ნ. მარი ი. გოგბაშვილისა და მ. ჯანაშვილის კრიტიკისაგან დაიცვა. ი. გოგბაშვილი ნ. მარს თავს დაესხა 1899 წელს რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს კურნალში (მარტის ნომერი) გამოქვეყნებული წერილის “ათონზე მოგზაურობიდანის” გამო, ხოლო მ. ჯანაშვილმა ნ. მარი “ამირანდარეჯანიანის” სპარსულობის მტკიცების გამო გააკრიტიკა. ივ. ჯავახიშვილმა მათი კრიტიკის პათოსში სწორად შენიშნა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენში გაჩენილი ზემოთადნიშნული გამოსარჩლებით-დავოკატური ისტორიების წერის ტენდენცია.

ვფიქრობ, ამ ტენდენციის გაჩენა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენში კროვნული პროტესტის გამოხატვის ქმედით ასპარეზად ჰუბლიცისტიკა იქცა. ამის გამო ჰუბლიცისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეიქრა, მათ შორის მეცნიერებაშიც. მეცნიერების გაპუბლიცისტიკურობა მოკლე დროში ერთგვარ სენად იქცა. ასე რომ, აკადემიური მეცნიერების ამ სენისაგან განკურნება შეიქმნა აუცილებელი. ამის სერიოზული

მცდელობაა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი “მამულიშვილობა და მეცნიერება”, რომელიც ჯერ 1904 წელს გამოქვეყნდა, შემდეგ 1925 წელს და უცილობლად იბეჭდება ამ დიდი მეცნიერის თხზულებათა კრებულებში.

ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნული ტენდენცია, ერთი მხრივ, ი. გოგებაშვილის კრიტიკულ წერილში შენიშნა, მეორე მხრივ, მ. ჯანაშვილისა. ამიტომ მათი პოპულარობისა და ქართველ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტის მიუხედვად არც ერთი არ დაინძო. ი. გოგებაშვილს ნ. მარის რუსთველოლოგიური პოზიციის პუბლიცისტური კრიტიკის გამო ივ. ჯავახიშვილმა ასე უსაყვედურა: “... იმის გარდა, რომ ბ-ნ გოგებაშვილის მოწონებული “ადვოკატური მეცნიერება, როცა დირსებანი დიდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან,” სრულებით უნაყოფო და უმნიშვნელოა ქართველებისათვის პოლიტიკაში, იგი, პირიქით, მავნებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების გამოღვიძებისათვისაც იმიტომ, რომ ჩვენი მეცნიერნი, რომელიც ბ-ნ გოგებაშვილის გამოგნებაზე სამეცნიერო ადვოკატურ გამოკლევებს შეთხავენ, მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შესცვლიან... ქართველი საზოგადოება კი ყოველთვის მოტყუებული იქნება და ვერც როდის ვერ გაიგებს, მართალია ის, რასაც მეცნიერი ბრძანებს, თუ არა.”

ივ. ჯავახიშვილისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო შემდეგი გარემოება: “... ჩვენში საზოგადო მოღვაწე მკვლევრებს ჭეუას ასწავლის, იტორია ნაციონალურ ხოტბა-შესხმადა სურს ძეციონის, ხმა მაღლა პერმნობს და თითქმის მამულის დალატსა სწამებს ყველას, ვინც ჩვენი წარსულის დირსებას არ აზიადებს და ნაკლულევანებას არ ამცირებს” [8]. ამ განცხადების ფონზე ივ. ჯავახიშვილმა მეითხველ საზოგადოებას ნ. მარის მეცნიერული მოღვაწობის მიმოხილვა-შეფასება წარუდგინა. იგი შეეხო სიუჟეტთა აღმოსავლური წარმომავლობის თეორიასაც. სესხების ფაქტებში ერის სულიერი გამდიდრების პროცესი დაინახა. ი. გოგებაშვილს ტაქსტიანად მიუთითა ტენდენციურობაზე და მოაგონა, რომ ნახესხობის იდეით გატაცებული იყო ალ. ცაგარელიც; რომ მან ნაშრომში “წიგნი სიბრძნე-სიცრუისა” (1878) სულხან-საბა ორბელიანის იგავების ორიგინალობა ეჭვებეშ დაყენა, მაგრამ ამაზე არავინ ახირებია პროფ. ალ. ცაგარელსო.

მ. ჯანაშვილმა ნაშრომი “მოსე ხონელი და მისი ამირანდარევანიანი” ნ. მარი იმის გამო გააკრიტიკა, რომ ამ თხზულების სათავეებს ირანს უკავშირებდა. ივ. ჯავახიშვილმა მ. ჯანაშვილსაც ტენდენციურობაზე მიაიშნა იმით, რომ შეახსენა ბაგრატ ბატონიშვილის თხზულება “მოთხოვთა სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა”, სადაც ეს ავტორი “ამირანდარევანიანის” უცხო

წარმომავლობაზე საუბრობს. აქვე მიუთითა: 6. მარის აზრს ნიადაგს XVI საუკუნის ქართველი მწერლის ცნობა უმაგრებსო.

ივ. ჯავახიშვილმა მ. ჯანაშვილი მკაცრად გააკრიტიკა 6. მარის “ვეფხისტყაოსანთან” მიმართებაში განქიქების გამო. მან საგანგებოდ, კრცლად მიმოიხილა სიუკეტების აღმოსავლური წარმომავლობის (ანუ ნასექსობის) თეორია, არა ერთი კონკრეტული მაგალითიც წარუდგინა და დაასკვნა: პროფ. მარმა პირველმა დაიწყო მეცნიერულ-ეულტურული მუშაობა. იგი კვალდაკვალ მისდევს წყაროების შესწავლას და თავის დროზე, იმედია, სამშობლოს ქართული ლიტერატურის მეცნიერულად შემუშავებულ ისტორიას შესძენს. თუ პროფ. მარის ნაწერებს ეხლა მტრის თვალით უკურებენ, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში საზოგადოდ ძნელია მუშაობა, მეტადრე თუ მეცნიერი ახალ გზას იკვლევს და კრიტიკულ მიმართულებას ადგია... მაგრამ მოვა დრო და ჩვენი საზოგადოება თვითვე დაინახავს, ვინ იდგა “უკუდმართობის გზაზე”, პროფ. მარი, თუ მისი მოწინააღმდეგები [9].

როგორც ჩანს, ეს დრო ჯერაც არ დამდგარა, რადგან ჯერ ერთი: ივ. ჯავახიშვილის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, დღესაც ხშირად ვხვდებით 6. მარის ისეთ ბრალმდებლებს, რიხიანად რომ ლაპარაკობენ მასზე, თუმცა მისი ერთი სამეცნიერო თხზულებაც კი არა აქვთ წაკითხული; მეორეც: დღესაც გვხვდებიან ისეთი სწავლულნი, რომელთა მეცნიერულ მრწამსს “გამოსარჩლებით-ადვოკატური” კვლევები უდევს საფუძლად; და მესამეც: დღესაც ჭკუას ასწავლიან მეცნიერს “საზოგადო მოღვაწენი” და მეცნიერულ სამყაროს მიტმასნილი დილეტანტები. გამოდის, რომ ჭკუის სასწავლი ისტორიები ძნელად იკაფავენ გზას იმ სივრცეში, სადაც მათი საჭიროება უკელაზე ცხადად იგრძნობა. ესეც მარადიული ოპოზიცია (ბინარულობა): ადამიანი და საზოგადოება!

### კომენტარები და გამოყენებული ლიტერატურა:

1. შემთხვევითი ამიტომაც არ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილის ადრინდელი გამოკვლევები ისტორიულ-ენათმეცნიერული იყო და ენათმეცნიერებისადმი ინტერესი ამ მეცნიერ-ისტორიკოსს არასოდეს განელებია. ამ ტრადიციის გამოხატულებაა ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ადრინდელი სოლიდური გამოკვლევა “ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა.”
2. შ. ძიძიგური, ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი, “მეცნიერება”, თბილისი, 1985.
3. ი. მეგრელიძე, რუსთაველი და ფოლკლორი (რუსულ ენაზე), თბილისი, 1960.

4. თ. ჯაგოდნიშვილი, ნიკო მარის ფოლკლორისტული ინტერესები, წიგნში: “ბერი კაცი ვარ, ნუ მამკლავ”, “მეცნიერება”, თბილისი, 1990, გვ. 77-111; თ. ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, ტომი I, XIX საუკუნე, თსუ გამოცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 681-706, 748-754; თ. ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, “მეცნიერება”, თბილისი, 1986.
5. შ. ძიმიგური, ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი, “მეცნიერება”, თბილისი, 1985, გვ. 59.
6. Н. Я. Марр, грузинская поэма «Витязь в бархатной шкуре» и новая культурно-историческая проблема, ж. «Известия АН» 1917, стр. 418
7. ა. ჩიქოვანი, თაობათა ჰთამაგონებელი, წიგნში: “ივანე ჯავახიშვილი 100”, გამომც. “განათლება, თბილისი 1977, გვ. 95
8. ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1925, გვ. 8-9
9. ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბილისი, 1925, გვ. 51-52

### Summary

**Temur Jagodnishvili**

**One aspect in collaboration between Niko Marri and Ivane**

**Javakhishvili in modern Georgian society in world wide prism**

There is analyzed one of the aspects private collaboration of two great scientists Niko Marri and Ivane Javakhishvili. Also there is the notion that in spite of the disagreement about concrete question, the managed to rise above the private feature Ivane Javakhishvili defended Niko Marri from unbased critics from the other side, therefore defended subjective tendency in scientists.

This fact has also the mean, that not unusually present by its own barrier on the level of collaboration to the present day.

### Резюме

**Т.И. Джагоднишвили**

**Один аспект взаимоотношений Нико Марра и Иванэ**

**Джавахишвили в современной грузинской общественной  
мирововоззренческой призме**

Проанализирован один из аспектов личностных взаимоотношений двух ученых - Нико Марра и Иванэ Джавахишвили. Указывается, что, несмотря на разногласие по поводу конкретного вопроса, они сумели возвыситься над личностным. И. Джавахишвили защитил Н. Марра от необоснованной критики со стороны других, тем самым осудив субъективистскую тенденцию в науке.

Этот факт имеет и то значение, что нередко предстает своеобразной помехой на уровне взаимоотношений общества и личности и по сей день.

**თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე  
ნაპოლეონის გარდაცვალების ვერსიები**

დიდი ადამიანების ცხოვრება და მოღვწეობა ყოველთვის იყერობდა საზოგადოების ყურადღებას. ფართო საზოგადოებას აინტერესებს მათი საქმიანობის ფენი დებალი, თვით უწვრილმანები ნიუანსებიც კი. ნაპოლეონის გარდაცვალების ირგვლივ ამტკდარი აჟიოტაჟი ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქმა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება.

მს-ში მარკეტინგული ფუნქცია კომპანიის მთელ საქმიანობაზე ახდენს გავლენას. ყველა სხვა კომპანიის ფუნქციონალური სფეროები, ისეთები, როგორიცაა საფინანსო და საწარმოო, მარკეტინგის განყოფილების მიერ უნდა იყოს კოორდინირებული. მაგალითად, საბაზო მოთხოვნის ანალიზის ჩატარებისას, მარკეტინგის განყოფილება განსაზღვრავს თუ რა სახის პროდუქტის წარმოება/ბაზარზე გატანა არის საჭირო.; ამის

შემდეგ საფინანსო განყოფილება გამოყოფს საჯირო ფინანსურ რესურსებს და ადგენს ხარჯთაღრიცხვას სასურველი მარკეტინგული სტრატეგიის მხარდაჭერისა და რეალიზაციისათვის. ადამიანთა რესურსებით მართვის განყოფილება უზრუნველყოფს ამ სტრატეგიის თანახმად საწარმოს შესაფერისი კვალიფიციური მუშაკებით. ამგვარად, მარკეტინგული სტრატეგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკვანძო სტრატეგია, რომელიც კომპანიას საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებას აძლევს. აქეთ უნდა აღინიშნოს, რომ მცირე საწარმოს მიერ გამოყენებული მარკეტინგის ტიპი უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია პროდუქტებისა და მომსახურების სასიცოცხლო ციკლის სტადიაზე. (3)

შსს-ს სასიცოცხლო ციკლის პირველი სტადია - ეს საქმიანობის დასაწყისია. ამ სტადიაში ბიზნეს-საქმიანობა მიმართულია საჭირო პროდუქტის ან მომსახურების ორიენტაციასა (პოზიცირებისა) და კლიენტების მიერ ამ პროდუქტის აღიარების მოპოვებაში. ასე რომ, მარკეტინგული ფუნქცია ამ მიზნებს უნდა შექსაბამებოდეს. ეს სტადია როგორც წესი კომპანიისათვის დიდ ან პრობლემურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. კომპანიის მარკეტინგში სასიცოცხლო ციკლის პირველი სტადიაზე რეაგირებადი მიღომა ჭარბობს. სხვა სიტყვებით, მარკეტინგული სტრატეგიის ხარისხი და კომპანიაზე მისი გავლენა განისაზღვრება იმით, თუ რა სურთ მომსმარტბლებს და იმით თუ როგორ რეაგირებს მათ სურვილებზე ბაზარი. ბიზნესის განვითარების ზრდასთან ერთად მარკეტინგს ძირითადად ახასიათებს ექსპრიმენტების ხატარება და სხვადასხვა მარკეტინგული ტექნიკის აპრობირება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ბიზნესი მოწიფეულობის ასაკს აღწევს, მეწარმეები უკვე თავისი საკუთარი მარკეტინგული სტილის და მარკეტინგული პრაქტიკის შემუშავებას ასწრებენ.

პროდუქტის ან მომსახურების სასიცოცხლო ციკლის განვითარებასთან ერთად, კომპანია იძენს გამოცდილებას, რის შედეგადაც მსს გადადის ბაზარზე პრაქტიკულად არა კონტროლირებადი მდგომარეობიდან შედარებით კონტროლირებად მარკეტინგის სფეროს სტადიაზე. ითვლება, რომ ამ სტადიისთვის კომპანიის მარკეტინგი გასაზღვრულ საზღვრებში ფიქსირდება. ამ ეტაპზე მეტარმეს ან მფლობელ-ხელმძღვანელს ქაფიოდ აქვს წარმოდგენილი ოუ მარკეტინგის რომელი ტიპია უფრო მოქმედი და მარკეტინგული სტრატეგიის იმ ტიპს ანიჭებს უპირატესობას, რომელსაც მისი აზრით ყველაზე მეტი შედეგის მოგება არაა. ამავე დროს იშვიათად ხდება ახალი არაპრობირებული მიღალების აქსპერიმენტირება.

უნდა აღინიშნოს რომ ხშირად სწორედ ამ ხეტადიაში, როდესაც კომპანიის განვითარებასთან დაკავშირებული პირები სირთულეები არის გადალახული, საწარმოს მიერ შემუშავებული გ.წ.

რეტინული სტრატეგიები შეიძლება არააქტუალური გახდეს სხვა და სხვა მიზეზების გამო. ეს მიზეზები შეიძლება უკავშირდებოდეს შეცვლილ მოთხოვნილებებს პაზარზე, ასალი კონკურენტების გამოწენა და სხვა.

უმეტესი რესპონსების აზრით, მარკეტინგი მოქმედებების გეგმას და ღონისძიებების ნაკრებს წარმოადგენს, რომელიც გაყიდვების მხარდასაჭერად არის მიმართული. როგორც წესი, ეს მოქმედებები წინასწარ არ არის დაგეგმილი, ისინი ოპერატორების გადაწყვეტილებების დროს მიიღება და ძალიან ხშირად ბაზრის სიტუაციაზე არათანამიმდევრული რეაქცია აქვთ.

მსს-ს საქმიანი გარემო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის შედეგად სულ უფრო მერყევი და ტურბულენტული ხდება; ამიტომ მცირე ბიზნესის ხელმძღვანელს უკეთესად უნდა ესმოდეს კომპანიის საქმიანობაზე მარკეტინგის სტრატეგიული გავლენის მნიშვნელობა მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგული სტრატეგია არ წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ ფუნქციონალურ სტრატეგიას, მისი გადაფარვა ნაწილობრივ საერთო კორპორაციული სტრატეგიით და მარკეტინგული მიღებომით ხდება. მარკეტინგული სტრატეგია მსს-ს საშუალებას აძლევს განსაზღვროს თავისი მიზნობრივი ბაზები და ამის გათვალისწინებით მარკეტინგული ღონისძიებების პროგრამების ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი მიღდომა აირჩიოს. მარკეტინგული სტრატეგია კლიენტების სურვილებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს და განსაზღვრავს თუ რა სახით შეუძლია კომპანიას მისი დაქმაყოფილება. მსს-ში ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის დასამუშავებლად, მცირე ბიზნესის მეწარმემ და ხელმძღვანელებმა ხშირად უნდა გამოავლინონ კრეატულობა და გამოიყენონ ინოვაციები. ამასთან ეფექტურ მარკეტინგულ სტრატეგიას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

განვიხილოთ ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის ზოგადი მახასიათებლები მსს-სთვის. ესენია დამყარებული შემდეგ ხუთ პრინციპზე:

- 1) საჯუთარი საბაზრო ნიშის, სეგმენტის პოვნა და ბაზარზე პოზიცირება; 2) მომხმარებლის მოზიდვა ინფორმაციის მიწოდების და შესაფერისი შეთავაზების მეშვეობით; 3) სწრაფვა უნიკალურობისაკენ, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად; 4) საკუთარი ბიზნესისათვის ინდივიდუალურობის მინიჭება და ცნობადობის გაზრდა; 5) მომხმარებლებთან კავშირების დამყარება ემოციურ დონეზე მათი ერთგულების მოსაპოვებლად;

ამგვარად, საჯუთარი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას მსს-მ დასაწყისში უნდა განსაზღვროს თავისი საბაზრო ნიშა და ამასთან აიცილოს მსხვილი კომპანიებთან პირდაპირი კონკურენცია. როგორც წესი მცირე ბიზნესისათვის

ფოკუსირებული სეგმენტის არჩევის სტრატეგია უფრო უფექტურია, ვიდრე დიფერენციაციის სტრატეგია (ნიშანდობლივად განსხვავებული პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზების სტრატეგია) ან ფასით განპირობებული ლიდერობის სტრატეგია. მსს-ს ხელმძღვანელებისათვის მნიშვნელოვანია საკუთარი მარკეტინგული მოქმედებების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების ხარჯზე ფირმის უნიკალური ინდივიდუალურობის შექმნის აუცილებლობა. და ბოლოს, მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი წარმატების საკვანძო ფაქტორებია: კლიენტებთან მყარი დრმა ურთიერთობის დამყარება და მათი მოთხოვნებისა და სურვილების ცვლილებებზე დროული რეაქცია. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ეფექტური მარკეტინგული სტრატეგია დაკავშირებულია ოთხი მთავარი მიზნის მიღწევასთან: მიზნობრივი ბაზრის გამოვლენა; კლიენტების მოთხოვნებისა და სურვილების გამოვლენა; კომპანიის კონკრეტული უპირატესობის შექმნა; მარკეტინგული დონისმიერების სწორი პროგრამის შერჩევა და საჭიროებისამებრ მისი მუდმივი განახლება.

მარკეტინგული საბაზრო კვლევები გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას კლიენტების მოთხოვნილებების, ინტერესებისა და მოლოდინის შესახებ, რომელიც ესაჭირეობა მსს-ს ხელმძღვანელს კომპანიის სტრატეგიის შესამუშავებლად. მსხვილი კომპანიები როგორც წესი ხშირად ატარებენ მარკეტინგულ კვლევებს, რაც პატარა ბიზნესისათვის არც თუ ისე ხელმისაწვდომია კვლევებთან დაკავშირებული დიდი ხარჯების გამო.

მცირე ბიზნესისათვის საბაზრო კვლევების მნიშვნელობა მაშინ გამოაშკარავდება, როცა ხელმძღვანელი მიხვდება, რომ თავიდან უნდა აიცილოს შეცდომები, რადგანაც კომპანიის შეზღუდული რესურსები და ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა. მცირე ბიზნესის ხელმძღვანელობა ხშირად თვლის, რომ მარკეტინგული კვლევების განხორციელება მხოლოდ მსხვილი კომპანიის ექსპერტებს შეუძლიათ, თუმცა კვლევების განსხვავებული მეთოდიკა, მაგალითად, დაკვირვება, ექსპერიმენტის ჩატარება მცირე კომპანიებისათვისაც არის ხელმისაწვდომი. მარკეტინგული ინფორმაცია და მარკეტინგული კვლევები ბევრ საკითხში განსხვავრავს კომპანიების წარმატებას.

დაგინდა რომ, წარმატებულ მსს-ში სისტემატიურად წარმოებს გარემო საქმიანი სფეროს ანალიზი, იქამდე სანამ დამუშავდება ბიზნეს სტრატეგიები და მარკეტინგული გეგმები. ნაკლებად წარმატებული მცირე ფირმები არაფორმალურ და ხშირ მარკეტინგულ გამოკვლევებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ფორმალური და არაფორმალურ მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარებით და საქმიანი გარემოს ანალიზის შედეგად გამოვლინდა

მარკეტინგული კვლევების პროცესის მიზანია — სტრატეგიული მარკეტინგული გეგმისათვის მონაცემთა შეკრება. მარკეტინგული კვლევა არის პროცესი, რის შედეგადაც მცირე საწარმო განსაზღვრავს რაში მდგომარეობს კლიენტების ინტერესები, მოთხოვნილებები და სურვილები. ასევე კვლევა დაკავშირებულია მცირე საწარმოს მომსხმარებელთან, მის კონკურენტთან, და თვითონ მცირე საწარმოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ფორმალურ ან არაფორმალურ შეკრებასა და ანალიზთან. მარკეტინგული კვლევები ტარდება ოთხ ეტაპად: მიზნის ან პრობლემის გამოვლენა; ინფორმაციის შეკრება; შეკრებილი მონაცემების ანალიზი; მიღებული ინფორმაციის აზრობრივი ინტერპრეტაცია და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. განვიხილოთ თვითეული მათგანი.

პირველი ეტაპი: მიზნის ან პრობლემის გამოვლენა.

მარკეტინგული კვლევის პირველ ქტაპზე ხდება მიზნის ან პრობლემის გამოკვეთა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ პრობლემის გამოვლენა არ არის კოველოვის ადვილი. მცირე ბიზნესის ხელმძღვანელები ხშირად ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან პრობლემას და სიმპტომებს. ხშირად ისინი მანმადე ვერ ხვდებიან რაში მდგომარეობს პრობლემა, სანამ უკვე გვიან არ არის: სანამ არ დაუცემა გაყიდვების მოცულობა. მაგალითად, მომხმარებელთა დაკარგვა მიანიშნებს, რომ კომპანიას აქვს პრობლემა. ამ შემთხვევაში შეიძლება უკვე გვიანიც კი იყოს მარკეტინგული კვლევის ჩატარდება მომხმარებელთა დაკარგვის მიზეზების გამოსავლენად და გაყიდვების მოცულობის აღდგენის დონისძიებების შესამუშავებლად. ანუ, გაკილებით სწორი იქნება

დაწესდეს მარკეტინგული ღონისძიებების რეგულარული გატარება, იმისათვის, რომ წინასწარ იქნეს გათვალისწინებული პოტენციური პრობლემა. ამგვარად, ბიზნესის პირველი ამოცანაა – პრობლემის წინასწარი განსპერება და კლვევის მიზნის სწორი განსაზღვრა.

მეორე ეტაპზე – ინფორმაციის შეკრებისას უნდა განისაზღვროს, თუ რა ხერხებით უნდა შეიკრიბოს ინფორმაცია, რა მეთოდებით უნდა მოხდეს მისი ანალიზი, სატელეფონო ან პირადი გამოყითხვით, მიზნობრივი ჯგუფის გამოყითხვით, და ა.შ. ინფორმაცია შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველადი და მეორადი ინფორმაცია. პირველადი ინფორმაცია შეიძლება შეგროვდეს სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის დაკვირვებით, გამოყითხვის ჩატარებით, ანკეტირებით ან ონლაინების მიმრხილვით.

დაღგენილია, რომ მცირე საწარმოთა შემთხვევაში ყველაზე უფრო ეფექტურია ინფორმაციის შეგროვება უშუალოდ ინდივიდუალურ მომსმარებელთან პირადი საუბრებით,. ეს მიღვომა მოითხოვს მცირე საწარმოს ხელმძღვანელისაგან ინფორმაციის შეკრებასა და ანალიზს თავისი მიზნობრივი მომსმარებლის შესახებ.

თოთვეულს ამ მეთოდებიდან აქვს ნაკლიც და უპირატესობაც. მათ, ვინც დაკავებულია მცირე საწარმოში მარკეტინგული კვლევებით, შეუძლიათ წინასწარ აირჩიონ უფრო ხელსაყრელი მეთოდი ან მეთოდები, პირველადი ინფორმაციის მისაღებად. მეორადი ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი ინფორმაციული რესურსები, როგორიცაა ბიზნეს-კომპანიების ცნობარები, დემოგრაფიული მონაცემები, მოსახლეობის აღწერის მონაცემები, პროგნოზები, უკვე ჩატარებული მარკეტინგული კვლევების შედეგები, სტატიები ადგილობრივ პრესაში, ინტერნეტის რესურსები და სხვ.

შესამე ეტაპზე: შეკრებილი ინფორმაციის ანალიზისას, შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება ბიზნეს გვემის შესამუშავებლად დაუმუშავებელი სახით არ შეიძლება. პირველ რიგში უნდა მოხდეს მისი დამუშავება და გაანალიზება, შემდეგ კი შედეგების ჩამოყალიბება. დაუმუშავების და ანალიზის სიღრმე დამოკიდებულია ინფორმაციის ტიპზე და იმ პრობლემის სირთულეზე, რომლის გადაჭრაც მარკეტინგული კვლევის საგანს წარმოადგენს. საწყის ეტაპზე სასარგებლო იქნება შეკრებილი მონაცემების გაანალიზება აღწერითი სახით, შემდეგ მიღებული შედეგების გამოსახვა გრაფიკულად დიაგრამების, გრაფიკების, ცხრილების და სხვა სახით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიების დაწყება.

მეორე ეტაპზე: მარკეტინგული კვლევების დასრულებისათვის საჭიროა მიღებული ინფორმაციიდან დასკვნების გაკეთება და მათი ინტერპრეტირება. მცირე ბიზნესში ეს გაცილებით უფრო ადვილ ამოცანას წარმოადგენს, ვიდრე მსხვილ კომპანიებში.

მაგალითად, სამზარეულოს ნივთებით მოვაჭრე მცირე საწარმოს მენეჯერმა შენიშვნა, რომ გაყიდვების მოცულობამ იკლო. კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩატარებინა მარკეტინგული კვლევა მიზეზების გამოსავლენად. განხორციელდა მომხმარებლების შერჩევა და მათთან გამოკითხვის ჩატარება. მიღებულმა ინფორმაციამ ცხადე, რომ პრობლემა მდგომარეობს გაყიდვის შემდგომი მომსახურების ნაკლოვანებაში. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დაისახა დონისძიებები ნაკლის აღმოსაფეხვრელად. ამ ნაბიჯს შედეგად მოჰყვა გაყიდვების მოცულობის გაზრდა, რაც მოწმობს, რომ ბიზნესი წარმატებით ვთარღება.

ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების მეორე ეტაპზე ხდება მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრა – მომხმარებელთა იმ კონკრეტული ჯგუფის, რომელზედაც არის გათვლილი კომპანიის პროდუქტი და მომსახურება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიამ უნდა იცოდეს ვინ არიან მისი კლიენტები. კომპანიის მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრა შესაძლებელია ასევე მარკეტინგული კვლევების მეშვეობით, იმდენად, რამდენადაც სტრატეგიული მარკეტინგული გეგმა უნდა ეფუძნებოდეს მომხმარებელზე არსებულ მკაფიო წარმოდგენებს. თუ კომპანიას არ ეცოდინება, თუ რომელი მომხმარებლების ჯგუფის მომსახურებას აპირებს, იგი ვერ შეძლებს წარმატების მომტანი მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზებას. ამრიგად, მომხმარებელთა მიზნობრივ ჯგუფებზე მკაფიო წარმოდგენის ჩამოყალიბება წარმოადგენს სტრატეგიული მარკეტინგული გეგმის შემუშავების წინაპირობას. ზოგიერთი მცირე საწარმოები ვერ ახერხებს მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრას, ან საერთოდაც უარს ამბობენ მასზე, თვლიან რა რომ ამ ბაზარს აქვს ძალზე მცირე მოცულობა. მაგრამ, ირონია სწორედ იმაშია, რომ მცირე ბიზნესის ქონები კომპანიები უფრო არიან მორგებულები მცირე ბაზრის დაფარვაზე, ვიდრე მათი უფრო მსხვილი კონკურენტები.

მცირე საწარმოები თავს უფლებას ვერ აძლევან დაუშვან შეცდომები ფინანსური სახსრების სიმცირის ან საბიუჯეტო შეზღუდულობის გამო. ამიტომ, ისინი უბრალოდ ვალდებული არიან იქონიონ მკაფიო წარმოდგენა თავის მიზნობრივ მომხმარებელზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ამის გაკეთება ძალიან როტულია.

რასაკვირველია მცირე საწარმოები კონკურენციის თვალსაზრისით არამოგებიან მდგომარეობაში იმყოფებიან მსხვილ კონკურენტებთან შედარებით. ეს მდგომარეობა მანამდე გაგრძელდება, სანამ მცირე საწარმო არ მიხვდება და გაანალიზებს იმას, თუ როგორ ახერხებს მისი მსხვილი კონკურენტი კომპანია, სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას ბაზრის გარკვეულ სეგმენტში. მათი დომინირება ბაზარზე, იდეები, ინოვაციები გამომდინარეობს რამოდგინებები წყაროდან: ხშირ შემთხვევაში მათი

გამოცდილებიდან, თანამშრომლების კვალიფიკაციიდან, საბაზრო ფასში ლიდერობიდან და სხვ.

მცირე საწარმოებს, რომლებიც ფინანსურ უკმარისობას განიცდიან, დაქმარებათ კონკრეტულ საბაზრო სეგმენტზე ფოკუსირებული სტრატეგიის შემუშავება. განვითარებადი ბიზნესი მიისწავლის ძალისხმევა მიმართოს პროდუქტზე ან მომსახურებაზე მის ხელო არსებული ცოდნის რესურსის ნაცვლად. კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს საბაზრო ნიშა. ზოგადად მიზნობრივი ბაზრის კონცეფცია დაკავშირებულია დიფერენციაციის გაგებასთან. მცირე საწარმოს შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე თავისი პროდუქტის დიფერენცირებითა და განსაკუთრებით გარკვეულ საბაზრო ნიშაზე ფოკუსირებით. ამასთან ერთად, მცირე საწარმომ უნდა ისწავლოს თავისი ძლიერი კონკურენტებისაგან სწავლების დინამიური შიდა სფეროს ფორმირება, გააძლიეროს საწარმოს საბაზრო პოზიცია და გამოიმუშაოს რეალური კონკურენტული უპირატესობა.

მარკეტინგული სტრატეგია უნდა გამომდინარეობდეს იმ ფაქტორებიდან, რომლებზეც ააგებს მცირე საწარმო ბაზარზე თავის კონკურენტუნარიანობას. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მარკეტინგული გეგმის მიზანი არის კლიენტების დაქმაყოფილება. კონკურენტუნარიანობა, რომელიც ხელს უწყობს კლიენტების დაქმაყოფილების მაღალ დონეს, განსაზღვრავს კომპანიის წარმატებას. მეწარმეებმა, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს, შეძლეს სწორად გამოყენებინათ თავისი საწარმოს მცირე ზომებისთვის დამახასიათებელი უპირატესობები კონკურენტუნარიანობის მისაღწევად, რამაც საშუალება მისცა მათ გადაესწროთ უფრო მსხვილი მეტოქებისათვის.

მცირე საწარმოებს შეუძლიათ კონკურენტუნარიანობას მიაღწიონ სხვადსხვა საფუძველზე. როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენტუნარიანობის მიღწევა შესაძლებელია კლიენტების მოთხოვნილებებისა და სურვილების დაქმაყოფილებაზე ფოკუსირებით. ერთეულ კლიენტი შედარებული იყო მცირე საწარმოს ორი სახის რესურსი, რომელიც შესაძლებელს ხდის კონკურენტუნარიანობის მიღწევას. სპეციალისტები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ კონკურენტული უპირატესობა ეფუძნება მოქნილ სპეციალიზაციას, მაგალითად კლიენტთა კონკრეტული ჯგუფის მომსახურების სპეციალიზაციას, მიწოდების სისწავეს, სხვა მწარმოებლების მომსახურე კომპანიებთან თანამშრომლობას და ასევე უნიკალურ კვალიფიკაციას. მომხმარებელთან პირდაპირი და უშეაღლო ურთიერთობა დღემდე ითვლება კველაზე მისაღებ ფორმად მომსახურების გაწევისას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ფართოდ ინერგება მომსახურების ფორმები დოკალური ქსელებისა და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. სხვა

მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კონკურენტუნარიანობის წყაროდ უნდა იქცეს პოზიციონირება და კლიენტთა მოთხოვნილებების სრული ცოდნა. წარმატებული სტრატეგიის არსებით კომპონენტებს წარმოადგენენ: უნიკალური და კარგად დაცული პოზიცია ბაზარზე; მკაფიო ცოდნა კლიენტთა მოთხოვნილებებისა მკვეთრად განსაზღვრულ მიზნობრივ ბაზარზე.

მცირე საწარმოებს შეუძლიათ მიაღწიონ მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაღალ დონეს თავისი კონკურენტუნარიანობის სრულყოფის ხუთი წეაროს გამოყენებით: ყურადღების გამახვილება კლიენტებზე, ხარისხის იდეისადმი ერთგულება, კლიენტების კომფორტულობისათვის ყურადღების მიქცევა, ყურადღების გამახვილება ინოვაციებზე და მომსახურების სისწრაფე.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ მსს-სთვის მარკეტინგული სტრატეგიის კორექტული არჩევა უკიდურესად დიდ როლს თამაშობს მისი მომავალი წარმატებული განვითარებისათვის. გარდა ამისა საწარმოს უნდა პქონდეთ მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ არსებობის ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფება მათი პროდუქტი თუ მომსახურება და თუ რა მარკეტინგული ხერხებით არის შესაძლებელი შეინარჩუნონ სასურველი პოზიცია ბაზარზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) გენადი იაშვილი, თანამედროვე სტრატეგიული მენეჯერი და მისი როლი წარმოებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სელისუფლება და საზოგადოება. 2007 წ. №4
- 2) Kotler,p. and Armstrong,g. (2000) Principles of Marketing, 6<sup>th</sup> edn, Prentice Hall Internacional, London.
- 3) Ф. Аналуи, А . Карами - Стратегический Менеджмент, Москва. 2005

### Summary

**Genadi Iashvili , Irine Iashvili**

**Functional strategies of marketing in small business.**

Given article underlines the significance of marketing and characteristics of marketing strategies in small business. Presented is a process of marketing research and its role in development of effective marketing strategy for small and medium enterprises. Defined are the components of marketing system for small business.

### Резюме

**Геннадий Яшвили, Иринэ Яшвили**

**Функциональные стратегии маркетинга в малом бизнесе.**

В представленном труде рассмотрена значимость маркетинга и особенность маркетинговой стратегии в малом бизнесе. Показан процесс маркетинговых исследований и его роль в разработке эффективной маркетинговой стратегии для малых и средних предприятий. Определены компоненты маркетингового комплекса для малого бизнеса.

**გენადი იაშვილი, ირინე იაშვილი  
სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი მცირე  
ბიზნესში**

მოცემულ ნაშრომში განხილულია, სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი მცირე ბიზნესში, აღწერილია სტრატეგიული მენეჯმენტის დინამიური მოდელი მცირე და საშუალო საწარმოში, განხილულია სტრატეგიული მენეჯმენტის მიმდევრობითი სტრატეგიული მცირე საწარმოებში, კერძოდ მენეჯმენტის სტრატეგიის ფორმირება და რეალიზაცია.

მოცემულ სტრატეგიის არის ცდა პასუხი გავცეთ შემდგე შეკითხვებს. განსხვავდება თუ არა სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი მცირე და საშუალო საწარმოებში ანალიზიური პროცესისგან მსხვილ კომპანიებში? რას წარმოადგენს სტრატეგიის ფორმულირებისა და რეალიზაციის პროცესის არსი მცირე ბიზნესის ფარგლებში?

ცნობილია რომ, სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია, შეიცავს „მის ირგვლივ არსებული საქმიანი გარემოს საფუძვლიან გამოყვლევას, „სკანირებას“, სტრატეგიის ფორმირებას, რეალიზაციას და მისი შედეგების შეფასებას. კომპანიებს წარმატებისათვის მცირე ბიზნესის და ახალი სამეწარმეო სარისკო წამოწყების ჩარჩოებში აუცილებელია, რომ ჰქონდეთ ახალი მისია, ახალი ამოცანები, ახალი სტრატეგია და ახალი პოლიტიკა, რომლებიც უნდა გახდეს გარე შესაძლებლობების და საფრთხეების, შიდა უპირატესობებთან და ნაკლოვანებებთან შედარების შედეგი. მცირე ბიზნესისთვის საჭირო სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა პროცესის მოდელი შედგება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული სტადიებისგან; 1) ბიზნესის ძირითადი იდეის შემუშავება – პროდუქტი და/ან მომსახურება, როცა არსებობს მიზნობრივი მომხმარებელი და /ან მიზნობრივი ბაზრები. მსგავსი იდეა შესაძლოა წარმოიშვას მეწარმის გამოცდილების საფუძველზე ან წარმოადგენდეს შემოქმედებითი აზროვნების შედეგს. (1) გარე გარემოს გულდასმით შესწავლა და შეფასება, რათა გამოვლინდეს სოციალური გარემოს და საქმიანობის გარემოს ფაქტორები; ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს შესაძლებლობები და საფრთხეები. სკანირების პროცესის ცენტრში უნდა იყოს ბაზრის პოტენციალი და რესურსების ხელმისაწვდომობა. 3) ახალი ბიზნესის შიდა ფაქტორების საფუძვლიანი შესწავლა და შეფასება. მეწარმემ

ობიექტურად უნდა შეაფასოს საკუთარი აქტივები, სფეროები, რომლებშიც ის განსაკუთრებით კომპეტენტურია, პირადი უნარი და გამოცდილება უნდა შეფასდეს ახალი ბიზნესის ორგანიზაციული მოთხოვნილებების საფუძველზე. 4) სტრატეგიული ფაქტორების ანალიზი მიმდინარე სიტუაციის ფონზე SWOT-ანალიზის გამოყენებით. საჭარბოს პოტენციური უპირატესობები და სუსტი ადგილები უნდა შეფასდეს გარე გარემოს შესაძლებლობების და საფრთხეების ფონზე. 5) გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ საჭიროა მოქმედება თუ არა. თუ ფიქრობთ, რომ ბიზნესის მთავარი იდეა შესრულებადია, საჭიროა მოქმედების გაგრძელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭიროა თავის შეკავება იდეას შემდგომი შემუშავებისაგან, იმ დრომდე, ვიდრე არ შეიცვლება სტრატეგიული ფაქტორები. 6) ბიზნეს-გეგმის შედგენა, რომელიც შეიცავს იდეის განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებებს. 7) ბიზნეს-გეგმის რეალიზაცია მოქმედების გეგმების და პრაქტიკული ღონისძიებების გამოყენებით. 8) რეალიზებული ბიზნეს-გეგმის შეფასება – საქმიანობის ფაქტიური შედეგების შედარება დაგეგმილთან. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად განსხვავდება საქმიანობის ფაქტიური შედეგები დაგეგმილისგან, მეწარმემ საჭიროა რომ გადახდოს კომპანიის მისიას, მის ამოცანებს, სტრატეგიას, პოლიტიკას და პროგრამებს და შესაძლებლობის მიხედვით ცვლილებები შეიტანოს თავდაპირველ ბიზნეს-გეგმაში.

იმასთან დაკავშირებით რომ მენეჯერები დიდ ძალისხმევას ხარჯავნ, რათა რაც შეიძლება კარგად შეეგუონ ბიზნესის სამყაროს მუდმივ ცვალებად პირობებს, როგორც წესი, მათი კომპანიები გადიან სტრატეგიული მენეჯმენტის განვითარების ოთხ სტადიას, კერძოდ: ფინანსური დაგეგმვა, დაგეგმვა პროგნოზის საფუძველზე, დაგეგმვა, რომელიც ორიენტირებულია გარე გარემოზე (სტრატეგიული დაგეგმვა), და პოლოს, სტრატეგიული მენეჯმენტი. თავისი არსით სტრატეგიული მენეჯმენტი შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისაგან: გარემოს გულდასმით გამოკვლევა (საპარაგო), სტრატეგიის ფორმირება, სტრატეგიის რეალიზაცია, შეფასება და კონტროლი. გარემოს სკანირება – ესაა თავისებური მონიტორინგი, ინფორმაციის შეფასება და გავრცელება, რომლებიც მიღებულია გარე და შიდა გარემოში, კორპორაციის ხელმძღვანელებს შორის. ამ პროცესის მიზანია შიდა და გარე გარემოს იმ სტრატეგიული ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავნ კორპორაციის მომავალს. (2)

კველაზე მარტივი ხერხი სკანირებისა ბიზნესში ესაა SWOT – ანალიზის გამოყენება. სტრატეგიის ფორმირება წარმოადგენს გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას, რათა განხორციელდეს გარე გარემოს შესაძლებლობების და საფრთხეების ეფექტური მართვა კორპორაციული უპირატესობებისა და ნაკლოვანებების საფუძველზე.

სტრატეგიის ფორმირება მოიცავს თავისთავში კორპორაციის მისიის განსაზღვრას, მიღწევადი მიზნების დაყენებას, სტრატეგიის შემუშებას, პოლიტიკის მართვის პრინციპების გამომუშავებას. სტრატეგიის რეალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომლის განმავლობაშიც სტრატეგიის მოქმედებაში მოყვანა ხდება პროგრამების შემუშავების, ბიუჯეტის მომზადების და სამუშაო პროცედურების გზით. ეს პროცესი შეიძლება შეიცავდეს ორგანიზაციის საერთო პულტურის, სტრუქტურის და ხელმძღვანელობის ცვლილებებს.

და ბოლოს, შეფასება და კონტროლი – ესაა პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება კორპორაციის საქმიანობის და მისი შედეგების მონიტორინგი, რათა მოხდეს კორპორაციის საქმიანობის ფაქტიური ეფექტურობის შედარება სასურველთან. იმის მიუხედავად, რომ შეფასება და კონტროლი წარმოადგენს სტრატეგიული მენეჯმენტის დამამთავრებელ ელემენტებს, მათ ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ სუსტი ადგილების გამოვლენას უკვე რეალიზებულ სტრატეგიულ გეგმებში და მთელი პროცესის გამეორების სტიმულირებას. მცირე და საშუალო საწარმოებში სტრატეგიული მენეჯმენტის მოდელის შესამუშავებელ კონცეფტულურმა საფუძველმა განსაზღვრა მსს-ის სტრატეგიის კალების მიმართულება თანმიმდევრული სტადიების მიხედვით, დაწყებული საერთო სიტუაციის სრული წარმოდგენით, ხოლო შემდეგ სტრატეგიის ფორმირება და რეალიზაცია, დასრულებული სტრატეგიის კონტროლით და სრულყოფით. მსს-ის სტრატეგიული მენეჯმენტის დინამიური მოდელი მოიცავს ოთხ სტადიას:

1. სტრატეგიული სიტუაციის ცოდნა;
2. სტრატეგიის ფორმირება – შესაფერისი სტრატეგიების შემუშავება;
3. სტრატეგიის რეალიზაცია – არჩეული სტრატეგიების განხორციელება;
4. სტრატეგიის კონტროლი და სრულყოფა – შედეგების მიმოხილვა და დასკანები სტრატეგიის შემდგომი სრულყოფისათვის.

დინამიური სტრატეგიული მენეჯმენტის მოდელი მსს-თვის ადწერს პროცესს, რომლის საშუალებითაც მსს-ი განსაზღვრავენ საკუთარ სურვილებს, მიზნებს და მიღწევების სასურველ დონეს; გადაწყვეტენ, როგორი მოქმედებების გატარებაა საჭირო დასახული მიზნების თავის დროზე შესასრულდებლად, ხშირად ცვალებადი გარე სამყაროს პირობებში; ატარებენ ამ მოქმედებებს და შედეგების შეფასების გზით განსაზღვრავენ წინსვლის ტემპს. ეს ქმნის საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით სწავლის საფუძველს და შემდგომი სრულყოფის საშუალებას. დინამიური მოდელის შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის

სრულყოფილი პროცესი მსს-ში შედგება შემდგები თანმიმდევრობისაგან: 1) მიმდინარე სიტუაციის ანალიზი მსს-ში მათი პროდუქციის, ბაზრების, დამახასიათებელი კონკურენტული უპირატესობების, მფლობელი—ხელმძღვანელის პირადი მიზნების გათვალისწინებით და შესაბამისად, მომხმარებელთა დაკმაყოფილების მიზნით მისის, მიზნების და ღირგზულებების განსაზღვრა; 2) გარე გარემოს ანალიზი—შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასება, რომელსაც ქმნიან კონკურენტები, მომწოდებლები, ეკონომიკის სოციალურ-პოლიტიკური გავლენა, ასევე ტექნოლოგიების გავლენა, რაც ამაღლებს მსს-ის პროდუქციის ფასეულებას მომხმარებლისათვის; 3) შიდა გარემოს ანალიზი — შიდა შესაძლებლობების, უპირატესობების და ნაკლოვანებების შეფასება; 4) იმ მთავარი ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც ამაღლებენ კომპანიის ეფექტურებას და ზრდიან სტრატეგიულ პრობლემებს და რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინონ კომპანიის მომავალი განვითარების მიმართულებაზე; 5) მიზნებისა და მთავარი სტრატეგიის ალტერნატიული ვარიანტების განსაზღვრა; 6) ცვლილებების განსხორციელება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესის (პროდუქტების და მომსახურების) გასაუმჯობესებლად; 7) სამომხმარებლო ფასეულობის და ბიზნესის ეფექტურობის სრულყოფის მონიტორინგი; 8) მოქმედი სტრატეგიების შედეგების ანალიზი და მომავლისთვის სტრატეგიული მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით დასკვნების გაკეთება.

ჩვენს მიერ განხილული რგა ძირითადი ნაბიჯი მართლაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სტრად განისაზღვროს პრიორიტეტები კომპანიის მოქმედებებში, რომელსაც სურს იყოს წარმატებული, კონკურენტული სტრატეგიის შემუშავებისა და გამოყენების შედეგად. თანამიმდევრულად განსხორციელებული სტრატეგიის ფორმირების, რეალიზაციის და შეფასების პროცესები — არამარტო უზრუნველყოფს მომხმარებლების დაკმაყოფილებას, არამედ, იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნები თავისი წინა მოქმედებებიდან და ქმნის საფუძველს, კომპანიის სტრატეგიული გეგმის და მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფისათვის.

სტრატეგიული მენეჯმენტი წარმოადგენს ისეთ პროცესს, რომლის არა მხოლოდ როგორც დისციპლინის შესწავლაა საჭირო, არამედ, საჭიროა დრმად გარკვევა მასში და გააზრება. ესაა პროცესი, რომლის საშუალებით საწარმოები განსაზღვრავენ თავის მიზნებს და პროგრესის სასურველ დონეებს, იდებენ გადაწყვეტილებებს ისეთი მოქმედებების განხორციელებაზე, რომლებიც აუცილებელია დასახული მიზნების დადგენილ დროში შესასრულებლად. ასევე, სშირად მოქმედების სფეროს ცვალებადობის პირობებში ანხორციელებენ მოქმედებების განხორციელებაზე, რომლებიც აუცილებელია დასახული მიზნების დადგენილ დროში შესასრულებლად. ასევე, სშირად მოქმედების სფეროს ცვალებადობის პირობებში კი აფასებენ მიღწეულ

პროგრესს და მიღებულ შედეგებს. ესაა პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ცვლილებების შესაძლებლობას ასევე, მოდიფიცირებას, კორექტირებას და მოქმედებების მიმართულებისა და ხასიათის სრულ ცვლილებას იმ მომენტში და იმ დროს, როცა ეს საჭიროა.

მოქმედების თანმიმდევრობა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მენეჯმენტის ყველა ოთხივე მოდელს, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით: 1) გავიზიაროთ მიმდინარე სტრატეგიული სიტუაცია; 2) ჩამოვაყალიბოთ საჭირო მისაღები სტრატეგიები; 3) განვახორციელოთ შერჩეული სტრატეგიები; 4) გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები (შევაფასოთ, გავაკეთოთ დასკვნები და ამ გზით სრულყოთ და განვავითაროთ სტრატეგია).

ამრიგად შეიძლება იმის მტკიცება, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი მიმდინარეობს ოთხ სტადიად: 1) მიმდინარე სიტუაციის ცოდნა-გაზრება, – ესაა შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოვლენა, რომლებსაც წარმოქმნის საწარმოს გარე საქმიანი გარემო და მისი შეთანადება მის შიდა რესურსებთან, ძლიერ და სუსტ მხარეებთან. 2) სტრატეგიის ფორმირება – ესაა ბიზნესის მისის შემუშავება, როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი მიზნების დასახვა, სტრატეგიაში პრიორიტეტების განსაზღვრა. სტრატეგიის ფორმირება გულისხმობს ასევე, რესურსების განაწილებას, გადაწყვეტილებების მიღებას დივერსიფიკაციის, სერთაშორისო ბაზრებზე გასვლის, მოწოდებასთან ან გასაღების სააგენტოებთან შერწყმის, ერთბლივ საწარმოებში მონაწილეობის შესახებ. გრძელვადიანი სტრატეგია საწარმოს აკავშირებს კონკრეტულ პროდუქტთან, ბაზრებთან და კონკურენტულ პროდუქტებთან, ბაზრებთან და ტექნოლოგიებთან. სწორედაც, რომ სტრატეგია განსაზღვრავს გრძელვადიან კონკრეტულ უპირატესობებს. საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელები პასუხს აგებენ სტრატეგიის გასაძლიერებლად მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რადგანაც მათ კისრებათ პასუხისმგებლობა საწარმოს რესურსების მობილიზაციაზე სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაციისთვის. 3) სტრატეგიის დანერგვა და რეალიზაცია – ესაა, ორგანიზაციის ფარგლებში აუცილებელი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრატეგიის შესრულებას. სტრატეგიის რეალიზაცია შეიცავს სტრატეგიის ხელშემწყობი ორგანიზაციული კულტურის შექმნას, ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის და პერსონალური მოტივაციის შექმნას ახალი მეთოდების შესასწავლად და მოსაძებნად, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ საკუთარი წვლილის შეტანას საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაში. ხშირად ითვლება, რომ ესაა სტრატეგიული მენეჯმენტის ეფელაზე რთული სტადია, რადგანაც ის მოითხოვს დისციპლინას, პერსონალის ლოიალობას და გარკვეულ წილად

სტრატეგიის დანერგვა და რეალიზაცია – ესაა, ორგანიზაციის ფარგლებში აუცილებელი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრატეგიის შესრულებას. სტრატეგიის რეალიზაცია შეიცავს სტრატეგიის ხელშემწყობი ორგანიზაციული კულტურის შექმნას, ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის და პერსონალური მოტივაციის შექმნას ახალი მეთოდების შესასწავლად და მოსაძებნად, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ საკუთარი წვლილის შეტანას საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაში. ხშირად ითვლება, რომ ესაა სტრატეგიული მენეჯმენტის ეფელაზე რთული სტადია, რადგანაც ის მოითხოვს დისციპლინას, პერსონალის ლოიალობას და გარკვეულ წილად

თავდადებასაც. სტრატეგიის წარმატებით რეალიზაცია ემყარება ხელმძღვანელების უნარს შეასრულოს დიდერის როლი თავისი პერსონალისათვის, დასმარება გაუწიონ წარმოებული პროდუქტის სრულყოფაში (ან შეცვლაში), ორგანიზაციული პროცესისა და მოწყობილებების გაუმჯობესებაში. (3) 4) სტრატეგიის შეფასება და მისი შემდგომი განვითარება – ესაა სტრატეგიის აგების, გამოყენების და საბოლოო შეფასების პროცესის განუყოფელი დამამთავრებელი სტადია. სტრატეგიის შეფასების აუცილებლობა აიხსნება იმით, რომ მიმდინარე მომენტისათვის მიღწეული წარმატება ჯერ კიდევ ვერ იძლევა წარმატების გარანტიას მომავალში: ორგანიზაცია, რომელიც განცხომას ეძლევა მიღებული წარმატების შემდეგ, პარგავს ტემპს (წინსელის სტიმულს), რომელიც ასე აუცილებელია გადარჩენისათვის, სულ უფრო ზრდადი კონკურენციის პირობებში. კომპანიის საქმიანობის რეალური კონტროლირებისათვის, საჭიროა შემუშავდეს მისი საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელი სისტემა. ეს მაჩვენებლები უნდა ასახავდეს მთავარ ფაქტორებს და სრულყოფის ნიშნებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანური რესურსების, პროდუქტებისა და პროცესების ელემენტების გაუმჯობესებაზე. სტრატეგიული კონტროლი იწყება კომპანიის შიდა და გარე გარემოების და საქმიანობის პირობების შესწავლით, გრძელდება მისი საქმიანობის ეფექტურობის შეფასებით და მთავრდება დასმულ სტრატეგიულ ამოცანებთან შედარებით, მიღწეულის კრიტიკული შეფასებით.

შეიძლება ითქას რომ, გარემოს ანალიზი, სტრატეგიის ფორმირება, მისი დანერგვა და რელიზაცია, ასევე, შეღვავების შეფასება ნებისმიერ მსხვილ ორგანიზაციაში ხორციელდება სამ მმართველობით დონეზე: კორპორაციულ, ბიზნესის ცალკე სტრატეგიული ქვედანაყოფების დონეზე, და ასევე, ფუნქციონალურ დონეზე. ხელს უწყობს რა ორგანიზაციის ეფექტური კომუნიკაციების, მენეჯერებისა და თანამდებობების ურთიერთქმედების ფორმირებას იერარქიული ბარიერების გავლით, სტრატეგიული მენეჯმენტი კომპანიას ეხმარება იფუნქციონიროს ერთიანი გუნდით, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ორგანიზაციის კველა დონეს – კორპორაციულს, ფუნქციონალურს და ცალკე სტრატეგიულ ქვედანაყოფს. მსს-ის დიდ უმრავლესობას არა აქვთ ქვედანაყოფები ან დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები.

ამის გამო მეტად მნიშვნელოვანია დასასრულს კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის სფეროში მცირე ფირმების უმეტესობაში მხოლოდ ხელმძღვანელი ან მენეჯერ-მფლობელი წარმოადგენს ფირმის მთელ პოტენციალს. იმის გამო, რომ ფირმის მცირე საწარმოს ეფექტური საქმიანობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ მისმა ხელმძღვანელმა (მენეჯერმა) როგორ გააცნობიერა მიმდინარე სიტუაცია და გაანალიზა მასზე

მოქმედი ფაქტორები, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მსს-ს ხელმძღვანელზე, როგორც ისეთ ფიგურაზე, რომელიც ადგენს გეგმებს, ახორციელებს მოქმედებებს მათ შესასრულებლად, აკონტროლებს შედეგებს და რაც ყველაზე უფრო მთავარია, აქტიურად მონაწილეობს პრაქტიკაში სტრატეგიული მენეჯმენტის ათვისებასა და შესწავლაში და როგორც სტრატეგიული ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) Chan, S.Y. and Foster, J. M. (2001) Strategy Formulation in small business: The Hong Kong experiences, International Small Business Journal, April-June, 56-71.
- 2) Bowman, C and Faulkner, D. (2005) Competitive Corporate Strategy, Irwin, London.
- 3) Analoui, (2000) What motivates senior managers? The case of Romania, journal of Managerial Psychology, 15 (4), 324-326

### Summary

**Genadi Iashvili , Irine Iashvili**

#### **Process of strategic management in small business.**

The article deals with the process of strategic management in small business. Dynamic model of strategic management in small enterprises is described and explained as well.

Discussed are the stages of strategic management in small enterprises.

#### **Резюме.**

**Геннадий Яшвили, Иринэ Яшвили**

#### **Процесс стратегического менеджмента в малом бизнесе.**

В изложенном труде рассмотрен процесс стратегического менеджмента в малом бизнесе. Описана и пояснена динамическая модель стратегического менеджмента в малых предприятиях.

Рассмотрены стадии стратегического менеджмента в малых предприятиях.

## CONTENTS

### THEORY

#### **Otar Kochoradze**

Geopolity and international relations

The comparative analysis of political and legal aspects of  
a category “Space”

6

#### **Vaja Shubitidze**

National- State ideology and Georgia

27

#### **Tengiz Endeladze**

Military intelligence service - tool of national safety

36

#### **Gelovani Nani**

Political systems of Arab countries

47

#### **Tengiz Grigolia**

Transformation of Balkans geopolitical aerial

57

#### **Rusudan Tabukashvili**

Bernshains' hypothesis of deficit

67

### HISTORY

#### **Temur Jagodnishvili**

One aspect of the relationship between Niko Marri and Ivane Javakhishvili  
in the light of the modern Georgian thought

73

#### **Tamar Antadze, Merab Kalandadze**

Version of poisoning Napoleon

83

#### **Chiora Taktakishvili**

Facing Open and distance learning from different geographical and cultural  
perspectives experiences of Ilia Chavchavadze State University

88

### ECONOMICS

#### **Genadi Iashvili , Irine Iashvili**

Functional strategies of marketing in small business.

102

#### **Genadi Iashvili , Irine Iashvili**

Process of strategic management in small business.

114

## СОДЕРЖАНИЕ

### ТЕОРИЯ

**Отар Кочорадзе**

Геополитика и международные отношения

Сравнительный анализ политических и правовых аспектов категории “пространства”

**Важа Шубитидзе**

Национально-государственная идеология и Грузия

**Тенгиз Енделадзе**

Военная контрразведка – инструмент национальной безопасности

**Геловани Нани**

Политические системы арабских стран

**Тенгиз Григолия**

Трансформация балканского геополитического пространства

**Русудан Табукашвили**

Гипотеза дефицита Бернштайна

### ИСТОРИЯ

**Темур Джагоднишвили**

Один аспект взаимоотношений Нико Марра и Иванэ Джавахишвили в современной грузинской общественной мировоззренческой призме

**Тамар Ангадзе, Мераб Каландадзе**

Версии об отравлении Наполеона

**Чиора Тактакишивили**

Открытое и дистанционное образование с разных географических и культурных перспектив: опыт государственного университета им. Ильи Чавчавадзе

### ЭКОНОМИКА

**Геннадий Яшвили, Иринэ Яшвили**

Функциональные стратегии маркетинга в малом бизнесе.

**Геннадий Яшвили, Иринэ Яшвили**

Процесс стратегического менеджмента в малом бизнесе.

## ავტორები

- ოთარ ქოჩორაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო  
მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
- გაუა შებითიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული  
პროფესორი
- თენგიზ ენდელაძე** - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გენერალ-მაიორი
- ნანი გვლოვანი** - ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- თენგიზ გრიგოლია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული  
პროფესორი
- რუსულან თაბუკაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული  
პროფესორი
- თემურ ჯაგოლინიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული  
პროფესორი
- თამარ ანთაძე** - ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი
- მერაბ კალანდაძე** - ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი
- ჩიორა თაქთაქიშვილი** - საქართველოს პარლამენტის წევრი
- გენალი იაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- ირინა იაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-  
სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი

## შურნალის რედკოლეგია

- რუდიგერ ანდრესენი –** ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი
- ნანა ავალიანი –** საქართველოს საგარეო საქმითა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
- მეუჯვე აბრაამი (გარმელია) –** დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი
- ევგენი ბარათაშვილი –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
- გიორგი ბალათურია –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- ოთარ ბალათურია –** პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
- ვახტანგ გურული –** ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- შოთა დოლონაძე –** მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი
- პარალდ ვერტცი –** სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში
- გენალი იაშვილი –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- Temur Todua –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- როინ მეტრეველი –** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქადემიკოსი
- ქეთი ქოქრაშვილი –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- ოთარ ქოჩორაძე –** მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
- რუსულან ქუთათელაძე –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი
- მარა ჩხეიძე –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უცხო ენებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

## EDITORIAL BOARD

**RUDIGER ANDRESEN –**

Professor of Economics of Berlin University,  
Doctor of Honour of Georgian Technical  
University

**NANA AVALIANI –**

Ambassador at large, PhD of History

**His Eminence ABRAHAM (GARMELIA) –** Metropolitan of Western Europe

**EVGENI BARATASHVILI –**

Professor of Georgian Technical University,  
Head of Department of Economics and  
Business Management

**GIORGI BAGATURIA –**

Professor of Georgian Technical University  
Responsible Editor, Georgian Technical  
University, Doctoral Candidate

**OTAR BAGATURIA –**

Professor of Georgian Technical University  
Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State  
University

**TEMUR TODUA –**

Professor of Georgian Technical University  
Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State  
University

**VAKHTANG GURULI –**

**SHOTА DOGONADZE –**

Chief Editor, Professor of Georgian Technical  
University, Head of Public Administration  
Department

**GENADI IASHVILI –**

**ROIN METREVELI –**

**KETI KOKRASHVILI –**

**OTAR KOCHORADZE –**

**RUSUDAN KUTATELADZE –**

**MAIA CHKHEIDZE –**

**HARALD WERTZ –**

## РЕДКОЛЛЕГИЯ

**НАНА АВАЛИАНИ –**

Посол по особым поручениям, доктор исторических наук

**Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ) –**

Митрополит Западной Европы

**РУДИГЕР АНДРЕСЕН –**

профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета  
профессор Грузинского технического университета

**ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ –**

ответственный секретарь, докторант

**ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ –**

Грузинского технического университета  
профессор Грузинского технического университета, руководитель департамента экономики и управления бизнесом  
профессор информатики Сорбонского университета «Пари-8»

**ХАРОЛЬД ВЕРТЦ –**

профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили  
главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления  
профессор Грузинского технического университета, глава администрации  
университета

**ВАХТАНГ ГУРУЛИ –**

заместитель главного редактора, профессор  
Грузинского технического университета  
профессор Грузинского технического университета, декан гуманитарно-социального факультета

**ШОТА ДОГОНАДЗЕ –**

академик АН Грузии

**КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ –**

профессор Грузинского технического университета

**ОТАР КОЧОРАДЗЕ –**

профессор Грузинского технического университета, декан гуманитарно-социального факультета

**РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ –**

профессор Грузинского технического университета, руководитель департамента

**РОИН МЕТРЕВЕЛИ –**

иностранных языков и коммуникации

**ТЕМУР ТОДУА –**

профессор Грузинского технического

**МАЙА ЧХЕИДЗЕ –**

университета, руководитель департамента

**ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ –**

иностранных языков и коммуникации

профессор Грузинского технического

университета